ლიბერალი
№ 33 / 31 მაისი - 6 ივნისი / 2010

წინასაარჩევნო დამოუკიდებლობის დღე გვ. 7
„დიდების მონუმენტი“ და მონუმენტური სწორხაზოვნება გვ. 40
მარკირება: ფსევდოკონტროლი გვ. 17
კანონმორჩილი მმართველი პარტია გვ. 19
ჟურნალისტური გამოძიება: ჰაერში გასროლილი ფული გვ. 22
ეკონომიკა: ზრდის ანატომია გვ. 26
სიმბოლური პატრიოტთა ბანაკი გვ. 31
გიო ახვლედიანი: აჰმეთს ინგლისის არ სჯერა გვ. 42
ჯეინ ბირკინი ზუგდიდში გვ. 36

ISSN 1987-7528
9 771987 752008
ფასი 2 ლარი

არჩევნების შემდეგ

გვ. 14

ყოველ სამუშაო დღეს, 17 საათზე, რადიოქალაქის პირდაპირ ეთერში საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „დღის თემა“ ნათია ორველაშვილთან ერთად

24-28 მაისის კვირის რეზიუმე

„საზოგადოების დაკვეთა რა თქმა უნდა არის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზება, თუმცა არა - კაპიტულაცია. ჩვენ ვერ გამოვაცხადებთ კაპიტულაციას მხოლოდ იმიტომ, რომ რუსეთის ხელისუფლებისთვის მიუღებელია საქართველოს პირველი პირი და მმართველი პოლიტიკური გუნდი. რუსეთისთვის მიუღებელი იქნება საქართველოს ხელისუფლებაში ნებისმიერი ძალა, რომელიც ორიენტირებულია დასავლეთთან ინტეგრაციაზე“.

ორშაბათი, 24 მაისი, რადიოქალაქი FM 101.9
კოკი იონათამიშვილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

„დღეს არ ჰყავს მხარდამჭერი იმ ძალებს, რომლებიც ეროვნულ საბჭოში არიან გაერთიანებულნი. მათი მხარდამჭერთა რაოდენობა 5 პროცენტს არ აღემატება. იყო დრო, როდესაც ნოდარ ნათაძე, ირინა სარიშვილი რეიტინგული ფიგურები იყვნენ. 2008 წელს ლევან გაჩეჩილაძე იყო რეიტინგული, მაგრამ დრო იცვლება. ჩვენ ვთავაზობდით რამდენიმე ოპოზიციურ ძალას, მათ შორის კონსერვატორებს ალიანსში შემოსვლას, მაგრამ მათ თვითონ აირჩიეს რუსეთში სიარულის გზა“.

სამშაბათი, 25 მაისი, რადიოქალაქი FM 101.9
დავით ზურაბიშვილი, ალიანსი საქართველოსთვის

„ცივილიზებულ ქვეყნებში აღარ იმართება ძალის დემონსტრირების ასეთი აქციები, როგორიც აღლუმია. მითუმეტეს, როცა ძალა არ გაგაჩნია. რაც შეეხება არჩევნებს: თუ თბილისელების 57%-მა მართლაც გიგი უგულავას დაუჭირა მხარი, მაშინ საზოგადოებას არა ინგლისურის სპეციალისტების, არამედ ფსიქიატრების დიდი ჯგუფის დახმარება ესაჭიროება“.

ოთხშაბათი, 26 მაისი, რადიოქალაქი FM 101.9
ნუკრი ქანთარია, ქართული აკადემია

„ტერმინი “ოკუპაცია” ბევრ ევროპელს ეხამუშება. მათი აზრით ასეთი ტერმინებით საუბარი მყისიერად დააყენებს რუსეთისთვის სანქციების დანესების საკითხს. თუმცა, რომ არა დასავლეთის მიერ საქართველოს მიმართ დაფიქსირებული მხარდაჭერა, რუსეთი უფრო მეტის გაკეთებას შეძლებდა საკუთარი მიზნის მისაღწევად“.

ხუთშაბათი, 27 მაისი, რადიოქალაქი FM 101.9
დავით დარჩიაშვილი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

“ოპოზიციონერი სასურველია პარლამენტში დეპუტატად, მერი უნდა იყოს ორიენტირებული სამეურნეო საკითხებზე. ოპოზიციონერი მერი კანალიზაციაზე არ იფიქრებს. ის იმოქმედებს საკუთარი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე და ხალხის ინტერესები გვერდზე დარჩება.”

პარასკევი, 28 მაისი, რადიოქალაქი FM 101.9
კობა სუბელიანი, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი

რადიოქალაქის სტუდიის ტელეფონი: 920 977

ლიბერალი

№ 33 / 31 მაისი - 6 ივნისი / 2010

ანაკლიის პატრიოტთა ბანაკი, მაისი 2010

ფოტო: მარა წულაია

ნომერში:

02 რედაქტორი
04 მოკლედ
06 ფოტორეპორტაჟი
07 ვრცლად
10 **მედიამონიტორინგი**
ფინიშთან
12 **ორი აზრი**
მიდიხართ თუ არა
არჩევნებზე და რატომ?
14 **თვალსაზრისი**
არჩევნების შემდეგ
მარკ მალენი
15 **ინტერვიუ**
კითხვაზე პასუხი
არ მაქვს
ლევან ცუცქირიძე

პოლიტიკა
17 ფსევდოკონტროლი
19 **ადმინისტრაციული**
რესურსის პრობლემა
კანონმორჩილი მმართველი
პარტია
20 **ინციდენტი ქარელის ცენტრში**
რატომ ისროლა დეპუტატმა
პისტოლეტიდან?

ჟურნალისტური გამოძიება
22 ჰაერში გასროლილი ფული

მეზობლები
24 ისლამური ატომი

ეკონომიკა
26 სარეიტინგო ოპტიმიზმი და
ზრდის ანატომია

ადამიანის უფლებები და
სამართალი
29 რატომ უნდა ვიყოთ რომის
პაპზე მეტად
კათოლიკეები?

საზოგადოება
31 სიმბოლური ბანაკი
34 **მუნიციპალური**
ბიბლიოთეკები
არჩევნები წიგნების ნაცვლად

კულტურა
36 დღეს ჩვენ ყველანი
დევნილები ვართ
38 ბინძური ბანკები
და სუფთა
მეტამორფოზები
40 **თვალსაზრისი**
„დიდების მონუმენტი“
და მონუმენტური
სწორხაზოვნება
გიორგი მაისურაძე

სპორტი
42 აჰმეთის ინგლისის
არ სჯერა

ქალაქში მოხეტიალე კაცის
ჩანაწერები
44 ვივა ნოსტალგია!

გარეკანზე:

არჩევნების შემდეგ
ილუსტრაცია: სოფო კირთაძე
წიგნის სახელოსნო

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

ავტორის / ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება არ გამოხატავს ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

The views, opinions and statements expressed by the authors and those providing comments are theirs only and do not necessarily reflect the position of Open Society Georgia Foundation. Therefore, the Open Society Georgia Foundation is not responsible for the content of the information material.

ვერსად რომ ვერ გავექცეოდი, ამას ჯერ კიდევ თვე-ნახევრის წინ, 12 აპრილის „ლიბერალზე“ მუშაობისას მივხვდი – მაშინ, როცა ვამუშავებდით თემას, თუ როგორ იყენებენ პიარ ტექნოლოგიად პოლიტიკოსები აღდგომის წმინდა ცეცხლს.

რამდენიმე „მარგინალური თემა“ შემდეგ ნომრებში მაინც გავაპარეთ, დავწერეთ საქართველოდან სამუდამოდ გადახვეწილი „ტვინებისა“ და ფატალური ნარკოტიკის შესახებ, ბოლოს ბოშების ცხოვრება აღვნერეთ და მგონი, ამით გამოვემშვიდობეთ საკითხებს საზოგადოების განყოფილებიდან, თემებს, რომლებიც ჩვეულებრივ ყოველდღიურობაშიც მივიწყებულია, მაგრამ რომელთა წინ წამოწევასაც მთელი წლის განმავლობაში ვცდილობდით.

მას შემდეგ მედიამონიტორინგის პროექტში ჩართულმა ჟურნალისტმა რუსუდან რუხაძემ 2 ათასი სიუჟეტი რამდენჯერმე ნახა, თუმცა წინასაარჩევნო ისტერიას რომ ჩავეთრიე, ამისთვის რუსუდანივით ტელევიზორთან სამუშაოდ ჯდომა სულ არ იყო საჭირო. გარშემო საზოგადოებისთვის ყველა მწვავე თემა არჩევნებმა ისედაც შთანთქა.

სკოლაში წავედით და, 5 ნომრითა და „მე მიყვარს თბილისის“ მაისურებიანი მოსწავლეები დაგვხვდნენ;

ქუჩაში გავედით და, შენობებსა და ღობეებზე გაჩაღებულ საარჩევნო პლაკატების ომს წავაწყდით;

ბიბლიოთეკებთან ჩავიარეთ და, სამკითხველო დარბაზის ფანჯარაზე გამოკრული პლაკატიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა გაგვიღიმა;

ახალი მაგისტრალის „გატესტვა“-შეფასება მოვინდომეთ და, „ფორმულა-3“-ის მანქანით პრეზიდენტთან სისწრაფეში გაჯიბრებული მერობის კანდიდატი შეგვრჩა;

პატრიოტთა ბანაკის თემასთან დაბრუნება გადავწყვიტეთ და, აღმოვაჩინეთ, რომ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ბანაკი სიმბოლურად გაიხსნა და ბავშვების პირველი ნაკადი ანაკლიას არჩევნებიდან სამ დღეში დატოვებს;

წინა კვირას ჟურნალისტი ნათია გულიაშვილი გენდერული ძალადობის შესახებ ახალი კვლევის პრეზენტაციას დაესწრო, მაგრამ ნომრის მიღმა დარჩა.

თემო ბარძიმაშვილი ტყვე-დათვების შესახებ დაწერას აპირებდა და აპირებს კიდეც, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც „ლიბერალი“ მერიაში საჩივარს შეიტანს – საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო. 15 სამუშაო დღის განმავლობაში ამაოდ ვცდილობდით, მერიისგან მაისის თვეში დაგეგმილი სპორტული და კულტურული ღონისძიებებისა და მათი დაფინანსების შესახებ ინფორმაცია მოგვეპოვებინა.

საარჩევნო ხმაურმა საზოგადოებიდან წამოსული ყველა სხვა ხმა გადაფარა. თუმცა, ამ ხმაურს აყოლა და მისი თითოეული ბგერის გაგება-შეფასება თვითმიზანი კი არ იყო, არამედ – საკუთარ არჩევანში გარკვევის მცდელობა.

თამარ ბაბუაძე
საზოგადოების განყოფილების რედაქტორი
tamar.babuadze@liberali.ge

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ჭაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა **ნათია რუსაძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „ფავორიტი“. მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. 50. ტელ.: (995 32) 95 19 52. www.phfavorite.ge
გამოდის კვირაში ერთხელ, ყოველ ორშაბათს. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

პროექტი დაფინანსებულია
ევროკავშირის მიერ

DANISH REFUGEE COUNCIL

პროექტს ახორციელებს
ლტოლვილთა დანიის საბჭო

ჟურნალისტთა და ფოტოგრაფთა კონკურსი იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) თემაზე

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „ერთობლივი გადაწყვეტილებები გრძელვადიანი გადაწყვეტილებებია – საქართველოში მცხოვრები დევნილების პრობლემების გადაწყვეტისკენ გადადგმული ნაბიჯები“ – ფარგლებში, ლტოლვილთა დანიის საბჭო აცხადებს ღია კონკურსს ჟურნალისტებისა და ფოტოგრაფებისთვის საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირებთან (დევნილებთან) დაკავშირებული საკითხების შესახებ.

საქართველოს მთავრობის „იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის“ სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს დევნილთა პრობლემების გრძელვადიან მოგვარებას. სახელმწიფო სტრატეგია გულისხმობს დევნილთა სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციასა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. სამოქმედო გეგმის მთავარი ამოცანაა იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად პრობლემის გრძელვადიანი გადაწყვეტა, რათა ისინი სულ უფრო ნაკლებად იყვნენ სახელმწიფოზე დამოკიდებულნი, რათა გამჭვირვალე შერჩევის კრიტერიუმებზე დაყრდნობით მოხდეს მსურველთა ინტეგრაცია სახელმწიფოს სოციალური დახმარების პროგრამებში. ეს კონკურსი არის იმ საინფორმაციო კამპანიის ნაწილი, რომელიც მიზნად ისახავს როგორც დევნილთა, ასევე ზოგადად საზოგადოების ინფორმირებას დევნილებთან დაკავშირებით მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

მოთხოვნები მონაწილეობის მსურველი ჟურნალისტებისთვის:

ჟურნალისტების მონაწილეობის პირობაა სტატიის დაწერა და ცენტრალურ/რაიონულ გაზეთში, ჟურნალსა თუ ინტერნეტ პრესაში გამოქვეყნება 2010 წლის 15 მაისიდან – 15 ივნისამდე პერიოდში. პუბლიკაცია ყურადღებას უნდა ამახვილებდეს იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმის ერთ ან რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ, თუ რა გავლენა იქონია სამოქმედო გეგმის ფარგლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იძულებით გადადგილებულ პირთა ცხოვრებაზე, რა ახალ შესაძლებლობებს სთავაზობს სამოქმედო გეგმა მათ ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად. სტატია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 300 სიტყვისაგან, ის შეიძლება იყოს წარმოდგენილი რეპორტაჟის ან ისტორიის სახით ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენაზე. მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი. იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: http://www.mra.gov.ge/

მოთხოვნები მონაწილეობის მსურველი ფოტოგრაფებისთვის:

ფოტოგრაფებმა ერთი ან რამდენიმე ფოტო, ან ფოტორეპორტაჟი უნდა წარმოადგინონ ზემოაღნიშნულ თემატიკაზე. ლტოლვილთა დანიის საბჭო ფოტოებს A2 ფორმატით, 300 DPI რეზოლუციით დაბეჭდავს. წარმოდგენილ ფოტოებზე ლტოლვილთა დანიის საბჭო, ამ პროექტის ფარგლებში მისი დონორები და პარტნიორები იძენენ მათი ბეჭდურ თუ ელექტრონულ პუბლიკაციებში გამოყენების უფლებას. წარდგენილი ნამუშევრები არ უნდა იყოს მანამდე გამოქვეყნებული. დაცული უნდა იქნას პიროვნების ღირსებისა და პირადულობის ეთიკური ნორმები, მონაწილეები უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქენი. იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ სამოქმედო გეგმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ გვერდზე: http://www.mra.gov.ge/

განაცხადის წარდგენის წესები:

სტატიები უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: drc@drc.ge; ამასთან, აუცილებელი მოთხოვნაა ნაბეჭდი პრესის დასკანერებული ვარიანტის ან ელექტრონული გამოცემის ბმულის გაგზავნა, არა უგვიანეს 2010 წლის 15 ივნისისა.
ფოტოსურათები უნდა გაიგზავნოს ელექტრონულ მისამართზე: drc@drc.ge; JPEG ფორმატის დაცვით, არა უგვიანეს 2010 წლის 15 ივნისისა. ნაბეჭდ ვერსიას აუცილებლად უნდა ახლდეს თან მისი ელექტრონული ვერსია.
აპლიკანტებმა უნდა მიუთითონ საკუთარი ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია, ფოტოს შემთხვევაში მისი მოკლე აღწერა, სტატიის შემთხვევაში მოკლე რეზიუმე.

ჟიურის შემადგენლობა:

ჟიური შედგება პროფესიონალ ფოტოგრაფთა და ჟურნალისტთაგან, ასევე იძულებით გადაადგილებულ პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლებისაგან.

ჯილდო ჟურნალისტებისთვის:

პირველი პრიზის მფლობელს წილად ერგება კომპიუტერი „NetBook“; მეორე ადგილზე გასული საჩუქრად მიიღებს დიქტოფონს.

ჯილდო ფოტოგრაფებისთვის:

პირველი ადგილის მფლობელს წილად ერგება მაღაზია „ფოტოსამყაროს“ 300 ევროს ეკვივალენტი სასაჩუქრე ბარათი.

მეორე ადგილზე გასული მონაწილე საჩუქრად მიიღებს მაღაზია „ფოტოსამყაროს“ 150 ევროს ეკვივალენტ სასაჩუქრე ბარათს.

განაცხადის წარდგენის ვადაა 2010 წ. 15 მაისი - 15 ივნისი. 2010 წლის 15 ივნისის შემდეგ მიღებული განაცხადი განხილვას არ ექვემდებარება. გამარჯვებული სტატიები და ფოტოსურათები საზეიმო ვითარებაში გამოცხადდება სპეციალურ ცერემონიაზე და გამოიფინება იძულებით გადაადგილებულ პირთა კვირეულის განმავლობაში 2010 წლის 21-24 ივნისს.

აშშ-ს რაკეტები პოლონეთში

პოლონეთის ქალაქ მორონგში, რომელიც რუსეთის საზღვრიდან 64 კილომეტრში მდებარეობს, ამერიკული რაკეტების Patriot სისტემა და სამხედრო დანაყოფები განთავსდა. 2012 წლამდე მორონგში რაკეტების სასწავლო ვერსია იქნება, შემდეგ კი საბრძოლო მოწყობილობები დაიდგმება. მორონგში ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები 2012 წლამდე დარჩებიან და პოლონელ ჯარისკაცებს Patriot-ის სისტემაზე მუშაობას შეასწავლიან. ეს ამერიკელი ჯარისკაცების უმსხვილესი შენაერთი იქნება, რომელიც ოდესმე ყოფილა პოლონეთში განთავსებული. მოსკოვი რაკეტების განთავსებას გაუმართლებლად მიიჩნევს. რუსეთის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ არ არსებობს არც სამხედრო და არც პოლიტიკური მიზეზი, რომელიც რაკეტების პოლონეთში განთავსებას გაამართლებს და თუ Patriot პოლონეთში მუდმივად განთავსდება, ეს NATO-ს მხრიდან ვალდებულებების დარღვევა იქნება, რომლებიც ალიანსმა რუსეთის საზღვრებთან სამხედრო ძალების არგანთავსებასთან დაკავშირებით აიღო.

უკრაინის უპირი NATO-ს

უკრაინამ NATO-ში გაწევრიანების საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნა. ეს განცხადება ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა კონსტანტინ გრიშჩენკომ გააკეთა. მიუხედავად იმისა, რომ იულია ტიმოშენკოს ბლოკი ამ განცხადების უარყოფას მოითხოვდა ქვეყნის პრეზიდენტისგან, იანუკოვიჩმაც იგივე დაადასტურა: „ჩვენი ქვეყნისთვის ალიანსში გაწევრიანება დღეს შეუძლებელია, რადგან, NATO-ს სტანდარტების თანახმად, გაწევრიანებას უკრაინის მოსახლეობის უმრავლესობა უნდა უჭერდეს მხარს“. თუმცა, იანუკოვიჩი ამბობს, რომ NATO უკრაინის პარტნიორია, რადგან ამის გარეშე უკრაინა ვერ იარსებებს. უკრაინის პოზიციამ NATO-ში გაკვირვება გამოიწვია და მას „უპრეცედენტო“ უწოდეს.

აშშ-ს ახალი სტრატეგია

ობამას ადმინისტრაციამ ეროვნული უსაფრთხოების ახალი სტრატეგია წარმოადგინა, რომელიც სამხედრო ძალების საჭიროებას აღიარებს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, და ხაზს უსვამს საერთაშორისო დიპლომატიური თანამშრომლობის აუცილებლობას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მოსკოვთან თანამშრომლობის გზების ძიებასთან ერთად, აშშ გააგრძელებს რუსეთის მეზობლების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას. „ჩვენ გავაგრძელებთ სტაბილურობისა და დემოკრატიის ხელის შეწყობას ბალკანეთში და კონფლიქტების მოგვარებას კავკასიასა და კვიპროსში“, – ნათქვამია ახალ სტრატეგიაში. დოკუმენტში მითითებულია, რომ შეერთებული შტატები სხვადასხვა ზომას მიმართავს ირანისა და ჩრდილოეთ კორეის იზოლაციაში მოსაქცევად, თუ მათ მიერ უგულებელყოფილი იქნება მათს ბირთვულ პროგრამებთან დაკავშირებული საერთაშორისო ვალდებულებები.

Amnesty International-ის ანგარიში

Amnesty International-მა ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში საქართველოს 1,5 გვერდი აქვს დათმობილი, სადაც ლაპარაკია ქვეყნის მდგომარეობაზე 2009 წელს და 2008 წლის ომის შედეგებზე. „2008 წლის ომის დროს ჩადენილი არც ერთი დანაშაული სრულად არ გამოძიებულა“, – წერენ ავტორები და ასევე აღნიშნავენ, რომ დღემდე ევროკავშირის მეთვალყურეებს არ ეძლევათ საშუალება, სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე შევიდნენ; ამავე დროს ვრცელდება ინფორმაცია, რომ ამ ტერიტორიებზე მშვიდობიან მოქალაქეებს აკავებენ.

ანგარიშში ნათქვამია, რომ 2009 წლის გაზაფხულის აქციების დროს ძალადობის შემთხვევებში დამნაშავე პირთა ვინაობა არ არის გამოძიებული, ასევე გამოსაძიებელია ამ პერიოდში სამართალდამცავთა მიერ ძალის გადამეტების ფაქტებიც.

Amnesty International იძულებით გადაადგილებულ პირებზეც წერს. ანგარიშის ამ ნაწილში აღნიშნულია: „მართალია, დევნილთა უმრავლესობა საცხოვრებლით უზრუნველყოფილია, მაგრამ დღემდე შემაშფოთებელია მათი სოციალური და ეკონომიკური უფლებების უზრუნველყოფის დონე“.

ღაძაბულობა ორ ხოხეას შორის

ჩრდილოეთი კორეა სამხრეთ კორეასთან საზღვაო შეტაკებების პრევენციის შესახებ არსებულ შეთანხმებას აუქმებს. ამის მიზეზად კი სეულის მხრიდან ბოლოდროინდელ ბრალდებებს ასახელებენ. ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები სულ უფრო იძაბება. ფხენიანში ოფიციალური განცხადებაც გავრცელდა, რომ თავს დაესხმებიან სამხრეთი კორეის ნებისმიერ ხომალდს, რომელიც საკამათო საზღვარს გადასცდება. აშშ აქტიურადაა ჩართული ამ პროცესის დარეგულირების საქმეში. ბოლო დღეებში ჰილარი კლინტონი ამ საკითხის გარშემო მოლაპარაკებების გასამართად ჩინეთს, სამხრეთ კორეას და იაპონიას სტუმრობდა. სეულიდან კლინტონმა საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, სამხრეთი კორეის სამხედრო გემის ჩაძირვის ფაქტს გამოეხმაურონ. პეკინში კი სახელმწიფო მდივანი შეეცადა, ჩინეთის ხელისუფლება დაერწმუნებინა, ახლო მოკავშირესთან უფრო მკაცრი კურსი გაატაროს, თუმცა – უშედეგოდ. პეკინი კვლავ მხოლოდ რბილი კომენტარებით შემოიფარგლა.



ღახეხელი საჯარო ინფორმაცია

„ლიბერალმა“ 10 მაისს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია (წერილის სარეგისტრაციო ნომერი 11/63692-7), მერიის მიერ მაისის თვეში დაგეგმილი სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებისა და მათი დაფინანსების შესახებ, დღემდე ვერ მიიღო.

ათეულობით მსგავს მოთხოვნაზე არასდროს მიგვიღია პასუხი კანონით გათვალისწინებული 10 დღის მანძილზე. კითხვებზე პასუხი ან გვიანდება, ან საერთოდ ვერ ვიღებთ. 21 მაისიდან (კანონით განსაზღვრული ბოლო ვადა) დღემდე არაერთხელ მივმართეთ ქალაქის მუნიციპალიტეტს, თუმცა – უშედეგოდ. 27 მაისს მერიის წარმომადგენლის საბოლოო პასუხი ასეთი იყო: „შეგროვებული ინფორმაცია არასრულია, შევავსებთ და აუცილებლად გადმოგცემთ“. „ლიბერალის“ რედაქციას საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო საჩივარი, განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად, მერიაში შეაქვს.

"პოლიტიკური საქმის" გამოძიება

უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა იმ დარღვევების გამო, რომელიც 2005 წელს უკრაინის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვისას მოხდა. ამის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს უკრაინის გენპროკურორის მოადგილე რენატ კუზმინი. მისი თქმით, 2005 წელს სახელმწიფო კომპანია „უკრობორენსერვისმა“ 50 საზენიტო მართვის რაკეტა შეიძინა ქვეყნის საჭიროების გამო რუსულ-უკრაინული კერძო კომპანიისგან, რომელსაც თავის მხრივ მსგავსი გარიგების უფლება არ ჰქონდა. კუზმინი ამბობს, რომ ეს რაკეტები უცნაური სახით მოხვდა საქართველოს ხელში და, სავარაუდოდ, სწორედ ეს იარაღი იქნა გამოყენებული 2008 წლის კონფლიქტის დროს. უკრაინის ოპოზიციაში აცხადებენ, რომ ეს „პოლიტიკური საქმის გამოძიება“ პრორუსულად განწყობილი პრეზიდენტის მოსვლის გამო დაიწყო.

სიტყვები

„თუ სადმე, შავიზღვისპირეთში ასეთი [ბათუმის მსგავსი] სილამაზე დევს, შემიძლია, ხელმეორედ შევჭამო ჩემი გალსტუკი“.

მიხეილ სააკაშვილი
27 მაისი, ბათუმი

„საქართველოს და უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება თითქმის სამეცნიერო ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება“.

ფერნანდო ვალენსუელა – რუსეთში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
27 მაისი, „ნეზავისიმაია გაზეტა“

„ირანთან უვიზო რეჟიმის დამყარება ჩვენს ნაციონალურ ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას არც გავაკეთებდით“.

ნინო კალანდაძე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე
24 მაისი, თბილისი

ციფრები

56 მილიონ ლარზე მეტის დახარჯვას გეგმავს საქართველოს მთავრობა წელს აჭარაში.

1 მილიარდ დოლარს გამოუყოფს მსოფლიო ბანკი ყაზახეთს, ქვეყნის ეკონომიკის მყარი ზრდის უზრუნველყოფის მიზნით.

3,5 ლარია გამოყოფილი (შარშანდელზე 1,5 მილიონით მეტი) წელს პატრიოტთა ბანაკების დასაფინანსებლად.

2 მილიონი ლარი გამოიყოფა ბაგრატის ტაძრის აღსადგენად.

ფოტო: ლევან ხარაძეშვილი

26 მაისის სამხედრო აღლუმი

ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმი „ნაციონალური მოძრაობის“ წინასაარჩევნო კამპანიის ნაწილი გახდა.

ნინო რობაქიძე

26 მაისს, თბილისში, აგვისტოს ომის შემდეგ პირველი სამხედრო აღლუმი ჩატარდა. თუ შარშან ამ დღეს რუსთაველის გამზირზე ოპოზიციის „საკნები“ იდგა, წელს დამოუკიდებლობის დღე თბილისსა და საქართველოს რამდენიმე დიდ ქალაქში პომპეზურად აღინიშნა.

„მთავარია, რომ ასეთი ლამაზი დღე მიტინგებით არ ჩაგვიშალეს!“ – ამბობს 22 წლის ნინო, რომელიც აღლუმს 15 წლის ძმასთან ერთად ესწრება. ახალგაზრდები რუსთაველის გამზირზე ღონისძიების დაწყებამდე ერთი საათით ადრე მივიდნენ – ჯერ სამხედრო აღლუმზე, შემდეგ კი მშვიდობის ხიდთან დაგეგმილი ყვავილების ფესტივალსა და კონცერტზე დასასწრებად.

თვითმმართველობის არჩევნებამდე ოთხი დღით ადრე, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის ერთგვარ კულმინაციად იქცა. 26 მაისს პრეზიდენტის მიმართვის მთავარი მესიჯი უმუშევრობის დაძლევა და ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა იყო. მაშინ, როცა წინა წლების სამხედრო აღლუმებზე საქართველოს პრეზიდენტი თითქმის მთელ გამოსვლას საგარეო საფრთხეებზე საუბარს უძღვნიდა. თვალში ხშირად მოგხვდებოდათ მაისურები გიგი უგულავას წინასაარჩევნო სლოგანით.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტს თავის გამოსვლაში არ უხსენებია არც მოახლოებული არჩევნები და არც „ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატი, ქალაქის მოქმედი მერი 26 მაისს საკმაოდ თვალსაჩინო ფიგურა იყო. პრეზიდენტის სიტყვის დასრულების შემდეგ ყველა ნაციონალურმა ტელეარხმა კამერა საპატიო სტუმრებში მდგომი უგულავასკენ მიმართა. თბილისის მერობის ხელისუფლების კანდიდატი პრეზიდენტთან ერთად დღის განმავლობაში დაგეგმილი ყველა სხვა ღონისძიების ეპიცენტრშიც იყო.

„ბრძოლა ჩვენი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად დღეს ეფუძნება იმასაც, თუ რამდენად შევძლებთ ეკონომიკის განვითარებას; რამდენად შევქმნით ჩვენი ხალხისთვის ახალ სამუშაო ადგილებს, ხოლო ქვეყნისთვის რეგიონული ეკონომიკის ახალი ცენტრის ფუნქციას“, – განაცხადა პრეზიდენტმა თავის მიმართვაში.

სიტყვის დასრულების შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის ცერემონია დაიწყო. ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენით მომღერლები, მოცეკვავეები, მთავრობის ყოფილი ჩინოვნიკები და ბიზნესმენები დაჯილდოვდნენ: ნიაზ დიასამიძე, რომელმაც ამავე დღეს ქართული ჯარისადმი მიძღვნილი სიმღერა შეასრულა ვაზიანში გამართულ კონცერტზე; ბიზნესმენი კობა ნაყოფია – პატრიოტიზმისათვის და ახალი სტანდარტების დანერგვისთვის ქართულ ბიზნესში; ნანი ბრეგვაძე, რომელიც უკვე მეორე სახელმწიფო ჯილდოს იღებს მიხეილ სააკაშვილისგან. ღირსების ორდენის შემდეგ მეორე სახელმწიფო ჯილდო მიიღო სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურორმა, როლანდ ახალაიამაც, რომელიც ამავე დროს თავდაცვის მინისტრის, ბაჩო ახალაიას და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თავმჯდომარის, დათა ახალაიას მამაა.

წლევანდელ აღლუმში არ მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფები. წელს პოლიციის აღლუმი ცალკე, 6 მაისს გაიმართა. 26 მაისის აღლუმი დამოუკიდებლად ჩაატარა თავდაცვის სამინისტრომ და ამ დღეს ჯარის ახალი სამხედრო ფორმა და ახალ ფერებში შეღებილი სამხედრო ტექნიკა წარმოადგინა.

რადიკალურად განწყობილი ოპოზიციის ნაწილი მიიჩნევდა, რომ სამხედრო აღლუმი, შარშანდელის მსგავსად, არც წელს უნდა ჩატარებულიყო. ამ პოლიტიკოსების განცხადებით, წაგებული ომის შემდეგ არმიას ზეიმის მიზეზი არ აქვს. ამიტომაც, რუსთაველის გამზირზე ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არ მისულან. ლევან გაჩეჩილაძემ „გამარჯვების პარკში“ ვეტერანებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ 26 მაისს „მიხეილ სააკაშვილის შიზოფრენიას თავისუფლება მისცა“ და დაამატა, – „ქართულ ჯარს ჩვენ არაფერს ვერჩით, ჩვენ ვერჩით სააკაშვილს“. რუსთაველის გამზირზე არ გამოჩენილან არც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები, თუმცა ოპოზიციის ბოიკოტს დაგეგმილი ღონისძიების ჩატარებისთვის ხელი არ შეუშლია. ნაციონალური ტელეარხების წყალობით, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი მმართველი გუნდის წინასაარჩევნო კამპანიის ექსკლუზიურ ღონისძიებად იქცა.

ღია ცა კონფლიქტური ჰებიონის თავზე

უცხოელი დამკვირვებლების ვერტმფრენმა კონფლიქტის ზონაში, ახალგორში პანიკის საფუძველი შექმნა.

ოლესია ვართანიანი

გასულ ხუთშაბათს რუსმა მესაზღვრეებმა რვა საათით შეაჩერეს საავტომობილო მოძრაობა მათი საგუშაგოს გავლით, ახალგორის რაიონში.

ეს მოულოდნელად გაკეთდა. რამდენიმე სამარშრუტო მანქანამ თბილისიდან რუსულ საგუშაგოზე შემოწმება გაიარა და ახალგორში შევიდა, რის შემდეგაც კოლეგა-მძღოლებმა ისინი ტელეფონის ზარებით აიკლეს.

აღმოჩნდა, რომ მას შემდეგ, რაც ეს რამდენიმე მანქანა ახალგორში შევიდა, საგუშაგო მოულოდნელად დაიკეტა. მესაზღვრეებმა მანქანების უკან გაბრუნება დაიწყეს ყოველგვარი მიზეზის ახსნის გარეშე. რამდენიმე ხანში მათ მგზავრებს შესთავაზეს, მანქანები საგუშაგოზე დაეტოვებინათ და ახალგორამდე გზა ფეხით გაეგრძელებინათ.

ამან თავიდან ადგილობრივი მოსახლეობის გაოცება გამოიწვია, მოგვიანებით კი – პანიკა. მათი თქმით, მანამდე მსგავსი არაფერი მომხდარა.საგუშაგოს გავლით მოძრაობა დიდი-დიდი ორი საათით შეეჩერებინათ, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი რაიონში შუქს გამორთავდნენ და მესაზღვრეებს რაღაც დროის მანძილზე გამვლელთა კომპიუტერით რეგისტრაციის საშუალება არ ჰქონდათ.

ადმინისტრაციული საზღვრის მოულოდნელმა ჩაკეტვამ ის გამოიწვია, რომ ორი საათის შემდეგ ადგილობრივმა მოსახლეობამ ახალგორის დატოვება დაიწყო. ზოგი შიშობდა, რომ გზა შეიძლებოდა სამუდამოდ ჩაეკეტათ, სხვები ფიქრობდნენ, რომ რუსები რაიონში რაღაცისთვის ემზადებოდნენ.

ამ ყველაფერს დაემატა ცაში ვერტმფრენი და სატვირთო მანქანა რუსი ჯარისკაცებით, რომლებიც ადმინისტრაციულ საზღვართან გადაისროლეს.

„აქ ეს ჭორები სულ დადის, რომ საზღვარი შეიძლება დაკეტონ ან საგუშაგოს გადაკვეთის წესები შეცვალონ. ჩვენთვის კონკრეტულად არავის არაფერი უთქვამს, მაგრამ ახლა ხალხში ასეთი ხმა გავრცელდა, რომ შეიძლება რაიონი არჩევნებამდე დაკეტეს“, – თქვა ახალგორის მცხოვრებმა თამარ მეარაკიშვილმა.

სიტუაცია იმის გამოც გამწვავდა, რომ დილიდან გამორთული იყო რუსული ფიჭური კომპანია „მეგაფონი“, და ადგილობრივები რამდენიმე საათის განმავლობაში ვერ უკავშირდებოდნენ ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს.

ერთ-ერთ მათგანს, ალან ჯუსოევს, მოსახლეობამ იქაურ რესტორანში მიაგნო. ის პირადად გაეშურა რუსული საგუშაგოსკენ, იმის გასარკვევად, თუ რატომ აიკრძალა ავტომობილით გადაადგილება.

„დღეს, დილის ათ საათზე საქართველოს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენმა 40-50 მეტრის სიმაღლეზე გადაუფრინა სამხრეთი ოსეთის ლენინგორის რაიონის სოფლებს – წინაგარასა და ორჭოსანს. ამასთან დაკავშირებით საზღვარი ჩაიკეტა“, – განაცხადა ჯუსოევმა უკვე რუს მესაზღვრეებთან შეხვედრის შემდეგ.

„მე არაფერზე ვღელავ, ჩვენთან ყველაფერი ნორმალურადაა. საქმე ისაა, რომ ვერტმფრენი არ ჩამოაგდეს, გაუშვეს. თუმცა, მოსახლეობა მიახვედრეს, რომ თუკი ასეთი აქციები მომავალშიც გაგრძელდება, უბრალოდ საზღვარს ჩაკეტავენ და ადეკვატურ ზომებს მიიღებენ“.

თბილისში განაცხადეს, რომ ქართველმა პოლიციელებმა ახალგორის საგუშაგოს მახლობლად ხუთშაბათს დილით დაინახეს მფრინავი აპარატი. მათ ის თვითმფრინავ „სუ-25“-ად მიიჩნიეს და გადაწყვიტეს, რომ ეს რუსული თვითმფრინავი იყო.

დღის მეორე ნახევარში ცნობილი გახდა, რომ დილით ახალგორის ტერიტორიაზე გადაიფრინა კანადელი, ფრანგი და იტალიელი დამკვირვებლების თვითმფრინავმა. ისინი ქართული ტერიტორიის საჰაერო დათვალიერებას აწარმოებდნენ შეთანხმება „ღია ცის“ ფარგლებში. ეს საქართველოს საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებმაც დაადასტურეს.

ამ შეთანხმებას ხელი მოაწერა ევროპის წევრმა 34-მა ქვეყანამ. შეთანხმება ნებას რთავს თითოეულ წევრს, მოითხოვოს სხვა წევრი ქვეყნის ტერიტორიის საჰაერო დათვალიერება და გადაიღოს ფოტოები, მათ შორის – სამხედრო ობიექტებისაც. საქართველოში ასეთი დათვალიერება შარშან შემოდგომაზე ჩაატარეს რუსმა და ბრიტანელმა დამკვირვებლებმა.

შეთანხმების მიხედვით, თვითმფრინავი არ უნდა შეფრინდეს ისეთ ტერიტორიაზე, სადაც ის შეიძლება ჩამოაგდონ. ასეთი შეზღუდვა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზეც ვრცელდება, რადგან იქ ეს თვითმფრინავი, შესაძლოა, ჩამოაგდონ. დამკვირვებელთა უსაფრთხოებაზე პასუხს ქართული მხარე აგებს, და იმ შემთხვევაში, თუკი გასულ ხუთშაბათს ახალგორში თვითმფრინავს ჩამოაგდებდნენ, ამაზე პასუხის გაცემა თბილისს მოუწევდა.

გამჭვირვალე ჰომოფობია

სასამართლო დეპუტატობის კანდიდატის მხრიდან ჰომოფობიურ განცხადებებს მისი რეგისტრაციიდან მოხსნის სათანადო მიზეზად არ მიიჩნევს.

ნათია გულიაშვილი

„დღეს პირველი გამარჯვება იყო... წინ ბევრი გველის...“ 25 მაისს ეს სიტყვები პარტია „თავისუფლების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა, ლადო სადღობელაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გამოაქვეყნა. ამ დღეს თბილისის საქალაქო სასამართლომ საია-ს დამკვირვებლების გიორგი გოცირიძისა და თამარ კორძაიას სარჩელი, რომელიც საარჩევნო კომისიის მიერ სადღობელაშვილის კანდიდატად რეგისტრირების გადაწყვეტილების გაუქმებას ითხოვდა, არ დააკმაყოფილა.

არჩევნების წინა პერიოდში „ფეისბუქზე“, სადღობელაშვილის პირად გვერდზე გამოქვეყნებული ჰომოფობიური შინაარსის განცხადებების შესახებ „ლიბერალი“ წინა ნომერში წერდა. სწორედ ეს განცხადებები გახდა საფუძველი საია-ს საჩივრისთვის, რამდენადაც ორგანიზაციამ სოციალურ ქსელზე ამგვარი საჯარო განცხადებები და დაპირება („ყველა გეი დაისჯება...პირობას ვიძლევი“) კანდიდატის საარჩევნო პროგრამის ნაწილად მიიჩნია. თუმცა მოძრაობა „თავისუფლების“ დეპუტატობის კანდიდატს არ გაუზიარებია შოტლანდიის კონსერვატორული პარტიის წარმომადგენელი კოლეგის ბედი და ერთი თვის წინანდელი პრეცედენტი, როდესაც პოლიტიკოსს, ჰომოფობიური განცხადების ინტერნეტსივრცეში განთავსების გამო, პარტიის რიგების დატოვება მოუხდა.

სასამართლო პროცესზე საია-ს მიერ ამონაბეჭდი სახით მოტანილი ფაქტობრივი მტკიცებულება – სადღობელაშვილის პირადი გვერდიდან მისი სახელით გამოქვეყნებული ფრაზები – სასამართლომ დადასტურებულ მტკიცებულებად არ ჩათვალა, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დეპუტატობის კანდიდატმა უარყო ამ სიტყვების ავტორობა, გარდა ზემონახსენები დაპირებისა, რომელიც მოპასუხემ იმით გაამართლა, რომ გეების დასჯაში ღმერთის მიერ მათი დასჯის პირობას იძლეოდა. სასამართლო კი აღარ ჩაეძია მტკიცებულებების ნამდვილობას და ამდენად, მოტანილი ციტატები არც საარჩევნო კამპანიის ნაწილად მიიჩნია.

„მე არ ვიცი, ქართულ რეალობაში როგორ შეიძლება სხვანაირად წარადგინო მტკიცებულება, ინტერნეტიდან ამობეჭდილის გარდა, სხვა სახით. ასე ვერც ერთი სასამართლო ვერასოდეს დაადგენს, რეალური ფაქტი არსებობდა თუ არა, თუ საქმე ეხება ელექტრონულ მტკიცებულებებს“, – აცხადებს თამარ კორძაია.

პროცესზე დავა იმასაც შეეხებოდა, არის თუ არა „ფეისბუქი“ დახურული სივრცე და ამ სივრცეში გაკეთებული განცხადებები საარჩევნო პროგრამის ნაწილი. სასამართლო, გარდა იმისა, რომ სადღობელაშვილის უარი იკმარა, ის ციტატების ავტორად არ მიეჩნია, ავტორობის დადასტურების შემთხვევაშიც, ამ ფრაზებს არ მიიჩნევდა საარჩევნო პროგრამის ნაწილად. გადაწყვეტილების ამ ნაწილს მოსარჩელე მხარე დაუსაბუთებელს უწოდებს. მათი თქმით, „საარჩევნო პროგრამა“ კონკრეტულად არაფრით განიმარტება და, შესაბამისად, კანდიდატის ნებისმიერი საჯარო განცხადება თუ დაპირება შეიძლება ამ პროგრამის ნაწილი იყოს. აქედან გამომდინარე, მათ სადღობელაშვილის ჰომოფობიური განცხადებები საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მეორე პუნქტის დარღვევად მიიჩნიეს, რომელიც საარჩევნო პროგრამაში გარკვეულ ქმედებებს და განცხადებებს დაუშვებლად მიიჩნევს.

თუმცა პრობლემა, გარდა ციტატების ავტორის იდენტიფიკაციის და საარჩევნო პროგრამის განმარტებისა, ისაა, რომ ზემოთ ნახსენები მუხლის ჩამონათვალში ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული შუღლის, ეთნიკური და რელიგიური დაპირისპირებისკენ მოწოდების დაუშვებლობის გვერდით ჰომოფობიური შინაარსის განცხადებებზე კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. ამდენად, მოპასუხე მხარეს საბუთად მხოლოდ ისიც ექნებოდა, რომ ასეთი შინაარსის განცხადება არაა საარჩევნო კოდექსის დარღვევა და არც კანდიდატის რეგისტრაციიდან მოხსნის საფუძველი.

სასამართლოს რეზოლუციით, საია-მ მოთხოვნა არაშესაბამისი მუხლით წამოაყენა. კანდიდატის რეგისტრაციის გაუქმება მხოლოდ საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-9 პუნქტში ჩამოთვლილი პირობების დარღვევის შემთხვევაშია შესაძლებელი, თუმცა ამ პირობების გათვალისწინებით გამოდის, რომ რეგისტრაციის მოხსნის საფუძველი ვიწროდ – ამომრჩევლის მოსყიდვამდე დაიყვანება, რასაც საია-ს იურისტები ფუნდამენტურად არასწორს უწოდებენ.

„საარჩევნო კოდექსი არ არის სამართლებრივ რეალობას მოწყვეტილი ერთადერთი კოდექსი, რომლითაც შეიძლება იდავო საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევაზე.

ერთ კოდექსში ვერ ჩაიწერება ყველა დარღვევა და ის ვერ გაითვალისწინებს ყველაფერს, რისი დარეგულირებაც გვინდა. ჰომოფობიური და ძალადობრივი მოწოდება მსოფლიოს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში იზღუდება და იქ ამაზე შესაბამისი პასუხისმგებლობაა“, – აცხადებს კორძაია.

სასამართლო პროცესზე მისმა კოლეგამ, გიორგი გოცირიძემ გერმანიისა და იტალიის კანონმდებლობის მაგალითიც მოიტანა, სადაც ძალადობრივი თუ ფაშისტური განცხადებები, არათუ საარჩევნო რეგისტრაციიდან მოხსნას ითვალისწინებს, არამედ – ზოგ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემასაც.

რეზოლუციის ბოლო ნაწილში სასამართლომ აღიარა კონსტიტუციის მეთოთხმეტე მუხლით დაცული ადამიანთა თანასწორობა, მიუხედავად მრავალი ნიშნით მათი განსხვავებებისა, თუმცა ეს არ აღმოჩნდა საკმარისი, რომ სადღობელაშვილის ჰომოფობიური განცხადებები, კანდიდატად მის რეგისტრირებასთან მიმართებაში, წინააღმდეგობრივად მიეჩნია.

ფინიშთან

წინასაარჩევნო პერიოდში ტელემაუწყებლები მეტ ანგარიშვალდებულებას პოლიტიკური სუბიექტების მიმართ ავლენდნენ და არა – ამომრჩევლებისადმი.

რუსუდან რუხაძე



„მე არ ვიცნობ საარჩევნო კამპანიას ბევრგან მსოფლიოში, სადაც ყველა პარტიას ამდენი საათი შეუძლია ყველა არხზე ილაპარაკოს“, – მედიის „წარმოუდგენელ ხელმისაწვდომობას“ გაუსვა ხაზი პრეზიდენტმა უმრავლესობასთან შეხვედრისას არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე.

„რა ღირს სიშიშვლე ჰოლივუდსა და საქართველოში, რის სანაცვლოდ შიშვლდებიან ვარსკვლავები კინოკამერების წინ“, „ვინ არის 23 წლის ქეთი ფარცვანია, შიშველი სილამაზე „ქრონიკის“ ობიექტივში“, „ჩინური ინიციალები, ვინ და რატომ იკეთებს სვირინგს, ნახეთ თბილისური ტატუ“, – საღამოს „ქრონიკის“ ანონსებში ბოლო კვირის განმავლობაშიც ვერ მოხვდა საარჩევნო საკითხები, თუმცა გამოშვებაში ნახავდით, როგორ დაუშინეს კვერცხები კობა დავითაშვილს, როგორ უწოდა მსმენელმა ზვიად ძიძიგურს რადიოში მოლალატე, როგორ ემზადება საპრეზიდენტო არჩევნებისთვის და რას იწერება სანკტ-პეტერბურგიდან ალიკ ბაზარი (ალექსანდრე ებრალიძე); როგორ უჩივის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია „თავისუფლების“ მაჟორიტარ კანდიდატს ლადო სადღობელაშვილს ძალადობრივი მოწოდებებისთვის და ა.შ.

26 მაისის სამზადისი და დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნა ბოლო წინასაარჩევნო კვირის მთავარი მოვლენა იყო. თემას ნაციონალურ მაუწყებლებზე 40-45 წუთი დაეთმო. ეს დღე იზეიმა ხელისუფლებამაც და ოპოზიციამაც, თუმცა ცალ-ცალკე. „ეს ხმა იარაღის ჟღარუნი კი არ არის, ჩემო მეგობრებო, ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრიობის გულის ფეთქვის ხმა“, – მიმართა ქვეყნის მთავარსარდალმა აღლუმის მონაწილეებსა და სტუმრებს რუსთაველის გამზირზე. „დღევანდელი დღე არის პოლიტიკის მიღმა, დღეს ყველა ვზეიმობთ“, – განაცხადა ირაკლი ალასანიამ. „აღვნიშნავთ დამოუკიდებლობის დღეს ბიჭებთან ერთად, ჩემს ბიჭებს სააკაშვილზე ნაკლებად არ უყვართ მანქანებით სეირნობა და ეხლა უნდა ვასეირნო“, – ასე აღნიშნა დღესასწაული ზვიად ძიძიგურმა „გამარჯვების პარკში“.

ევროპის მოედანზე ყვავილების საათის ასამუშავებლად, მანამდე კი საბურთალოს ესტაკადის გახსნაზე გიგი უგულავა პრეზიდენტთან ერთად კიდევ ერთხელ გამოჩნდა. „პროექტი გადასარევია და მალადეც, ვინც ეს მოიგონა“, – აღნიშნავდა კმაყოფილი მძღოლი და ახალი ამბის მთავარი არსიც სწორედ ეს იყო.

„კურიერმა“ წინასაარჩევნო პერიოდში თვითმმართველ ქალაქებზე მომზადებული სიუჟეტების სერია ქუთაისით დაასრულა: კონტროლის პალატის და საგზაო დეპარტამენტის ახალი შენობების გახსნა, ბაგრატის ტაძრის მონახულება და იქვე სახელდახელოდ პრეზიდენტის მხრიდან ხალხის აზრის მოსმენა რესტავრაციის მიზანშეწონილობაზე, პრეზიდენტის მიერ ყუმისთავის მღვიმესთვის პრომეთეს სახელის მინიჭება. „დამკვრელური ტემპით ყველაფერი გამოვიდა აქ, ნაჩქარევად და ფურთხით არაფერია გაკეთებული“, – აღნიშნა პრეზიდენტმა აღმშენებლობაზე აქცენტით მომზადებულ ახალ ამბავში. თვითმმართველ ქალაქებზე „კურიერის“ სიუჟეტებში მთავარი ღერძი მხოლოდ სამთავრობო გუნდის წარმატება იყო და არა ის პრობლემები, რაც რეალურად ამ ქალაქების და მათი მკვიდრების წინაშე დგას.

„მოამბის“ მიერ მომზადებული სიუჟეტების მიხედვით კი, თვითმმართველი ქალაქების (ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ფოთი) ძირითად პრობლემას ნაკლები ავტონომიურობა წარმოადგენდა. „თვითმმართველი რას ნიშნავს, რომ თვითონ ქალაქის მოსახლეობამ უნდა მართოს“, „აქ ფოთელები არაფერს წყვეტენ, ეს არ არის თვითმმართველი ქალაქი“, – აცხადებდნენ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები და ადგილობრივი თვითმმართველობების შეზღუდულ უფლებებზე, პრიორიტეტების დამოუკიდებლად განსაზღვრაზე და ბიუჯეტის განკარგვის საკითხებზე საუბრობდნენ. თუმცა ქალაქის მცხოვრებთა ხმები არც ამ სიუჟეტებში ისმოდა.

28 მაისს „იმედმა“ ვრცელი მასალა უძღვნა პრეზიდენტის მიერ ქუთაისში სტადიონის გახსნას. „მე მოგიწოდებთ 30 მაისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მხარი დაუჭიროთ აღმშენებლობის, კორუფციასთან ბრძოლის და საქართველოს გაერთიანების „ნაციონალური მოძრაობის“ კურსს“, – მიმართა შეკრებილ ქუთაისელებს სააკაშვილმა, როგორც „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა და მოქალაქემ. ბოლო კვირის განმავლობაში პრეზიდენტის განსაკუთრებულმა აქტიურობამ მისცა ტონი საარჩევნო საკითხებს და, რა თქმა უნდა – მმართველი გუნდის კანდიდატების სასარგებლოდ.

რა უჯდება ქვეყანას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, რა ბედი ეწევა საკაშვილს ახალ საკონსტიტუციო სივრცეში, იყო თუ არა ყოფილი თავდაცვის მინისტრი კეზერაშვილი ჩართული იარაღის შეძენის კორუფციულ სქემაში – ამაზე უკვე განახლებული „მაესტრო“ საუბრობდა. კვირის ბოლოს კი მთავარი თემა ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებები და მასზე ოპოზიციური კანდიდატების კომენტარები იყო. „ჩემი ამბიციაა, ქვეყანაში დავბრუნდე და ეგ რეჟიმი დამთავრდეს“, – განაცხადა ოქრუაშვილმა პარიზიდან.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინასაარჩევნო სიუჟეტი იყო „მაესტროს“ მიერ მომზადებული მასალა გია ჭანტურიას გაზის ტარიფის შესახებ. კანდიდატის დაპირება შაჰდენიზის კონსორციუმთან გაფორმებული კონტრაქტის პირობებს ეფუძნება. სიუჟეტში გრაფიკულად თვალსაჩინოდ იყო წარმოდგენილი როგორც ჭანტურიას, ასევე მისი ოპონენტების სქემა, რომლებიც მიუთითებდნენ, რომ 10-თეთრიანი ტარიფი რეალურად მინიმუმ 30 თეთრია. ეს იყო გამონაკლისი წინასაარჩევნო ახალ ამბებში,

როდესაც ჟურნალისტმა სიღრმისეულად განიხილა კანდიდატის დაპირება. თუმცა, რადგან ეს იყო გამონაკლისი და არა რუბრიკა, მაინც ტენდენციურობის ჭრილში ჯდება. ამას ემატება ისიც, რომ სიუჟეტში მხოლოდ მისი ოპონენტი ექსპერტების მოსაზრებები იყო წარმოდგენილი.

საზოგადოებრივ მაუწყებელზე ბოლო კვირის რუბრიკაში სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტის პროგრამულ დაპირებებს კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი. რამდენადაა ასახული მოსახლეობის მოთხოვნები პროგრამებში და რამდენად რეალისტურია ისინი, – ასე წარადგენდნენ წამყვანები კანდიდატების პროგრამების შესახებ მომზადებულ შემაჯამებელ სიუჟეტებს. თუმცა, ეს იყო პროგრამების კიდევ ერთხელ ზედაპირული წარდგენა, დაპირებების ყოველგვარი ღრმად განხილვის გარეშე.

რაც შეეხება „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ მიერ ორგანიზებულ დებატებს, სადაც სხვადასხვა პოლიტიკურმა ჯგუფმა („ეროვნული საბჭო“, „თორთლაძე-დემოკრატები“, „ალიანსი“, „თოფაძე-მრეწველები“ და ბოლოს „ნაციონალური მოძრაობა“) საკუთარი წინასაარჩევნო პროგრამები წარადგინა, მაუწყებლებმა ჯეროვნად არ გააშუქეს და შეხვედრები ძირითადად წინასაარჩევნო ქრონიკაში მოათავსეს. „კავკასიამ“ კი განსაკუთრებულად „ალიანსის“ პროგრამის წარდგენა გააშუქა.

არჩევნებამდე ბოლო კვირის განმავლობაში საინფორმაციო გამოშვებებში შემცირდა დარღვევების და ზეწოლის ფაქტებზე მომზადებული სიუჟეტები, ხოლო ის ახალი ამბები, რომლებიც კანდიდატთა პროგრამებს ეხებოდა, ძირითადად პოლიტიკური სუბიექტებისთვის დროის თანაბრად დათმობის ვალდებულებას ემსახურებოდა.

ამომრჩევლის მხრიდან კი ადგილობრივი თვითმმართველობის წინასაარჩევნო კამპანიამ მედიისადმი არცთუ დიდი ნდობის ფონზე ჩაიარა. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევის მიხედვით, 35 პროცენტს „მოამბის“ ახალი ამბები მთავრობის ინტერესების გამომხატავი ჰგონია, მოდელირებული „ქრონიკის“ შემდეგ კი „იმედის“ ახალი ამბებისადმი გამოკითხულთა 48 პროცენტის დამოკიდებულება უარყოფითად შეიცვალა. „ბევრად მეტი გვინდოდეს ჩვენ გულში“, – აღნიშნა ოპოზიციური კანდიდატების პროგრამებზე პრეზიდენტმა. იქნებ იგივე იყო ამომრჩევლის მოთხოვნაც მედიისადმი.

P.S. აუდიოინტერვიუების სრულად მოსმენა შეგიძლიათ „ლიბერალის“ ვებგვერდზე.

ჟურნალისტები მედიის შესახებ

ნინო დანელია, მედიამკვლევარი: „ის, რაც ხვდება მედიის პირველ ბლოკში, განსაზღვრავს საზოგადოების დღის წესრიგს. შეგვიძლია განვაზოგადოთ, პირველ ბლოკში მოხვედრილი ამბები უფრო მნიშვნელოვანია, უფრო მეტად იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, იწვევს სჯა-ბაასს, კრიტიკას ან პირიქით, დათანხმებას საზოგადოების მხრიდან, ვიდრე მომდევნო ბლოკებში მოხვედრილი ამბები. ის, რაც მოხვდება პირველ ბლოკში, უდავოდ იქნება უფრო მნიშვნელოვანი საზოგადოებისთვის“.

ნინო ჯანგირაშვილი, ტელეკომპანია „კავკასიის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი: „მთავარია, ჩვენი ეთერი ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის, რათა პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი წინასაარჩევნო აქტივობა აჩვენონ და მაყურებლამდე მიიტანონ თავისი სათქმელი. რომელი უფრო თანაბრად გააკეთებს, ეს უკვე მათ მარიფათზე, ტემპერამენტსა და პოლიტიკურ პოზიციაზეა დამოკიდებული. პარტიების მაგივრად შემდეგ ტელევიზიებს მოვთხოვოთ ბალანსი, მთლად გამართლებული არ უნდა იყოს. ბალანსის მექანიკურად დათვლა უბრალოდ არასწორია“.

ხათუნა ბერძენიშვილი, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი: „ჩვენი მთავარი ამოცანაა, ამომრჩეველს დავეხმაროთ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში ვიღებთ ისეთ ხელისუფლებას, რა არჩევანსაც ვაკეთებთ. „მოამბის“ პრიორიტეტული ამოცანაა, ჩამოიშოროს სტატუსი, რომ ის ხელისუფლების რუპორია. ამ სტერეოტიპის ჩამოშორებას ყოველდღიური მუშაობა სჭირდება. აქ აქცენტირებულად ხელისუფლება თავის ინტერესს ვერ გაატარებს იმიტომ, რომ „მოამბე“ პირველ რიგში საზოგადოების ინტერესების გამტარებელია“.

თამარ ჩიქოვანი, ჟურნალისტი: „საარჩევნო ახალი ამბების გაშუქებაში არაფერი შეცვლილა. მაუწყებლები მთლიანად იმ დღის წესრიგზე არიან მიბმულები, რომელიც ამა თუ იმ პოლიტიკოსებმა განსაზღვრეს. ამას მიჰყვება მედია. არ მზადდება სიუჟეტები იმის შესახებ, თუ რა დევს სიღრმისეულად პროგრამებში, ან როგორ მოვიდნენ დღემდე ეს პოლიტიკოსები. რატომ უნდა ვენდო, ან არ უნდა ვენდო მათ – ამის შესახებ უნდა მიამბონ ჟურნალისტებმა“.

ია ანთაძე, ჟურნალისტი: „მოქალაქეებმა თავისი ყოფის შესახებ იციან გაცილებით მეტი რამ, ვიდრე ვიცით ჩვენ, ჟურნალისტებმა. ზოგიერთი ამბავი მოდის ჟურნალისტამდე, მაგრამ ბევრი იკარგება მოქალაქესა და ჟურნალისტს შორის. ამიტომ უნდა შევქმნათ მოქალაქე ჟურნალისტების ინსტიტუტი. ვეცდებით, არჩევნების პერიოდში გამოვიყენოთ ეს ახალი სისტემა. ეს თუ აეწყო, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში უკვე არსებობს“.

ნინო ჟიჟილაშვილი, ჟურნალისტი: „ჩვენი მისია წინასაარჩევნო პერიოდში ნამდვილად არ არის რეკლამირება. ჩვენი მისიაა საზოგადოების მხარეს ყოფნა, რაც იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებაში გაჩენილი ყველა კითხვა უნდა დავსვათ ყველა დაპირებასთან, თუ პროგრამაში გაწერილ პუნქტთან დაკავშირებით, რასაც ვერ ვხედავ. კონტექსტს აქვს ყველაზე დიდი მნიშვნელობა, რადგან სწორედ კონტექსტის შეფუთვაა პროპაგანდისტული ჩვენს ტელევიზიებში“.

ზვიად ქორიძე, ჟურნალისტი: „საერთოეროვნული მაუწყებლების წინასაარჩევნო ეთერი არსებითად განსხვავდება იმ ტელევიზიებისგან, რომლებიც მხოლოდ თბილისში მაუწყებლობენ. ადგილობრივი მედია უფრო მეტად აშუქებს ამბებს ზეწოლის ფაქტებზე, მაგრამ ისინი შემდეგ აღარ ხვდება ეროვნულ მაუწყებლებში. რეგიონულ მედიაზე მოსახლეობის უმეტესობას არ მიუწვდება ხელი და გვრჩება აბსოლუტურად სხვა რეალობა. პოლიტიკური რეკლამა რომ არ იყოს, ვერც კი გავიგებდით, ვინ არიან მერობის კანდიდატები თბილისში. ისტორიულ პერსპექტივაში, მხოლოდ მედიის საერთო სურათით, გაგვიჭირდება იმის დანახვა, როგორი იყო 2010 წლის არჩევნები“.

USAID
ამერიკის ხალხისაგან

სტატიის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს USAID-ის მხარდაჭერით. სტატიაში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ გამოხატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

ზურაბ ეზუგბაია
68 წლის. თბილისი
აუცილებლად მივდივარ, ყველა უნდა მივიდეთ და იმიტომ. თუმცა დიდად ახლის მოლოდინი არ მაქვს, ისევ ძველი გაიმარჯვებს, ჩემი აზრით. პირადად მე ჯერ კიდევ ვფიქრობ კანდიდატებს შორის არჩევანზე.

ჯანდა ჯაბუა
გაზეთის გამყიდველი, ზუგდიდი
მივდივარ აბა რა, აუცილებლად მივალ არჩევნებზე და მივცემ ხმას ჩემს რჩეულს. რატომ მივდივარ? მინდა უკეთესი ცხოვრება იყოს, უკეთესობისკენ წავიდეს საქმე.

ლევან მეტრეველი
45 წლის. თბილისი
„მივდივარ. რატომ და, იქნებ ეს ხელისუფლება რამენაირად შეიცვალოს. სხვა დროს არ წავიდოდი, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამით ვუბიძგებთ, მალე წავიდნენ.

ნინო სირბილაძე
22 წლის. თბილისი
არჩევნებზე მივდივარ იმისთვის, რომ ხმა ჩემს რჩეულს მივცე. ამავე ტემპის შენარჩუნების სურვილი მაქვს. სხვა კანდიდატების პროგრამებს, რასაც ვხედავ, არც ერთი არ მომწონს. მათგან არათუ პროგრესს, თითქოს უკანა დროში დაბრუნების ტენდენციებს ვხედავ.

თამაზ თოლორაია
36 წლის, უმუშევარი. ზუგდიდი
ყველა მოქალაქის ვალდებულებაა არჩევნებზე მისვლა და საკუთარი არჩევანის დაფიქსირება. ამ არჩევნებისგან ველი უკეთესობას, პირველ რიგში – სამუშაო ადგილების შექმნას.

მარიკა ბუაძე
დიასახლისი, 55 წლის. ზუგდიდი
„30 მაისს არჩევნებზე მივდივარ და მოვიხდი ჩემს მოქალაქეობრივ ვალს. მივდივარ იმიტომ, რომ უკეთესი მომავლის იმედი მაქვს. იმედი მაქვს, რომ საღი ძალა გაიმარჯვებს. თვითმმართველობის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩვენ ჩვენი ქალაქის, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები უნდა ავირჩიოთ.

დათო მალაღურაძე
48 წლის. თბილისი
რასაკვირველია, მივდივარ. ცვლილებას რაც შეეხება, სუბიექტური აზრია, მაგრამ მგონია, რომ არჩეულს და დანიშნულს შორის დიდი განსხვავებაა. ხალხის მანდატი მეტ პასუხისმგებლობას შემატებს მერს და ამიტომ ველოდები ცვლილებასაც.

მიდიხართ თუ ...
და ...

დარეჯან ბეგაშვილი
46 წლის. თბილისი
რა თქმა უნდა, მივდივარ. მთავრობის შეცვლა და ახალი მერი მინდა. კანდიდატიც მყავს და იმედი მაქვს, შემისრულებს დანაპირებს, პირველ რიგში – დასაქმებას. ესაა ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი.

მაია კაკაბაძე
49 წლის. თბილისი
მივდივარ, ცვლილებებს ველოდები, თუმცა ამაში დარწმუნებული არ ვარ, იმედი კი მაქვს. არ ვიცი, ხმას ვის მივცემ, გამოკვეთილი კანდიდატი არ მყავს. მაგრამ მინდა, რომ ცვლილება მოხდეს, მინდა წავიდე და არ დარჩეს ჩემი ბიულეტენი იმისთვის, რომ ვინმემ გააყალბოს.

საარჩევნო უბანი, მაისი 2010

ფოტო: მარიამ ქორიძე/ეპოქა

...ია არჩევნებზე ...ტომ?

მერაბ გიგანი

უმუშევარი. ზუგდიდი

რა თქმა უნდა, მივდივარ. აუცილებლად წავალ არჩევნებზე. არ ვიცი, ამ არჩევნებით რა შეიცვლება და რა ძირეული ცვლილებები იქნება, მაგრამ მაინც მივდივარ იმისთვის, რომ ჩემი ხმა არ გაყალბდეს.

ნინო ფიფია

დიასახლისი. ზუგდიდი

აუცილებლად მივდივარ არჩევნებზე და ამ არჩევნებისგან ველოდები ცვლილებას უკეთესობისკენ. არჩევნებზე მივდივარ იმიტომ, რომ ხმა მივცე იმ ძალას, რომელსაც ვენდობი.

თვითმმართველობამ უნდა შეუწყოს ხელი ხალხს დასაქმებაში, ეს არის მთავარი პრობლემა რეგიონებისთვის და იმედი მაქვს, რომ 30 მაისს არჩეული ადგილობრივი მთავრობა პირველ რიგში ამ პრობლემას მიხედავს.

მარიკა ხოფერია

41 წლის. თბილისი

არ მივდივარ, იმიტომ რომ მგონია, მაინც ის გაიმარჯვებს, ვისთვისაც უნდა მიმეცა ხმა. დარწმუნებული ვარ, რომ გაიმარჯვებს. მერობის სხვა კანდიდატებთან არანაირი პრეტენზია არ მაქვს, უბრალოდ, ჩემი რჩეულის წარსული საქმიანობიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ ღირსეული კანდიდატია.

მარინა ლაბაძე

50 წლის. თბილისი

არჩევნებზე ვფიქრობ ჯერ კიდევ, არ ვიცი, თუ არ წავალ, ალბათ იმედგაცრუების გამო, რომ რაიმეს შეცვლის იმედი არ მაქვს. გზები კი კეთდება, მაგრამ ეს ადამიანის ცხოვრებას ვერ აუმჯობესებს. ეკონომიკური განვითარება, სოციალური პირობები არ იცვლება. ვერც ერთ კანდიდატს ვერ ვხედავ ამ ცვლილებებისთვის.

ირაკლი ყიფიანი

50 წლის. თბილისი

არ ვიცი, არა მგონია წავიდე, არაფერს ველოდები არჩევნებისგან. მგონია, რომ წარმოდგენილი კანდიდატებიდან ყველა ერთი ყაიდის ხალხია. ანუ, სულ ერთია, რომელი იქნება, სიტუაცია არ გაუმჯობესდება. მე მგონი, სულ სხვა ხალხი უნდა მოვიდეს. დღეს ვინც ჩანს, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით ნაკლებად ველი სიახლეს. ინტელექტი და განათლება არა აქვთ საკმარისი, რომ რამე შეცვალონ. გვყავს ხილული და მალული მტრები და ამათ იმის გარჩევაც კი არ შეუძლიათ, ვინაა მტერი და ვინ – მოყვარე.

ქეთი ჭუმბურიძე

23 წლის. თბილისი

არ მივიდვარ. იმიტომ, რომ მყარი პოზიცია არ მაქვს და არ მინდა, ტყუილად ვინმეს მივცე ხმა.

შორენა ბუჩუკური

ასაკს არ უთითებს. თბილისი

არ მაქვს გადაწყვეტილი, წავალ თუ არა. არ მყავს სასურველი კანდიდატი. მინდა, რომ უკეთესით შეიცვალოს, მაგრამ ვინ შეიძლება იყოს უკეთესი, არ ვიცი. ამიტომ, არ ვარ ჩამოყალიბებული.

არჩევნების შემდეგ

ამ წერილს არჩევნების შედეგების გამოცხადებამდე ვწერ, მაგრამ როცა თქვენ მას წაიკითხავთ, შედეგები უკვე გეცოდინებათ. უპირველეს ყოვლისა, ვიმედოვნებ, რომ შედეგები იქნება საბოლოო და ვინც გაიმარჯვებს, გაიმარჯვებს სამართლიანად და დანარჩენი კანდიდატები პატივს სცემენ მის გამარჯვებას.

მარკ მალენი

იმედგაცრუებას იწვევს 30%-იანი ბარიერის დაწესების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება. ეს იმას ნიშნავს, რომ რომელიმე კანდიდატს შეუძლია მოიგოს მეორე ტურის გარეშე ისე, რომ ორჯერ მეტმა ადამიანმა ხმა მის წინააღმდეგ მისცეს, ვიდრე – მის სასარგებლოდ.

თუ ასე მოხდა, ეს კატასტროფა იქნება. დიდი იმედი მაქვს, რომ გამარჯვებული დააგროვებს მეტ ხმას თავის სასარგებლოდ და ამომრჩეველთა ნებით გადალახავს იმ 50%-იან ბარიერს, რომელიც მთავრობამ ქვემოთ დასწია. არჩევნების შედეგებისადმი ხალხის ნდობას არასდროს ჰქონია ამხელა მნიშვნელობა. არჩევნებში დამარცხებულებს აქვთ უფლება, დარწმუნდნენ, რომ სამართლიანად წააგეს.

უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს ადგილობრივი მმართველობის გაუმართავი სისტემა აქვს. თბილისის გარდა, სხვა ქალაქებში მერობა არჩევითი არ არის და ისინი ცენტრალურ მთავრობაზე არიან დამოკიდებულები. ადგილობრივ მთავრობას საგადასახადო ძალაუფლება არ აქვს. ამ პირობებში, ცენტრალურ მთავრობას ეძლევა ტრანსფერების საშუალებით რეგიონების გაკონტროლების განუზომელი, არაფორმალური საშუალება – ისე, როგორც ეს შევარდნაძის ეპოქაში იყო. ადგილობრივ მთავრობას უკეთ ფუნქციონირებისთვის საკმარისი დამოუკიდებლობა უნდა ჰქონდეს, რომ გავლენა მოახდინოს მოქალაქეების ცხოვრებაზე. ახლა ასეთი დამოუკიდებლობა მას არ აქვს. ნიჭიერ ლიდერებსა და მენეჯერებს არ ეძლევათ სამართლიანი და კონკურენტული გარემო, რომ დაიკავონ ადგილობრივი სამთავრობო პოსტები და ადგილობრივ დონეზე აწარმოონ პოლიტიკა. საქართველოსთვის ეს დიდი პრობლემაა, რადგან ახლანდელი სისტემა ამ დაინტერესებულ პირებს ერთი ან მეორე მიმართულებით უბიძგებს: 1. მმართველ პარტიაში, სადაც მათ განუწყვეტლივ უწევთ საკუთარი ლოიალურობის დამტკიცება, ან 2. ოპოზიციურ პარტიებში, სადაც იმის დემონსტრირებას ცდილობენ, თუ რამდენად ხმამაღლა შეუძლიათ ყვირილი. სინამდვილეში კი ისინი ადგილობრივ საქმეებს უნდა მართავდნენ. მომავალი წელი სწორედ იმისთვისაა, რომ ცენტრსა და რეგიონებს შორის ძალთა გადანაწილების ოპტიმალური ვარიანტი მოიძებნოს და გამჭვირვალე ადგილობრივი არჩევნებით შესაძლებელი გახდეს გადაწყვეტილებების ადგილობრივ დონეზე მიღება.

მთავრობა უნდა დაემორჩილოს კანონის სულისკვეთებას და არა მხოლოდ ფორმალურ კანონს. ათასზე მეტმა საჯარო მოსამსახურემ წინასაარჩევნო პერიოდში კამპანიების წარმოებისთვის შვებულება აიღო. ეს ნიშნავს, რომ ისინი ფორმალურად კანონს არ არღვევენ, მაგრამ პატივს არ სცემენ კანონის არსს.

საქართველოს დღეს არაორდინარულად ძლიერი პრეზიდენტი და ძალიან სუსტი პარლამენტი ჰყავს. სამართლიანია იმაზე წუხილიც, რომ პრემიერ-მინისტრის გაძლიერებაზე მხოლოდ მას შემდეგ იფიქრებენ, როდესაც პრეზიდენტის ვადა დასრულდება. რა გადაწყვეტილებებიც უნდა მიიღონ ძალთა გადანაწილების, პარლამენტის დამოუკიდებლობისა და მთავრობის სტრუქტურის გარდაქმნის შესახებ, ეს საკითხები აუცილებლად უნდა გადაწყდეს მომავალი წლის განმავლობაში, ფართო კონსენსუსის გზით. მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე ამ გადაწყვეტილებებზე დროულად შეჯერება იმისათვისაა საჭირო, რომ ისინი პირად, ვიწროპარტიულ ინტერესებს არ დაეფუძნოს. დაგვიანების შემთხვევაში, ამას ვერ ავცდებით.

მმართველი პარტია ამ დისკუსიებში გაცილებით უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ვიდრე ოპოზიციური პარტიები. სირთულეების უმრავლესობა, რასაც ოპოზიცია გასული 7 თვის განმავლობაში აწყდებოდა, შეიძლება მივაწეროთ ოპოზიციური პარტიების მხრიდან დისკუსიის წარმართვის უუნარობას, და მათ შორის ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობას. ცალკე საკითხია მათი მთავრობასთან ურთიერთობა. ქართული სახელმწიფოს მმართველობის სტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით ოპოზიციამ გვერდზე უნდა გადადოს ამბიცია და ჩაებას დისკუსიაში, შემდეგ კი მხარი დაუჭიროს გამოსავალს.

მთავრობა უნდა დაემორჩილოს კანონის სულისკვეთებას და არა მხოლოდ ფორმალურ კანონს. მაგალითად, ათასზე მეტმა საჯარო მოსამსახურემ წინასაარჩევნო პერიოდში კამპანიების წარმოებისთვის შვებულება აიღო. ეს ნიშნავს, რომ ისინი ფორმალურად კანონს არ არღვევენ, მაგრამ პატივს არ სცემენ კანონის არსს. თუ ადგილობრივი ჩინოვნიკები არც ისე გავლენიანი თვითმმართველობის არჩევნებზე იქცევიან ასე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რას იზამენ ისინი საპრეზიდენტო ან საპარლამენტო არჩევნებზე.

საარჩევნო კანონის გადაკეთებაზე ბევრი დროის დაკარგვა ამაო იქნება, თუ დიდი სურათის დანახვას ვერ შევძლებთ. ყოველთვის პრობლემური, მეორე ტურის განმსაზღვრელი ბარიერი არარელევანტური საკითხი გახდება, თუ პრეფერენციულ სისტემას დავამკვიდრებთ, რომლის მეშვეობით ამომრჩევლე-

ბი თავიანთი პრეფერენციების რანგირებას მოახდენენ. დიდი ბრიტანეთი და განვითარებული მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი სწორედ ამ მიმართულებით მიდის. როდესაც ამომრჩეველს საშუალება ეძლევა, დააფიქსიროს თავისი პირველი, მეორე და მესამე არჩევანი, მისი არჩევანი გაცილებით მეტ წონას და პოლიტიკურ ნიუანსს იძენს. ამომრჩეველი ამ შემთხვევაში არ არის ვალდებული, აირჩიოს ორი კანდიდატიდან ერთ-ერთი, ან ტაქტიკური ხმის მიცემის გადაწყვეტილება მიიღოს იმ პოპულარული კანდიდატის წინააღმდეგ, რომელიც კატეგორიულად არ მოსწონს.

საქართველოს ასევე სჭირდება, გადაწყვიტოს საარჩევნო ოლქების პრობლემა – კერძოდ ის, თუ როგორ მოხდება მაჟორიტარული ოლქების განსაზღვრა, ე.წ. ონი-ქუთაისის პრობლემა. ქუთაისში გაცილებით უფრო მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე ონში, მაგრამ პარლამენტში თითოეულს ჰყავს ერთი მაჟორიტარი დეპუტატი. ეს რთული პრობლემაა, რომელიც ყველა დემოკრატიულ რეჟიმს ახლავს, მაგრამ მისი გადაწყვეტა აუცილებელია სერიოზული და ფრთხილი მიდგომით, და იმის გამორიცხვით, რომ საარჩევნო ოლქებით მანიპულირება არ იქცევა იარაღად სახელისუფლებო კანდიდატების ან პარტიების ხელში, როგორც ეს არაერთ ქვეყანაში მომხდარა.

დღეიდან ერთი წელი, 2011 წლის 31 მაისამდე, საკმარისად დიდი დროა იმისათვის, რომ ეს გადაწყვეტილებები მიიღონ ყველა მხარის სასარგებლოდ და არა რომელიმე პოლიტიკური ძალისთვის ხელის შესაწყობად. ყველა ჟურნალისტმა და მოქალაქემ უნდა მოითხოვოს, რომ გაიმართოს დისკუსია და მიიღონ გადაწყვეტილებები. თუ ასე არ მოხდა, ჩვენ ყველამ უნდა დავსვათ კითხვები: ძალაუფლებაში მყოფმა პარტიებმა და ადამიანებმა ხელი შეუწყვეს მსგავს დისკუსიებს, თუ მათ უბრალოდ ბოლო წუთამდე მიიტანეს პრობლემა, რომ იგი თავის სასარგებლოდ გამოეყენებინათ? და მეორე: ყველაფერი გააკეთეს თუ არა ხელისუფლების გარეთ მყოფმა ძალებმა, რომ კეთილი ნების პრინციპით ჩაბმულიყვნენ დისკუსიებში, თუ ის დაამტკიცეს, რომ მათთვის საკუთარი ამბიციები და ოდიოზური კინკლაობები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე – საქართველოს მომავალი?

ყითხვაზე პასუხი აქ მაქვს

ინტერვიუ ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელთან, **ლევან ცუცქირიძესთან**

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, მოქალაქეების ნაწილმა არ იცის, სჭირდება თუ არა მას ახალი კონსტიტუცია.

ფოტო: ლევან ხარბედილაძე

რა პრიორიტეტები აქვს საზოგადოებას და როგორ აღიქვამს იგი საკონსტიტუციო რეფორმის მნიშვნელობას?

მოსახლეობის 22-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ საერთოდ არაფერი იცის დღევანდელი კონსტიტუციის შესახებ. ეს პრობლემაა, რადგან კონსტიტუცია ადამიანის უფლებების გარანტორია და ჩვენს ყოველდღიურობასაც განსაზღვრავს. თუმცა ვფიქრობ, იგივე კვლევა სხვა ქვეყნებშიც მსგავს შედეგებს მოგვცემდა და ეს მოულოდნელი არ იქნებოდა. პრობლემა ისაა, რომ ნაკლები ინტერესია რეფორმისა და სამუშაო პროცესის მიმართ. რესპონდენტთა ნახევარმა აღნიშნა, რომ არ იცის, რისთვის შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია, 48 პროცენტს კი არც იმაზე აქვს წარმოდგენა, საერთოდ სჭირდება თუ არა საქართველოს ახალი კონსტიტუცია.

„არ ვიცი“ – ეს ის მაჩვენებელია, რომელმაც ძალიან დაგვაფიქრა, თითქმის ყველა კითხვაზე ეს პასუხი დანარჩენებს სჭარბობს.

რა არის საზოგადოების არაინფორმირებულობის მიზეზი?

„არ ვიცი“ – ეს ის მაჩვენებელია, რომელმაც ძალიან დაგვაფიქრა, თითქმის ყველა კითხვაზე ეს პასუხი დანარჩენებს სჭარბობს. ერთი მხრივ, ამის მიზეზი არის ნაკლები აქტიურობა პოლიტიკური ორგანიზაციების მხრიდან, ნაკლები საუბარი ისეთ თემებზე, რომლებიც საზოგადოებას უფრო აინტერესებს.

მეორე მხრივ, დაბალი ინტერესი პოლიტიკური საკითხების მიმართ ერთგვარი იმედგაცრუების მაჩვენებელიცაა. პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო ორგანიზაციები ნაკლებად აქტიურები არიან რეგიონებში, ამიტომ იქ უფრო მწირი ინფორმაცია აქვთ პოლიტიკური პროცესების შესახებ, ვიდრე დედაქალაქში. ეს არის ზოგადად პოლიტიკური პარტიების სისუსტის მაჩვენებელი, ისევე – როგორც სამოქალაქო საზოგადოების.

რა გავლენა შეიძლება იქონიოს მიმდინარე რეფორმაზე საზოგადოების დაბალმა ჩართულობამ?

100-პროცენტიან ჩართულობას ვერ უზრუნველვყოფთ, მაგრამ ინტერესთა ჯგუფების თანამონაწილეობა მნიშვნელოვანია. ამასთანავე, კონსტიტუციის ცვლილება არ არის მხოლოდ ტექნიკური პროცესი, რამდენიმე იურისტი დაჯდება და შეიმუშავებს დოკუმენტს. მთავარია საზოგადოების მონაწილეობა. პროცესი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც შინაარსი. შეიძლება გვქონდეს კარგი შინაარსი, მაგრამ ის არ ასახავდეს საზოგადოებაში ფართო კონსენსუსს. ბოლო-ბოლო მოვა ახალი პოლიტიკური ჯგუფი და კანონის ხელმეორედ გადაკეთებას მოითხოვს. ეს კი პოლიტიკურ სისტემას სტაბილურ განვითარებაში ხელს შეუშლის. როცა სათამაშო მოედანი და თამაშის წესები ხშირად იცვლება, ორგანიზაციები ვერ ახერხებენ ადაპტაციას.

როგორია საზოგადოების დამოკიდებულება ხელისუფლების როლისადმი? რით ახსნით, რომ, 34 პროცენტის აზრით, ხელისუფლება, „როგორც მშობელი, ისე უნდა ექცეოდეს საკუთარ ხალხს“?

ეს არის იმ გარდამავალი პერიოდის ძალიან კარგი მაჩვენებელი, რომელშიც ვიმყოფებით. ჩვენი წარსულის ერთი დიდი ნაწილი არის ტოტალიტარული სახელმწიფო, მეორე – არშემდგარი სახელმწიფო. ახლა ვცდილობთ თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბებას. იმ ტოტალიტარული სახელმწიფოს ნაწილი კიდევ არის შემორჩენილი, ამიტომ მოქალაქეების ნაწილს სურს, რომ სახელმწიფომ მათზე მშობელივით იზრუნოს. ასევე არის მოსახლეობის 29 პროცენტი, რომელიც ხელისუფლებას მისდამი ანგარიშვალდებულად მიიჩნევს. 34 პროცენტს ამაზე პოზიცია არ გააჩნია. ქვეყნის მომავალი ბედისთვის მნიშვნელოვანი სწორედ ეს უკანასკნელი ჯგუფია, რომელმაც „არ იცის“, რა მიმართულებით გადაიხაროს. საითკენაც გადაიხრება იგი, სწორედ იქითკენ იქნება საზოგადოების მოთხოვნა მიმართული.

რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ მოქალაქეები ქვეყნის მმართველობის მოდელის არჩევისას?

სახელმწიფოს მმართველობის ფორმებს შორის 25%-ს ნახევრად საპრეზიდენტო მოდელი მოსწონს, ხოლო 16 %-ს – საპარლამენტო რესპუბლიკა. თუმცა, ხალხის შეხედულებებს მმართველობის ტიპზე პოლიტიკოსების მიმართ სიმპათიები განსაზღვრავს. ხელისუფლების მხარდამჭერები მეტად ემხრობიან ძლიერი პრეზიდენტის ინსტიტუტს, ხელისუფლების მოწინააღმდეგენი კი – ძლიერი პარლამენტის მოდელს.

რა მოლოდინი აქვს რეფორმისგან საზოგადოების იმ მცირე პროცენტს, რომელიც მეტ-ნაკლებად ინფორმირებულია? რა უნდა გაითვალისწინოს სამუშაო ჯგუფმა საკონსტიტუციო ცვლილებებზე მუშაობისას?

კვლევამ სამი ძირითადი მოლოდინი აჩვენა. მოქალაქეები საკონსტიტუციო რეფორმისგან ელიან, რომ ადამიანის უფლებები უკეთ იქნება დაცული, გაიზრდება სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხი და არჩევნები უფრო გამჭვირვალე გახდება. მოსახლეობა ასევე შეწუხებულია კონსტიტუციის ხშირი ცვლით. კონსტიტუცია არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი და იგი არ შეიძლება, ხშირად იცვლებოდეს იმისდა მიხედვით, კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფებს რა ინტერესები გაუჩნდებათ. ერთი მხრივ, არის საკონსტიტუციო კომისია, მეორე მხრივ – ჯგუფები, რომლებიც მის გარეთ მუშაობენ და ა.შ. ჩვენი სურვილია, რომ ყველანი თანამშრომლობდნენ და გადაწყვეტილებაც ფართო კონსენსუსით მიიღონ.

კვლევა ჩატარდა ჰოლანდიის მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის დაკვეთით







ფსევდოკონტროლი

მარკირების სითხის მოცილება შესაძლებელია. ხმების გაყალბების საწინააღმდეგო არაეფექტურ მექანიზმში 2010 წლის არჩევნებზე მილიონამდე ლარი დაიხარჯა.

ნინო გოგუა

მარკირების შემოწმების პროცედურა

„ჩავატაროთ ნებისმიერი ექსპერიმენტი!“ – თამამად მითხრა ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესსპიკერმა ჯული გიორგაძემ და ოთახში მარკირების სითხე და ფარანი შემოიტანა. „შენზე რომ ჩავატაროთ ცდა, უბანზე მარკირების კვალს გიპოვნიან და ხმას ველარ მისცემ. ამიტომ მე დავისხამ სითხეს, არჩევნების დღეს ძალიან დაკავებული ვიქნები და შეიძლება ხმის მიცემა ვერ მოვახერხო, – მითხრა და თეთრი ყუთიდან აეროზოლი ამოიღო, – არ მესმის, რატომ იგონებენ ოპოზიციონერები, თითქოს მარკირების სითხის მოცილება შესაძლებელია. რაში სჭირდებათ, ამომრჩეველს იმის შიში გაუჩინონ, რომ არჩევნები შეიძლება გაყალბდეს?!“ მელაპარაკება და თან თითებზე მარკირების სითხეს ისხამს. მე ფარნის ულტრაიისფერ შუქს ვანათებ. ხელი მოყვითალო-მომწვანოფრად უნათდება. „ახლა ვცადოთ!“ – მარკირების ადგილას ჩემ მიერ მინოდებულ სველ ბამბას ისვამს. ფარნის ულტრაიისფერ შუქზე მარკირების კვალი უფერულდება. „რა, წაიშალა?!“ – ბამბას სასწრაფოდ იშორებს და აგდებს. როცა რამდენიმე წუთში იმავე პროცედურას ვიმეორებთ, ჯულის ხელიდან მოყვითალო ლაქები საერთოდ ქრება, თითქოს მარკირება არც კი ჩაგვიტარებია.

ბამბა, რომელმაც ცესკო-ს თანამშრომლის თითებიდან მარკირების კვალი გააქრო, აფთიაქში ნაყიდი აცეტონით იყო დასველებული. მარკირებისთვის გამოყენებული სითხე კი ინდოეთში ექსკლუზიურად საქართველოსთვის დამზადებული ქიმიური ხსნარია.

ბამბა, რომელმაც ცესკო-ს თანამშრომლის თითებიდან მარკირების კვალი გააქრო, აფთიაქში ნაყიდი აცეტონით იყო დასველებული. მარკირებისთვის გამოყენებული სითხე კი ინდოეთში ექსკლუზიურად საქართველოსთვის დამზადებული ქიმიური ხსნარია.

მარკირების სითხე არჩევნების გაყალბების თავიდან ასაცილებლად საქართველოში პირველად 2004 წელს გაჩნდა. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მაშინ პოლიტიკურ პარტიებთან და რელიგიური კონფესიების წარმომადგენლებთან დასჭირდათ საუბარი, რათა სითხის უვნებლობაში დაერწმუნებინათ საზოგადოება.

„თავიდან სითხე საარჩევნო ადმინისტრაციების საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე შევიძინეთ. ეს იყო კანადური კომპანია. შემდეგ არჩევნებზე ინდური მომწოდებელი გვყავდა. არ ვიცი, ახლა კონკრეტულად რომელი სითხე გამოიყენება, მაგრამ ეს უთუოდ იქნება საერთაშორისო სტანდარტის და შესაბამისი სერტიფიკატების მქონე ხსნარი. თუ მისი საწინააღმდეგო ნაერთი ვინმემ გამოიგონა, დააპატენტოს“, – აცხადებს „ლიბერალთან“ საუბარში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ლევან თარხნიშვილი.

თარხნიშვილის ინფორმაციით, მარკირების სითხით და სპეციალური ფარნებით ყველა საარჩევნო უბნის

ლიბერალი

გამოიწერეთ ჟურნალი ლიბერალი

გეჭდური ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
22 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
45 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
90 ლარი

PDF ვერსია
12 ნომერი – 3 თვე
13 ლარი

24 ნომერი – 6 თვე
25 ლარი

48 ნომერი – 1 წელი
50 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად
დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი
საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

მომარაგება წინა არჩევნებზე სახელმწიფო ბიუჯეტს დაახლოებით 2 მილიონი ლარი დაუჯდა.

ცესკო-ს თავმჯდომარის, ზურაბ ხარატიშვილის განცხადებით, 30 მაისის არჩევნებისთვის მარკირების ატრიბუტიკის ყიდვასა და ჩამოტანაში დახარჯული თანხა „წყალში გადაყრილი ფულია“.

„მარკირების პროცედურა მოძველებულია. ერთი მხრივ, ბიომეტრიული პირადობები და ელექტრონული ხმის მიცემის სისტემები შემოგვაქვს და თან მარკირების მოძველებულ და არასაიმედო მეთოდს ვიყენებთ. ბარემ ჯვარი დავუსვათ ბიულეტენს, – ამბობს ხარატიშვილი „ლიბერალთან“ საუბრისას. მართალია, ცესკო-ს თავმჯდომარემ იცის, რომ მარკირების საწინააღმდეგო ხსნარი არსებობს, ამბობს, რომ თავად ეს ხსნარი არასდროს უნახავს და არც მისი სახელწოდება იცის. „როგორც წესი, გაყალბებაში [ე.წ. კარუსელში] მონაწილეობს 20-25 კაცისგან შემდგარი კარგად ორგანიზებული ჯგუფი, რომლისთვისაც მარკირების საწინააღმდეგო ქიმიური ელემენტის შოვნა არაა პრობლემა“, – აცხადებს ხარატიშვილი.

მიუხედავად ასეთი დამოკიდებულებისა, იგი მარკირების გაუქმების ინიციატივის წამოყენებას არ გეგმავს: „ამ საკითხს ჯერ არც პოლიტიკური პარტიები წევენ წინ და არც სამთავრობოები. ამიტომ, იყოს“. ცესკო-ს თავმჯდომარე არ გამორიცხავს, მისი წინადადება მარკირების გაუქმების თაობაზე პოლიტიკური მანიპულაციის საგნად იქცეს და ბიუჯეტის სახსრების უსარგებლო ხარჯვას ამიტომ ეგუება.

მარკირების სითხის არაეფექტურობაზე საუბარი 2006 წლიდან დაიწყო. ზუსტად 4 წლის წინ, 30 მაისს გამართულ შეხვედრაზე არასამთავრობო ორგანიზაციამ „ახალი თაობა – ახალი ინიციატივა“ ცესკო-ს მაშინდელი თავმჯდომარის გურამ ჩალაგაშვილის თვალწინ საჯაროდ გააუფერულა მარკირების სითხის კვალი. ხელზე მარკირების კვალი მათ კალიუმის ბიქლორატის დასხურებით გააქრეს. ეს ნივთიერება დღემდე ფართოდ გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეწამვლისას.

თავმჯდომარემ მარკირების პრობლემის გადასაწყვეტად ისეთი ხსნარის მოძიების განკარგულება გასცა, რომელიც არ იშლება, და კალიუმის ბიქლორატი მარკირების სითხის ერთ-ერთი მომწოდებელი კომპანიის „Entrade Global Suplies“-ის ლაბორატორიაში ექსპერტიზისთვის გადააგზავნა. მაშინ ლაბორატორიის ექსპერტებმა დასკვნაში დაწერეს, რომ ასეთი ხსნარის მოძებნა შეუძლებელია. „კალიუმის ბიქლორატით შესაძლებელია ნაიშალოს დღეს ჩვენ ხელთ არსებული მარკირების ნებისმიერი სითხე“, – ვკითხულობთ საარჩევნო კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე.

2006 წლის შემდეგ რამდენჯერმე შეიცვალა მომწოდებელი ორგანიზაცია და მარკირების ხსნარი. წელს, თვითმმართველობის არჩევნებზე მარკირების მოშორება ისეთივე მარტივი იყო, როგორც ფრჩხილის ლაქის. თუმცა, მარკირების პროცედურის გართულება ან დაცვა 30 მაისის არჩევნებზე ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყურადღების საგანი არც ყოფილა. „ჩვენი ძალისხმევა იმაზეა მიმართული, რომ საქართველოში არჩევნების ისეთი პრაქტიკა შეიქმნას, ვგულისხმობ კომისიის წევრების ობიექტურობას და პროფესიონალიზმს, როცა მარკირების საჭიროება საერთოდ გაქრება“, – მითხრა ჯული გიორგაძემ მას შემდეგ, რაც ექსპერიმენტის შედეგად მისი ხელიდან მარკირების კვალი გაქრა.

რეალურად, არჩევნების ობიექტურად ჩატარებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს დამკვირვებლებსა და კომისიის წევრებს და არა მარკირების პროცედურას. მარკირება მხოლოდ ერთ-ერთი და არა ერთადერთი მექანიზმია არჩევნების გაყალბებისგან დასაცავად, ვთქვათ – „კარუსელის“ გამოსარიცხად. ყველა ფალსიფიცირებული ამომრჩეველი გადის რეგისტრატორის მაგიდას, სადაც დუბლირებული, ყალბი პირადობის მოწმობა უნდა წარადგინოს. თუ 30 მაისს ასეთი შემთხვევისას რეგისტრატორი მიუკერძოებელი აღმოჩნდა, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები – აქტიურები, დამკვირვებლები კი – ყურადღებიანები, ყალბი ხმა საარჩევნო ყუთში ვერ მოხვდება.

ადმინისტრაციული რესურსის პრობლემა

კანონმოჩრილი მმართველი პარტია

„ნაციონალური მოძრაობა“ ისე იყენებს ადმინისტრაციულ რესურსს, რომ კანონს არ არღვევს.

ანიტა თვაური



ილუსტრაცია ნინო ნაფარეიშვილი / წყაროს სპეციალური

„გურულები უფრო მეტად მოტივირებულები ვართ, განსაკუთრებით ახალგაზრდები და ამით შეგვიძლია, მთელ საქართველოს დავანახოთ, რომ მეტის კეთება ძალგვიძს. ჯიგრულად გეუბნებით, რომ ეს არაა მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანია, არჩევნების შემდეგაც განვაგრძობთ საინიციატივო ჯგუფებთან გრძელვადიან ურთიერთობას მუდმივი დიალოგის რეჟიმში“, – უთხრა კინოთეატრ „ოზურგეთში“ შეკრებილ ახალგაზრდებს საგზაო დეპარტამენტის თავმჯდომარემ რამაზ ნიკოლაიშვილმა 16 აპრილს გამართულ დახურულ შეხვედრაზე. შეხვედრას გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილიც და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეც ესწრებოდნენ. თუმცა, გუბერნატორმა ჟურნალისტების გამოჩენისთანავე დატოვა დარბაზი.

საარჩევნო აგიტაციაში ჩართვა პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, გამგებელს, გუბერნატორს, პარლამენტარებს, მინისტრებს, მათ მოადგილეებს და პრეზიდენტს სამსახურებრივი ფუნქციის შესრულების დროსაც შეუძლიათ.

საარჩევნო აგიტაციაში ჩართვა პოლიტიკური თანამდებობის პირებს, საკრებულოს თავმჯდომარეს, გამგებელს, გუბერნატორს, პარლამენტარებს, მინისტრებს, მათ მოადგილეებს და პრეზიდენტს სამსახურებრივი ფუნქციის შესრულების დროსაც შეუძლიათ. ეს ცვლილება 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, იურიდიული კომისიის მიერ შექმნილი კანონმდებლობით შევიდა. მანამდე პოლიტიკური თანამდებობის პირებს ეკრძალებოდათ აგიტაციაში მონაწილეობა, თუ კანდიდატებად თავად არ იყვნენ წარდგენილნი.

ვენეციის კომისიის 2008 წლის აგვისტოს დასკვნის მიხედვით, ამგვარი ცვლილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს და ეუთო-ს კოპენჰაგენის დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკა და საჯარო საქმიანობა მკვეთრად უნდა იყოს ერთმანეთისგან გამიჯნული. იმისათვის, რომ წინასაარჩევნო კამპანიაში საჯარო მოხელეები ჩართულიყვნენ, ისინი მასობრივად გავიდნენ შვებულებებში, თუმცა პოლიტიკური და საჯარო საქმიანობის მკვეთრი გამიჯვნა ვერც ამ კანონიერმა ქმედებამ უზრუნველყო.

ოფიციალური ინფორმაციით, ქუთაისის მერიაში 516 ადამიანია დასაქმებული, აქედან 77 თანამშრომელი შვებულებაშია, 2 თანამდებობა კი ვაკანტურია – ქუთაისის მერისა და მერის პირველი მოადგილის. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთის სამხარეო გუბერნატორი ლაშა მაქაცარია შვებულებაშია, ის 24 მაისს ქუთაისში რამდენიმე ობიექტის გასახსნელად ჩასულ საქართველოს პრეზიდენტს მასპინძლობდა. იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის ადმინისტრაციული

სამსახურის უფროსმა ზეინაბ ხაჩიძემ განმარტა, რომ 24 მაისს გუბერნატორი ერთი დღით გამოიძახეს სამსახურში შვებულებიდან.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალური საარჩევნო შტაბის საქმიანობას ქუთაისში განაგებს იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გრიგოლ შუშანია. მის ფუნქციებში შედის მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა, საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტება, მმართველი პარტიის კოორდინატორებისა და მიკროკოორდინატორების საქმიანობის დაგეგმვა-ხელმძღვანელობა. ამას გარდა, შუშანიას სახელს უკავშირდება ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის – „დემოკრატიისა და თავისუფლების ცენტრის“ საქმიანობა: 30 მაისს ქუთაისის, ზოგადად, მთელი იმერეთის რეგიონისა და გურიის რეგიონის მასშტაბით, დამკვირვებლები ყველა საარჩევნო უბანზე მხოლოდ ამ ორგანიზაციას ეყოლება. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის იურიდიულ მისამართად ცესკო-ს ვებგვერდზე სწორედ შუშანიას საცხოვრებელი სახლის მისამართია მითითებული. ამას გარდა, ორგანიზაციის თავმჯდომარე შუშანიას ახლო მეგობარი ლევან ჭანჭალეიშვილია, რომელიც იმავდროულად მმართველი პარტიის სიის მე-11 ნომერია.

მმართველი პარტია ადმინისტრაციულ რესურსს რამდენიმე ფორმით იყენებს. შვებულებაში გასული ასეულობით მუნიციპალიტეტის თანამშრომელი „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბებშია დასაქმებული. მაღალი თანამდებობის მქონე საჯარო მოხელეები კი პარტიის კანდიდატებს უწევენ ლობირებას.

ძელქვიანში, ამომრჩევლებთან შესახვედრად მისულ ნაციონალების კანდიდატს, სერგო ლექვინაძეს, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის, ქალაქ-განათების და წყალკანალის წარმომადგენლები ახლდნენ თან. მათ მოსახლეობის მოთხოვნები ჩაიწერეს და დაჰპირდნენ რომ წინასაარჩევნოდ ყველა მათ მოთხოვნას შეასრულებდნენ. „ამ უბნის მცხოვრებლები, ბოლო 15 წელია, ვითხოვთ დახმარებას. არხი ჩადის ჩვენთან და სპეციალური მანქანაა საჭირო, რომ გაიწმინდოს. შეჰპირდნენ, რომ გააკეთებენ. მე ჩემს ამომრჩეველს იგივეს ვერ გავუკეთებ“, – ამბობს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსის“ მაჟორიტარი კანდიდატი დავით მალანია.

ადმინისტრაციული ერთეულების მიერ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატებისთვის დახმარებაზე ჩივიან სამეგრელოშიც. შამგონას მაჟორიტარობის კანდიდატი დემნა ხუბუა ამბობს, რომ სოფლის რწმუნებული, გოჩა შენგელია, „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს მოსახლეობასთან შეხვედრებზე დაჰყვება. „ხალხს ეუბნებიან, რომ სკოლას სოფლის მაჟორიტარი ააშენებს, რომ გზას მოხრეშავს და ფეხბურთის სტადიონს ააშენებს ნაცების კანდიდატი სოსო ღურწკაია და ამიტომაც უნდა მისცეთ ხმაო“, – ამბობს დემნა ხუბუა.

„ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის უფროსმა ლაშა დამენიამ სოფლის რწმუნებულის აგიტაციაში ჩართვა მისი შვებულებაში ყოფნით ახსნა. „შამგონას სოფლის რწმუნებული შვებულებაშია და კანონმდებლობა მას საარჩევნო კამპანიაში ჩართვას არ უკრძალავს. ასე რომ, ეს პრობლემას არ წარმოადგენს“, – თქვა მან.

კონსერვატორი დემნა ხუბუა კი მიიჩნევს, რომ მასობრივად ყველას შვებულებაში გაშვება არჩევნების აბუჩად აგდება და ოპოზიციის არათანაბარ პირობებში ჩაყენებაა. „სოფლის რწმუნებული თუ მოხსნილია ან შვებულებაშია, რა ესაქმება ყოველდღე სოფლის გამგეობის შენობაში“, – ამბობს ხუბუა.

საჯარო მოხელეების ფორმალურ შვებულებაში გასვლაზე კახეთშიც საუბრობენ. სიღნაღში გამვლელი გიორგი ფარსადანოვი ამბობს, რომ გამგებელი ნოდარ კოჭლამაზაშვილი, შვებულების მიუხედავად, თავის კაბინეტში ხშირად არის. „ამას წინათ შემხვდა ქუჩაში და მითხრა, – სიღნაღს კიდე უფრო გავალამაზებთო, ამისთვის კი, ხომ იცი არჩევნებზე ხმა ვისაც უნდა მისცეო. ის ფაქტი, რომ ახლა შვებულებაშია, არაფერს ცვლის, ის ჩემთვის მაინც გამგებელია“, – ამბობს ფარსადანოვი.

ინციდენტი ქარელის ცენტრში

ხატომ ისროლა დეპუტატმა პისტოლეტიდან?

საქართველოს პარლამენტის ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ემზარ გელაშვილმა 22 მაისს, საღამოს ქარელის ცენტრში თვითმხილველების თანდასწრებით იარაღიდან სროლა ატეხა.

გოგა აფციაური, გორიდან

ემზარ გელაშვილმა სააქციო საზოგადოება „ქარელიგაზის“ დირექტორის მოადგილის სპარტაკ ჩოჩიშვილის მიმართულებით სამჯერ ისროლა და სამივე ტყვია ააცილა. ჩოჩიშვილის გარდა, სროლის ფაქტს ქარელის ცენტრში მაცხოვრებლებიც ადასტურებენ, რომლებმაც იმ დღეს გელაშვილი იარაღით ხელში დაინახეს.

„ასე ექვსი საათი იქნებოდა, როცა გავიგონე, რომ ვიღაცამ სამჯერ გაისროლა. მანამდე ჩოჩქოლის ხმა ისმოდა, აქვე ყოფილი უნივერმაღის შენობაში რესტორანი „ხაშხინკალაა“ და იქიდან ხალხი გარეთ გამოვარდა, დავინახე დეპუტატი ვიღაცას აგინებდა და თან ხელში იარაღი ეჭირა“, – ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი, რომელიც ვინაობის გამხელისგან თავს იკავებს.

საკუთარი ვინაობის გამხელას ერიდებიან ქარელის ცენტრის სხვა მაცხოვრებლებიც, რომელთაც კარგად დაინახეს, რომ იარაღიდან გელაშვილი ისროდა. მათი თქმით, მოგვიანებით გელაშვილი იქაურობას თანმხლებმა პირებმა გაარიდეს, შემთხვევის ადგილზე კი პოლიცია მივიდა და ტერიტორია სპეციალური ლენტებით შემოღობა.

გელაშვილისა და ჩოჩიშვილის დაპირისპირების შესახებ თავიდანვე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, მათი დაპირისპირება „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის დაკომპლექტებისას გაჩენილ უთანხმოებას მოჰყვა. ინფორმირებულმა წყარომ „ლიბერალს“ ქარელიდან აცნობა, რომ დეპუტატი გელაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის შედგენაში აქტიურად მონაწილეობდა.

„სიაში მისი რამდენიმე მეგობარი მოხვდა, მათ შორის – ლევან აბაშიშვილი, რომელთანაც გელაშვილს ნათელ-მირონი აკავშირებს. სიები დასამტკიცებლად ჯერ სამხარეო ადმინისტრაციაში, შემდეგ კი „ნაციონალური მოძრაობის“ ცენტრალურ ოფისში გადაგზავნეს.უკან დაბრუნებულ დოკუმენტებში კი აბაშიშვილის გვარი აღარ იყო. სამაგიეროდ, პარდრიშვილს აქვს. „ფაქტი ნამდვილად მოხდა, მაგრამ რატომ მოხდა, ამის შესახებ უამრავი ვერსია ვრცელდება. ზოგი ამბობს, – პოლიტიკური დაპირისპირება აქვთო; ზოგი იძახის, – ქალების გამო იჩხუბესო. ზოგი კიდე იმას ამბობს, რომ გელაშვილის ძმაკაცს დაარტყეს და ეს ვერ მოითმინაო. მოკლედ, სიმართლის თქმა არც ერთ მხარეს არ აწყობს“.

ემზარ გელაშვილი, რამდენიმე დღეა, სატელეფონო ზარებს არ პასუხობს. იმის გარკვევაც შეუძლებელია, ამჟამად სად იმყოფება. მის მშობლიურ სოფელში – ბებნისში ამბობენ, რომ თბილისშია, პარლამენტში კი იმას ამბობენ, რომ ბოლო დროს სამსახურში არ ყოფილა.

„ამ პერიოდში ჩვენ პარლამენტში იშვიათად ვართ, მე ახლა თელავში ვარ, გელაშვილი ალბათ ქართლშია. არაფერი ვიცი მომხდარზე, ემზარს უნდა ჰკითხოთ. ყველა მე მირეკავს. სამწუხაროა, რომ თვითონ არ პასუხობს. წინა პარასკევს ვიყავი პარლამენტში, მაგრამ გელაშვილი ნამდვილად ვიცი, რომ არ ყოფილა“, – განაცხადა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი არსენიშვილმა. გელაშვილი სწორედ ამ კომიტეტის წევრია.

ემზარ გელაშვილი პარლამენტში ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელია. პარლამენტში არჩევამდე იგი – ჯერ ქარელის რაიონის გამგებლის მოადგილე, შემდეგ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინსპექტორ-გამომძიებელი, ბოლოს კი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსი იყო. ის შინაგან საქმეთა მინისტრის, ვანო მერაბიშვილის კადრად ითვლება.

გელაშვილის სახელი კიდევ ერთ ინციდენტს უკავშირდება – 2007 წლის 7 ნოემბრის აქციების დროს მას ოპოზიცია კობა დავითაშვილის გატაცებაში ადანაშაულებს. მაშინ ნაცემი დავითაშვილი გორის სამხედრო ჰოსპიტალში მიიყვანეს.

„7 ნოემბრის აქციის შემდეგ ელიავას ბაზრობაზე სხვებთან ერთად გელაშვილიც დამხვდა. პირადად მე ამოვიცანი. მაშინ სისხლის სამართლის საქმე ჩემს ფაქტზე ფორმალურად აღძრეს გორის პოლიციაში, დამკითხეს როგორც დაზარალებული და ამით დასრულდა ეს საქმე. გელაშვილი კიდევ დააჯილდოვეს და დეპუტატობა უბოძეს. ორი წელი გავიდა, ერთ-ერთ გადაცემაში საჯარო განცხადებაც გავაკეთე გელაშვილზე, ჩემ შემდეგ სტუმარი პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე იყო. საჯარო განცხადება კანონით საქმის გამოძიების დაწყების საფუძველია, კაცს პირდაპირ ვადებ ხელს. გამოტიულ სიაში მან სააქციო საზოგადოება „ქარელიგაზის“ დირექტორის მოადგილის სპარტაკ ჩოჩიშვილის ქვისლის, ხაშურის ვაგონშემკეთებელი დეპოს ხელმძღვანელის, პაატა ღვინიაშვილის გვარი აღმოაჩინა“, – ამბობს პარლამენტარის გარემოცვასთან დაახლოებული წყარო.

„აზრზე არ ვარ, რა უნდოდა. გაგუდული მთვრალი იყო. მართლა არ ვიცი, კონფლიქტი რაზე მოხდა, თვითონ უფრო კარგად ეცოდინება. ხალხის რჩეული ეგ არის და, აბა, მე რა გითხრა, მაგის გულში ხომ არ ვიჯექი. ამოიღო და გვესროლა“, – ამაზე მეტის თქმა ჩოჩიშვილმა არ ისურვა. მხოლოდ ის აღნიშნა, რომ როცა სამართალდამცავები გამოიძახებენ, ჩვენებას აუცილებლად მისცემს.

მომხდარის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არც ალიანსის ქარელის ორგანიზაციის ლიდერს სოსო საზანდრიძეს ბაქრაძე და თქვა ეს საკმარისი არ არისო. რა უნდა ვქნა ახლა, თავში ჩავარტყა და მერე იქნება საკმარისი?“ – აღშფოთებულია კობა დავითაშვილი.

ინციდენტის ადგილას ქარელის პოლიციის თანამშრომლები იმყოფებოდნენ. თუმცა პოლიციის უფროსმა გიორგი მამესწარაშვილმა საუბარი არ ისურვა. აღძრულია თუ არა სისხლის სამართლის საქმე მომხდარზე, მამესწარაშვილი არ ამბობს და გვირჩევს, ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრიდან მივიღოთ.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ყველაზე მეტად „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აძლევს ხელს ინციდენტის გახმაურება. ქარელელები ვარაუდობენ, რომ ეს საქმე ჩაიფარცხება, რადგან გელაშვილს მფარველები ბლომად ჰყავს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ყველაზე მეტად „ნაციონალურ მოძრაობას“ არ აძლევს ხელს ინციდენტის გახმაურება. ქარელელები ვარაუდობენ, რომ ეს საქმე ჩაიფარცხება, რადგან გელაშვილს მფარველები ბლომად ჰყავს.

ჰაერში გასროლილი ფული

გასულ წელს, გორში ხელისუფლებამ 7 აგვისტოს გამართულ საზეიმო კონცერტზე – 183 359, ხოლო ახალი წლის ზეიმზე 91 045 ლარი დახარჯა.

საბა წიწიკაშვილი

2009 წლის 7 აგვისტოს, ცხინვალში საომარი მოქმედებების წლისთავზე გორში ხელისუფლებამ პომპეზური ზეიმი მოაწყო. საზეიმო კონცერტი გორის ციხესთან გაიმართა. აფრიალეს დროშები, მაშხალებით ლამაზი ფეიერვერკი მოაწყვეს და პარკში პოდიუმზე მოდის ჩვენება გამართეს.

ღონისძიების ორგანიზატორებმა მიზანშეწონილად ჩათვალეს, რომ 7 აგვისტოს ღონისძიების მასშტაბურად გაშუქებისთვის პირდაპირი ეთერი ესაჭიროებოდათ. პირდაპირი ეთერით რეტრანსლაციას შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“ აწარმოებდა.

„ჰორიზონტ ტვ სტუდიამ“ გაწეული მომსახურებისთვის 38 550 ლარი მიიღო.

„მე მაქვს კერძო კომპანია. დამკვეთს შევთავაზე ჩემი წინადადება თავისი ხარჯთაღრიცხვით. ჩანს, მოეწონათ ჩემი შეთავაზება და დამთანხმდნენ. თუ რამდენად მიზანშეწონილია ასეთი თანხის გაღება, ეგ უკვე დამკვეთს უნდა ჰკითხოთ. მე ასე მიღირდა ეს სამუშაო. თუ არ მოეწონებოდათ ჩემი შეთავაზება, შეეძლოთ სხვასთან წასულიყვნენ“, – ამბობს კომპანიის ხელმძღვანელი დავით გერსამია.

შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდიას“ ასევე დაევალა ღონისძიების სათანადო აპარატურით უზრუნველყოფა, რაც 46 800 ლარი დაჯდა. ანგარიშ-ფაქტურაში მითითებულია, რომ ამ თანხაში შედიოდა სცენის გამართვაც.

ჩვენ გვაქვს ასევე სხვა დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ სცენის მოწყობისთვის კომპანია შპს „ა.ნ.ი“-მ ჯერ 27 000 ლარი მიიღო, შემდეგ საქართველოს პარლამენტიდან წაღებული რკინის კონსტრუქციებისთვის ბანერთან ერთად – 10 000 ლარი. გარდა ამისა, რკინის კონსტრუქციებისთვის და იმავე სახის ბანერისთვის გორის მუნიციპალიტეტმა ცალკე გადაურიცხა აღნიშნულ კომპანიას 10 000 ლარი. დავით გერსამიას ვკითხეთ, რომ თუკი შპს „ა.ნ.ი“ ახორციელებდა სცენის მოწყობის სამუშაოებს, „ჰორიზონტ ტვ სტუდიამ“ რატომ აიღო იმავე სამუშაოებისთვის 46 800 ლარი.

„სცენა უნდა განვასხვავოთ რკინის კონსტრუქციებისგან. სცენას სჭირდება საერთო განათება, რომელიც ალბათ ამ კომპანიამ ამ კონსტრუქციებით გააკეთა“, – ამბობს დავით გერსამია.

2009 წლის 6 აგვისტოს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით, რომელსაც ხელს გორის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი და კომპანია „ა.ნ.ი“-ს დირექტორი აწერენ, გორში 134 კვ. მეტრი ფართობისთვის საჭირო რკინის კონსტრუქციების და ამავე ფართობის ბანერის მიწოდებაში გამგეობამ 10 000 ლარი გადაიხადა.

შესაბამისად, 1 კვ. მეტრ ბანერში გადახდილია 74 ლარი და 63 თეთრი. აღსანიშნავია, რომ 1 კვ. მეტრი ბანერის საბაზრო ფასი კი 9-15 აშშ დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც 26 ლარს არ აღემატება.

შპს „ა.ნ.ი“-ს დირექტორია ია ჟვანია. ამ კომპანიის მისამართზე ვერც კომპანია ვიპოვეთ და ვერც – მისი დირექტორი. თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე, 34/24-ში ჩვენ მაცხოვრებლებს ვესაუბრეთ. ამ მისამართზე სულ 5 ოჯახი ცხოვრობს. გვითხრეს, რომ მათ სახლში ია ჟვანიას არასდროს უცხოვრია და არც შპს „ა.ნ.ი“-ს თაობაზე იციან რამე.

ამ რკინის კონსტრუქციებთან დაკავშირებით ორი სასაქონლო ზედნადები არსებობს. ერთ ზედნადებში მყიდველად მოხსენიებულია საქართველოს პარლამენტი, ხოლო მეორე ანგარიშ-ფაქტურაში მყიდველად მოხსენიებულია გორის მუნიციპალიტეტის გამგეობა. ფაქტობრივად ერთი და იგივე რკინის კონსტრუქცია და ბანერი ერთსა და იმავე დღეს 10 000 ლარად შეიძინა, როგორც საქართველოს პარლამენტმა, ასევე – გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ.

2009 წლის 7 აგვისტოს გორში გამართული საზეიმო ღონისძიებისთვის გაწეული დანახარჯები

დაჯვეთა	მომსახურებელი კომპანია	დაჯვეთის ღირებულება
პირდაპირი ეთერით რეტრანსლაცია	შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“	38 550 ლარი
აპარატურით უზრუნველყოფა	შპს „ჰორიზონტ ტვ სტუდია“	46 800 ლარი
სცენის მოწყობა	შპს „ა.ნ.ი“	27 000 ლარი
ბანერები რკინის კონსტრუქციებისთვის	შპს „ა.ნ.ი“	10 000 ლარი
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდის და მათი ინსტრუმენტების ტრანსპორტირება	ფიზიკური პირი მამუკა ბიჭაშვილი	25 800 ლარი
ღონისძიების ვიდეორგოლის დამზადება	შპს „33ა“	16 569 ლარი
საქართველოს ჰიმნის აუდიო და ვიდეო-ჩანაწერი	ინდ. მეწარმე მამუკა მახნიაშვილი	6 000 ლარი
ფეიერვერკი	შპს „საყვირი“ და შპს „ბეთ გრუპი“	11 000 ლარი
ფრანების შეძენა	შპს „ჯორჯიან პირო არტი“	2 640 ლარი
სულ		**184 359 ლარი**

გამგებელმა დავით ხმიადაშვილმა გვითხრა, რომ ეს სხვადასხვა კონსტრუქცია და ბანერებია, რაც არადამაჯერებელია. შესაძლოა, სასაქონლო ზედნადებში შემსყიდველად ერთ-ერთი უწყება შეცდომით ჩაწერეს.

სცენაზე, რომელიც ცალკე „ჰორიზონტ ტვ სტუდიამ“ და ცალკე შპს „ა.ნ.ი“-მ გააწყო, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის გუნდმა იმღერა. გუნდის მონაწილეების და მათი ინსტრუმენტების ტრანსპორტირებისთვის ჰონორარი 25 800 ლარი ფიზიკურ პირს, მამუკა ბიჭაშვილს გადაერიცხა.

მამუკა ბიჭაშვილმა ოპერის მომღერლების ჩასვლას და ტრანსპორტირებას გაუწია ორგანიზება. არადა, დოკუმენტების მიხედვით, ეს შპს „ა.ნ.ი“-ს უნდა გაეკეთებინა. მამუკა ბიჭაშვილი ამბობს, რომ 20 640 ლარით – ოპერის მომღერლებმა ჰონორარიც მიიღეს და ასევე ამ თანხის ნაწილი მათ ტრანსპორტირებაში დაიხარჯა.

„გორში დაახლოებით 150 ადამიანი ჩავიყვანე. ეს პირადად ოპერის ხელმძღვანელის დავალებით გავაკეთე. დაახლოებით 5 ავტობუსით ჩავედით გორში. სხვათა შორის, დაგვჭირდა სატვირთო მანქანებიც, რომლითაც ოპერის მომღერლების ინსტრუმენტები წავიღეთ“, – ამბობს მამუკა ბიჭაშვილი.

2009 წლის 7 აგვისტოს ღონისძიებისათვის გაკეთებული ვიდეოკლიპისთვის შპს „33ა“-მ, დღგ-ს ჩათვლით, 16 569 ლარი მიიღო.

აღნიშნულ ღონისძიებაზე დამატებითი თანხა გამოიყო საქართველოს ჰიმნის კლიპის აუდიო და ვიდეოჩანაწერისათვის. გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ინდმეწარმე მამუკა მახნიაშვილს შეუკვეთა საქართველოს ჰიმნის კლიპის შექმნა. სანაცვლოდ, მახნიაშვილმა 6000 ლარი მიიღო.

„7 აგვისტოს“ ღონისძიებას ბევრი ციური მანათობელი დაახარჯეს. მათი შეძენისა და ჰაერში გაშვების ორგანიზება ცალ-ცალკე დაევალა ორ კომპანიას – „საყვირს“ და „ბეთ გრუპს“. მათ ამისათვის 11 ათასი ლარი გადაურიცხეს.

ცალკე გაიწერა ე.წ. „მანათობლების“ შეძენა, რომელიც ორგანიზატორებმა სცენების გასანათებლად გამოიყენეს. ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი მანათობლების შეძენაზე თბილისში, კოსტავას ქ. №1-ში მდებარე კომპანიამ „ჯორჯიან პირო არტიმ“ იზრუნა. აღნიშნულმა კომპანიამ 150 ფრანი ჩამოიტანა, თითო ფრანში 17 ლარი და 60 თეთრი გადაიხადა, რაც გორის მუნიციპალიტეტმა აანაზღაურა.

საახალწლო ნაძვის ხის ამბავი

ბოლო ორი წელია, გორის ცენტრში ერთი და იგივე ნაძვის ხე იდგმება. ის ნაძვის ხე, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება ახალი წლის დღეებში იყენებს, ჯერ კიდევ 2007 წელს ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ ქარელმა უკრაინიდან ჩამოიტანა.

სამშენებლო კომპანია „გორმშენის“ დირექტორი ჯემალ ილურიძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ აღნიშნული ნაძვის ხე ადგილობრივმა ხელისუფლებამ 50 000 ლარად შეიძინა. ილურიძის კომპანია 2007 წლის შემდეგ აღნიშნულ ნაძვის ხეს გორის ცენტრში მონტაჟს და დემონტაჟს უკეთებს.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ამონაწერის მიხედვით, რომელიც დასათაურებულია სახელწოდებით „საახალწლო ნაძვის ხის მონტაჟი და დემონტაჟი“, შპს „იკოს“ შესრულებული სამუშაოსთვის 2009 წლის 28 იანვარს დაერიცხა 11 045 ლარი.

ამის შემდეგ, 2009 წლის 25 დეკემბერს გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კომპანია „გორმშენს“ იმავე ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოების ჩასატარებლად 81 045-ლარიანი ხელშეკრულება გაუფორმა. ნაძვის ხის მონტაჟისა და დემონტაჟის სამუშაოებისთვის შპს „გორმშენს“ თავდაპირველად 2009 წლის 25 დეკემბერს – 68 814 ლარი, ხოლო დემონტაჟის დროს 2010 წლის 18 იანვარს 11 186 ლარი გადაურიცხა. გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ხმიადაშვილი აცხადებს, რომ ეს თანხა, რომელიც ჩვენ დავუსახელეთ, გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ ნაძვის ხის მოსართავად, არამედ მთელი ქალაქის მოსართავად.

„მე არ მაინტერესებს, რა წერია დოკუმენტებში, ვადასტურებ, რომ დაახლოებით 80 000 ლარი დაიხარჯა ქალაქის საახალწლოდ მოსართავად. ეს შემიძლია გითხრათ“, – გვითხრა მუნიციპალიტეტის გამგებელმა.

ჩვენ ასევე მოვიპოვეთ დოკუმენტი იმის შესახებ, თუ რა კონკრეტული სამუშაო გასწია შპს „გორმშენმა“ საახალწლოდ გორში. კერძოდ, „ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ნუსხაში“ წერია, რომ ხელოვნური ნაძვის ხის კარკასის მონტაჟი – 1 450 ლარი, ხოლო დემონტაჟი 1 018 ლარი დაჯდა. ნაძვის ხეზე ხელოვნური წიწვების შეკიდვა – 690 ლარი, ხოლო მოხსნა 862 ლარი დაჯდა. ნაძვის ხეზე დეკორატიული განათების მონტაჟი – 2 200 ლარი, ხოლო ჩამოხსნა 735 ლარი დაჯდა. ნაძვის ხის თოვლის პაპის დაყენება 230 ლარი დაჯდა; ხოლო კითხვაზე, თუ რატომ არ წერია თოვლის პაპის „დემონტაჟი“, კომპანიის დირექტორმა გვითხრა, რომ თოვლის პაპის დემონტაჟი მოქალაქეებმა მოახდინეს. „ახალი თოვლის პაპა უნდა ვიყიდო“, – ამბობს ჯემალ ილურიძე.

შპს „გორმშენის“ დირექტორი ჯემალ ილურიძე ამბობს, რომ ყველა ამ სამუშაოსთვის საკუთარ რესურსებს იყენებს, მათ შორის – ადამიანურს და მატერიალურს. „ყველა ეს ნივთი აწყვია როგორც გამგეობის უკან, ასევე კულტურის სახლში. შეგვიძლია, ერთობლივად ვნახოთ ეს ქონება. ყოველ წელს გვიწევს ახალი ნივთების შეძენა. სავარაუდოდ, ასეთივე სიტუაცია გვექნება მომავალ წელს. ჩვენივე ტექნიკას ვიყენებთ იმ კონსტრუქციების გადაზიდვისთვის, რომელიც ნაძვის ხის მოსართავად იყო საჭირო“.

გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი დავით ხმიადაშვილი აცხადებს, რომ სამშენებლო კომპანიის შერჩევა ხდება ერთ პირთან მოლაპარაკებით. „ჩვენთვის ცნობილია, თუ რომელ კომპანიას რის საშუალება აქვს და, შესაბამისად, მათთან გვიხდება მოლაპარაკება“. რაც შეეხება იმ ტექნიკურ საშუალებებს, რაც მუნიციპალიტეტის გამგეობის დაქვემდებარებაშია (მაგალითად, კეთილმოწყობის სამსახურის ან საგანგებო სიტუაციების სამსახურის), გორის გამგეობა საახალწლო სამუშაოებისთვის ამ რესურსს რატომღაც არ იყენებს.

ჟურნალისტური გამოძიება მომზადებულია სტუდია „მონიტორის“ პროექტის ფარგლებში.
ჟურნალისტური გამოძიება განხორციელდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ისლამური ატომი

ანალიტიკოსების აზრით, თურქეთისა და ბრაზილიის დახმარებით, ირანმა დასავლეთთან ბირთვულ მოლაპარაკებებში პროგრესის ილუზია შექმნა.

ლექსო ჩქარეული

ბრაზილიის პრეზიდენტი ლუპა და სილვა, მაჰმუდ აჰმადინეჟადი და რეჯეპ ტაიპ ერდოღანი, 17 მაისი 2010

17 მაისს თეირანში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ირანის ისლამურ რესპუბლიკას, ბრაზილიასა და თურქეთს შორის. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის რამინ მეჰმანდუსთის განცხადებით, ამ ხელშეკრულების საფუძველზე, ირანი თურქეთში გააგზავნის 1200 კილოგრამ ნაკლებგამდიდრებულ ურანს, რათა იქ გაამდიდრონ, სამეცნიერო მიზნებისათვის სასარგებლოდ აქციონ და თეირანს ასეთი სახით დაუბრუნონ.

ხელშეკრულებამდე ცოტა ხნით ადრე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აჰმეთ დავუთოღლუმ განაცხადა, რომ თურქეთი, ირანი და ბრაზილია ირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით შეთანხმდნენ. ბრაზილიისა და თურქეთის წინადადება გულისხმობს ირანის უფლების აღიარებას – გაამდიდროს ურანი ატომური ენერგიის სამშვიდობო და საყოფაცხოვრებო მიზნებით გამოყენებისთვის. ამასთან, საერთაშორისო საზოგადოებრიობას ჰქონდეს შესაძლებლობა, ჩაატაროს ირანის ატომური ობიექტების ინსპექცია, რათა

ისრაელის მთავრობის მეთაურმა ბენიამინ ნათანიაჰუმ 25 მაისს განაცხადა, რომ ირან-ბრაზილია-თურქეთს შორის ხელმოწერილი შეთანხმება წმინდა წყლის თითლიბაზობაა.

დარწმუნდეს აქ წარმოებული ექსპერიმენტების მშვიდობიან ხასიათში.

ამ განცხადებით თურქეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეამზადა ნიადაგი შესაძლო საერთაშორისო უხერხულობებისაგან თავის დასაზღვევად, თუმცა ამ ხელშეკრულებამ მაინც უამრავი შეკითხვა გააჩინა; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც 2009 წლის დეკემბერში ირანმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინადადებაზე, სამედიცინო მიზნებისათვის გამოსაყენებლად ამ ქვეყნის ურანი საფრანგეთისა და რუსეთის ტერიტორიაზე გაემდიდრებინათ, კატეგორიული უარი თქვა და განაცხადა, რომ შეეძლო, ეს საქმიანობა თვითონვე დამოუკიდებლად წარემართა. 2010 წლის თებერვალში კი ქვეყნის ხელისუფლებამ საზეიმოდ ამცნო მსოფლიოს ურანის პირველი პარტიის 20%-მდე გამდიდრების თაობაზე.

ამერიკა და დასავლეთის რიგი სახელმწიფოები ირანს მშვიდობიანი ატომის პროგრამის საფარველქვეშ ბირთვული იარაღის შექმნის მცდელობაში ადანაშაულებენ. თუმცა თეირანის მთავრობა ამ ბრალდებებს თანამიმდევრულად უარყოფს და აცხადებს, რომ მისი ბირთვული პროგრამა მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის ელექტრომომარაგებაში არსებული პრობლემების გადაწყვეტას მოემსახურება.

დეკლარირებული სამშვიდობო მიზნების მიუხედავად, ირანის პრეზიდენტის მაჰმუდ აჰმადინეჟადის მიერ დროდადრო ამ თემასთან დაკავშირებით გაკეთებული მოუზომავი განცხადებები, რომელთაც მუდმივად ახლავს საომარი რიტორიკა და საკუთარი წარმატებებით ფუჭი თუ სამართლიანი თავმომწონეობა, დასავლეთს სერიოზული შეშფოთების საფუძველს აძლევს. ხოლო ურანის 20%-ით გამდიდრების ცნობამ თვით ირანის ჩუმი მოკავშირე – რუსეთიც კი ააფორიაქა, და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა საგანგებო განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ირანის მოქმედება აღრმავებს ეჭვებს თეირანის მთავრობის განზრახვის მისამართით – ერთობლივი ძალისხმევით მოიხსნას ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საერთაშორისო დაძაბულობა“.

რუსეთის ამ განცხადების გამოქვეყნებისთანავე საფრანგეთმა და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ღიად გამოხატეს თავიანთი გადაწყვეტილება – დაჟინებით მოსთხოვონ გაერო-ს ახალი სანქციების შემოღება ირანის ისლამური რესპუბლიკის წინააღმდეგ.

მსოფლიო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობით, ამჟამად ბირთვულ სახელმწიფოთა ექვსეულის წარმომადგენლები განიხილავენ ირანის წინააღმდეგ შესაძლო დამატებითი სანქციების პროექტის ტექსტს, რომელიც ამერიკის მხარემ შეიმუშავა. ოღონდ ჯერჯერობით ექვსეული არ შეთანხმებულა ამერიკის მიერ მინოდებულ წინადადებებზე და დიპლომატები ვარაუდობენ, რომ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების პროცესი, შესაძლოა, ივნისამდეც გაჭიანურდეს. ამის მიზეზად ასახელებენ იმ ფაქტს, რომ მაისში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარეობს ლიბანი, რომელიც ამ ქვეყანაში პროირანული მოძრაობის „ჰეზბოლას“ უდიდესი ზეგავლენის გამო, ირანის წინააღმდეგ სანქციათა დაწესების კატეგორიულ მოწინააღმდეგედ გვევლინება.

ამერიკისა და ევროპის ქვეყნების ამ მცდელობათა პარალელურად, მოვლენები ახლო აღმოსავლეთში ასე განვითარდა:

17 მაისს თეირანში გაიხსნა განვითარებადი ქვეყნების „ჯგუფ-15-ის“ კონფერენცია, რომელიც 1989 წელს ბელგრადში ჩამოყალიბდა. ამ შეხვედრის მონაწილეთა შორის იყო ბრაზილიის პრეზიდენტი ლუის იგნასიო ლუპა და სილვა, რომელიც სამიტამდე ცოტა ხნით ადრე თეირანში არა მხოლოდ შეხვედრაში მონაწილეობის მისაღებად, არამედ საშუამავლო მისიის შესასრულებლადაც ჩავიდა. საშუამავლო მისიის მიზანი იყო თეირანის კვლევითი რეაქტორისათვის ატომური საწვავის მიწოდების პრობლემის დარეგულირება.

ირან-თურქეთ-ბრაზილიის სამმხრივი მოლაპარაკების წარმატებაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული; უფრო მეტიც, ექსპერტთა დიდი ნაწილი ამ მოლაპარაკებას აფასებდა, როგორც ირანის უკანასკნელ შანსს, გაქცეოდა საერთაშორისო სანქციებს, რომლის დაწესების ინიციატორიც ამერიკის შეერთებული შტატები იყო.

მოლაპარაკების გამართვამდე ერთი დღით ადრე რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა მხარი დაუჭირა ბრაზილიის პრეზიდენტის ინიციატივას და მოუწოდა ირანს, დაჰყოლოდა მის წინადადებებს. მედვედევმა ხაზგასმით აღნიშნა: „იმედი მაქვს, ბრაზილიის პრეზიდენტის მისია წარმატებით დასრულდება. შესაძლოა, ეს უკანასკნელი მცდელობაც კი იყოს გაერო-ს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილების მიღებამდე და ამიტომაც მივმართავ ირანის ხელისუფლებას, ყური უგდოს არგუმენტებს, რომელთაც წარუდგენს ბრაზილიის პრეზიდენტი“.

თეირანის მთავრობა და პრესა, როგორც ამ მთავრობის ოფიციალური მოსაზრებების სათანადო გამხმოვანებელი, ვითარებას ცოტა სხვაგვარად აფასებდნენ და აღნიშნავდნენ, რომ რეჯეპ თაიფ ერდოღანის მხარდაჭერა სხვა არაფერია, თუ არა ისლამური ატომის გამარჯვების სურვილი“.

იმავე წყაროს ინფორმაციით, რეგიონის ლიდერები მხურვალედ იწონებენ მიღწეულ შეთანხმებას და ამის დასტურად იშველიებენ სირიის პრეზიდენტის ბაშარ ალ-ასადის განცხადებას, რომ ირანის, ბრაზილიისა და თურქეთის შეთანხმება დიდებული შანსია საიმისოდ, რომ მსოფლიოს ქვეყნებმა თავიდან აიცილონ უთანხმოება, რომელიც სამყაროს დაღუპვით დასრულდება“.

ბაშარ ალ-ასადისაგან განსხვავებული პოზიცია აქვს ამერიკის სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს. მან თურქეთ-ირან-ბრაზილიის შეთანხმებას „გამჭვირვალე სატყუარა“ უწოდა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა თეირანის მცდელობა, როგორმე თავი აარიდოს მის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციების გამკაცრებას.

ჰილარი კლინტონის განცხადებას მხარი აუბა ისრაელის მთავრობის მეთაურმა ბენიამინ ნათანიაჰუმ, რომელმაც ქნესეთში 25 მაისის საღამოს განაცხადა, რომ ირან-ბრაზილია-თურქეთს შორის ერთი კვირის წინათ ხელმოწერილი შეთანხმება წმინდა წყლის თითლიბაზობაა, რადგან ირანმა სათავისოდ დაიტოვა იმდენი ურანი, რაც თავისუფლად ეყოფა ატომური იარაღის შესაქმნელად. ამას გარდა, თეირანის მთავრობა უფლებას იტოვებს, ნებისმიერ წამს გამოართვას უკან თურქეთს თავისი ანაბარი – ნაკლებგამდიდრებული ურანის პარტია.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის აზრით, საჭიროა ირანის წინააღმდეგ შემოღებულ იქნეს უმკაცრესი სანქციები, რათა ისლამურ რესპუბლიკაში მიხვდნენ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას მკაცრად და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, არ დაუშვას აიათოლების რეჟიმის ატომური ამბიციების რეალიზაცია.

ისრაელის მთავრობის მეორე მაღალჩინოსანმა, რომელმაც პრესასთან თავისი ვინაობის გამხელა არ ისურვა, ასევე აღნიშნა, რომ ირანს ადრეც ჰქონდა მცდელობა, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება ძირითადად არამთავარ საკითხზე გადაეტანა და ასეთი ხერხით თავისი ფარული მიზნებისთვის მიეღწია.

ახლაც, თეირანში 17 მაისს ხელმოწერილი შეთანხმება, ამ ქვეყნის მთავრობას სჭირდება როგორც საბურველი, რომლის მიღმაც თავის დანაშაულებრივ საქმიანობას ატომური იარაღის შესაქმნელად მშვიდად გააგრძელებს. გარდა ამისა, ირანი ამ დანაშაულში უკვე მარტო აღარ იქნება და თურქეთსა და ბრაზილიასაც ჩაითრევს. თურქეთი მას რეგიონულ „მეხამრიდად“ სჭირდება, ბრაზილია კი – როგორც ქვეყანა, რომლის ეკონომიკაც შესაშური ტემპით ვითარდება და ხვალინდელ მსოფლიოში მის სიტყვასა და გავლენას ანგარიშს გაუწევენ.

ისრაელის შეშფოთება აბსოლუტურად გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი 30 წლის მანძილზე ირანის ისლამური რესპუბლიკის საომარი რიტორიკის ერთ-ერთ მთავარ სამიზნეს სწორედ ეს ქვეყანა წარმოადგენს. თეირანში, ქალაქის მოედნებსა და თვალსაჩინო ადგილებში გაკეთებული წარწერები „სიკვდილი ისრაელს!“ აბსტრაქტულ და განყენებულ ლოზუნგად სულაც არ დარჩებოდა, რომ არა – ისრაელის რეალური სამხედრო უპირატესობა ირანსა და სხვა მუსლიმურ ქვეყნებთან შედარებით. ეს უპირატესობა, ცხადია, არა სამხედროების რიცხვით ანდა შეიარაღების სხვა ტიპების სიუხვით, არამედ სწორედ ატომური იარაღით გამოიხატება, რაც ისრაელს რეგიონში პრივილეგირებული სახელმწიფოს უპირატესობას ანიჭებს.

ამის საპირწონედ სრულიად გასაგებია თეირანის ამბიცია, ჰქონდეს უმაღლესი შეიარაღება, რაც მაჰმუდ აჰმადინეჟადს საშუალებას მისცემს, რეალობად აქციოს თავისი საჯარო გამოსვლები რეგიონში ირანის პირველობის შესახებ, რაც თვით ირანშივე ფუჭ ლაპარაკად მიაჩნიათ.

ოღონდ ძნელი სათქმელია, რა იქნება ამ რეალობის შემდეგ – უფრო ზუსტად, იქნებიან თუ არა ის სახელმწიფოები, რომელთა არსებობასაც ისლამური ირანი აღარ მოინდომებს და თეირანში ნიადაგის შესამზადებლად დიდი ასოებით და გამოკვეთილი ხელით დაწერენ: „სიკვდილი ამა და ამ ქვეყანას!“

სარეიტინგო ოპტიმიზმი და ზიღის ანატომია

საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტო Fitch Ratings-მა საქართველოს აგვისტოს ომის შემდეგ პირველად საკრედიტო რეიტინგი გაუზარდა – ნეგატიური პროგნოზის ქვეყნებიდან მოხსნა და სტაბილურში გადაიყვანა.

რევაზ საყევარიშვილი

სასტუმრო „ინტერკონტინენტალის“ დაუსრულებელი მშენებლობა, თბილისი, მაისი 2010

ფოტო: თეიმურ ბარძიმაშვილი

სააგენტოს ანალიტიკოსების თქმით, საქართველოს ეკონომიკაში აღმავლობის ნიშნები არსებობს. Fitch Ratings-ის პროგნოზით, 2010 წელს საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2009 წლის 3,9%-იან შემცირებასთან შედარებით 6% იქნება.

Fitch Ratings-ის შეფასებით, საქართველოს ეკონომიკა 2008 წლის აგვისტოს შემდეგ აღდგენის ნიშნებს ავლენს, უცხოეთიდან მიღებული მნიშვნელოვანი ფინანსური დახმარების ფონზე. თუმცა, რისკები შენარჩუნებულია კერძო სექტორში კაპიტალის შედინების თვალსაზრისით და ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის აუცილებელია საბიუჯეტო დისციპლინის გამკაცრება. სააგენტოს დაკვირვებით, ნეგატიური რისკები საბანკო სექტორში, რომელმაც გლობალური ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენა განიცადა, შესუსტდა. სექტორს კარგი კაპიტალიზაცია და ლიკვიდობა აქვს. ამავე დროს საბანკო სისტემაში მაღალია დოლარიზაციის მაჩვენებელი, რაც ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ეფექტიანობას ამცირებს. პოლიტიკური რისკები მაღალია და ეს ზეწოლას ახდენს სუვერენულ რეიტინგზე. Fitch Ratings არ ელის რუსეთსა და საქართველოს შორის საომარი კონფლიქტის და შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის განახლებას, თუმცა

მკვეთრი რყევების ალბათობის გამეორების გამორიცხვა შეუძლებელია“, – ნათქვამია სარეიტინგო სააგენტოს პრეს-რელიზში.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი სარეიტინგო სააგენტოს დასკვნაში კრიტიკული ნოტებიც ისმის. მაგალითად, სააგენტო აფიქსირებს, რომ საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი B კატეგორიის საკრედიტო რეიტინგის მქონე ქვეყნების ნორმას 3-ჯერ აჭარბებს. ქვეყანაში საგარეო ვალი 2009 წლის ბოლოს მთლიანი შიდა პროდუქტის 49% იყო, როცა B კატეგორიისთვის მისაღები მოცულობა 15%-ის ფარგლებშია. თუმცა, სააგენტოსვე განმარტებით, უშუალოდ სახელმწიფოს ვალი გასული წლის ბოლოს მთლიანი შიდა პროდუქტის 35% იყო, რაც B კატეგორიის ქვეყნისთვის მისაღები მაჩვენებელია.

საქართველოს მთავრობა Fitch Ratings-ის მიერ 2010 წელს საქართველოს მშპ-ს 6%-ით ზრდის თაობაზე პროგნოზის გაკეთებას მიესალმება, თუმცა მიაჩნია, რომ ამის მიღწევას ქვეყანა მხოლოდ სათანადო გარე და შიდა პირობების არსებობის შემთხვევაში შეძლებს. მანამდე მთავრობის პროგნოზი 2010 წელს მშპ-ის ზრდის თაობაზე, უცვლელად – 3-5%-ის ფარგლებში რჩება. ეს ალბათ ბოლო წლების პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს ხელისუფლების პროგნოზი უფრო მოკრძალებულია, ვიდრე – საერთაშორისო საფინანსო თუ სარეიტინგო სააგენტოების.

თუმცა, მაღალი ზრდის პროგნოზის პოზიტიურობის მიუხედავად, აუცილებელია, მოვახდინოთ ამ ზრდის „ანატომიური შესწავლა“. როდესაც საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ 2010 წლის სტატისტიკა უფრო ომამდელი 2008 წლისას ჰგავს, ვიდრე პოსტსაომარი 2009 წლისას, აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: 2006, 2007 და 2008 წელს (ომამდე) ზრდას უპირატესად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სოლიდური მოცულობა და ამ ინვესტიციებით ნასაზრდოები კერძო ბიზნესი უზრუნველყოფდა. დღეს კი ზრდას სახელმწიფოს მიერ გააქტიურებული მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები განსაზღვრავს, რომელთა უმეტესობაც საგარეო სავალო წყაროებიდან მობილიზებული სახსრებით ფინანსდება. ეს სახსრები, მოგეხსენებათ, ბრიუსელის კონფერენციაზე თავმოყრილი 4,5 მილიარდი დოლარიდან იხარჯება, რომელიც ნელ-ნელა იწურება და თუ მას ადგილობრივად გენერირებული ფული არ ჩაენაცვლა, ჩავარდნა გარდაუვალია.

ადგილობრივად შექმნილი სახსრების ზრდის თვალსაზრისით რომ პრობლემებია, ამაზე ძალიან ბევრი რამ მიუთითებს. ოპტიმისტური პროგნოზების მიუხედავად, მთელ რიგ საბაზრო სეგმენტებზე კრიზისული ტენდენცია კვლავაც გრძელდება. მაგალითად, საქართველოს მთავრობამ ორ ინვესტორს საინვესტიციო ვალდებულებები გადაუვადა. „ჟოკეი კლუბს“ ახალი იპოდრომის მშენებლობა მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა დაესრულებინა, ახალი პირობებით კი, მას მშენებლობისთვის დამატებით 7 წელი მიეცა. საინვესტიციო ვალდებულებები შეუცვალეს კიდევ ერთ კომპანიას — „არ სი აი ჯორჯიას“. კომპანიას კონტრაქტით გათვალისწინებული ზოგიერთი პირობა გაუუქმდა, მათ შორის – ყვარელში ღვინის მუზეუმის მშენებლობა, დანარჩენ ვალდებულებებზე საბანკო გარანტიის წარმოდგენა მოეთხოვა.

ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის პრეზენტაციაც ერთი თვით გადაიდო. ინდუსტრიული ზონის ოპერატორი „რაკ ჯორჯია ჰოლდინგის“ განცხადებით, დასრულებული სამუშაოების პრეზენტაცია მაისის ბოლოს უნდა შემდგარიყო, თუმცა ივნისის ბოლომდე გადაიდო. მიზეზებს კომპანიაში არ აკონკრეტებენ. დღეისთვის ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საწარმო ერთადერთმა კომპანიამ, ქართულმა „თბილცემენტმა“ გახსნა. საქართველოს მთავრობის ინფორმაციით კი, ინდუსტრიულ ზონაში ახალ საწარმოებს 22 კომპანია ააშენებს, რომლებთანაც ხელშეკრულება უკვე გაფორმებულია. მათ შორისაა მსოფლიოში საყოფაცხოვრებო ტექნიკის წარმოების ერთ-ერთ ლიდერი კომპანია „ელ ჯი“.

ზოგადად, ფართოდ რეკლამირებული ექვსი ინდუსტრიული ზონიდან რეალურად დღეს მხოლოდ ერთი – ქუთაისის ინდუსტრიული ზონა ფუნქციონირებს და ისიც – შეფერხებით. ამ დრომდე გაურკვეველია ქუთაისის მეორე ინდუსტრიული ზონის ბედი, რომელიც ჩინურ „ჰანგლი ინდასთრის“ უნდა აეშენებინა. დღემდე არ დაწყებულა თბილისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობა, რომელსაც ებრაული კომპანია „ტერა-1“ ახორციელებს. კომპანიას მშენებლობა

ჟურნალ ლიბერალის შეხვედრა სტუდენტებთან

3 ივნისს, ხუთშაბათს 17 სთ-ზე გაიმართება ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქციის შეხვედრა კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. შეხვედრაზე დასწრება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

კავკასიის უნივერსიტეტი , მე-6 კორპუსი, სააკაძის 1 კოსტავს ქუჩიდან ვახუშტის ხიდზე მიმავალ გზასა და მარჯვენა სანაპიროს შორის

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
91 23 26
899 48 62 41

შარშან შემოდგომაზე უნდა დაეწყო, თუმცა კონკრეტული ჯერ არაფერი ჩანს. ანალოგიური ვითარებაა რუსთავის ინდუსტრიულ ზონასთან დაკავშირებითაც. მისი მშენებლობისთვის ესტონურმა ბიზნეს-ჯგუფმა ყოფილი „ქიმბოჭკოს“ ქარხნის ტერიტორია ჯერ კიდევ 2007 წელს შეიძინა, თუმცა ამ ტერიტორიაზე აქტიური პროცესები ამ დრომდე არ დაწყებულა. კიდევ ერთი ინდუსტრიული ზონის მშენებლობა ხელვაჩაურის რაიონში იგეგმება, თუმცა აჭარის მთავრობამ ინდუსტრიული ზონის მშენებლობით დაინტერესებული ინვესტორი ჯერაც ვერ იპოვა.

კრიზისის შენარჩუნებული ტენდენცია ასევე თვალსაჩინოა, თუ თბილისში წლების წინ დაწყებულ და დაკონსერვებულ პროექტებს გადავხედავთ. თბილისში 5-ვარსკვლავიანი სასტუმროების მსოფლიო ქსელის „ინტერ კონტინენტალის“ სასტუმროს მშენებლობაც შარშანდელი შემოდგომიდან შეჩერებულია, მშენებლობისთვის საჭირო თანხის არარსებობის გამო. სასტუმროების კიდევ ერთი ცნობილი ბრენდის – „ჰაიათის“ სასტუმროს აგებაც გაიყინა და მენეჯმენტი განახლების დროსაც ვერ აკონკრეტებს. მისი დასრულება წელს იგეგმებოდა, თუმცა ფინანსური კრიზისის გამო, მშენებლობა შეჩერდა, პროექტის საერთო ღირებულება კი 150 მილიონი დოლარიდან უკვე 70 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

„დეზერტირების ბაზარიც“, უკვე სამი წელია, დანგრეულია, მშენებლობა კი დღემდე არ დაწყებულა. ამ დრომდე არც ისაა ცნობილი, როდის დაიწყება და კონკრეტულად რა უნდა აშენდეს ამ ტერიტორიაზე. თბილისის ცენტრში, უნივერმაღ „თბილისის“ ადგილზე ახალი კომერციული, გასართობი და ბიზნეს-ცენტრი „უილბრუკ-პლატინიუმ თბილისი პლაზას“ ბედიც საბოლოოდ გაურკვეველია. ასე რომ, ამ სფეროს კრიზისის გადალახვა ჯერ ნაკლებად ეტყობა.

მთავრობის გათვლებით, 2010 წლის პირველ კვარტალში საგადასახადო შემოსავლები, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 1,2%-ით გაიზარდა. 25%-იანი ზრდა ფიქსირდება უძრავი ქონებისა და ავტომობილების რეგისტრაციაში, ხოლო მშენებლობის გაცემული ნებართვების რაოდენობა, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 84%-ით მეტია. გაზრდილია სატვირთო გადაზიდვების მოცულობაც, რაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში 10 მილიონ ტონაზე მეტია.

თუმცა, მთავრობის ამ ოპტიმისტურ სტატისტიკას კერძო სექტორი შესაბამისი დადასტურებით მთლად ვერ უჭერს მხარს. მაგალითად, უმსხვილესი დეველოპერების ნაწილში აცხადებენ, რომ სამშენებლო სექტორში გაყიდვები არ გაზრდილა. 2008 წლის შემდეგ გაყიდვები თითქმის შეჩერებულია, და მეტიც – მომხმარებელი გასულ წლებში ნაყიდი ბინების საფასურის დაფარვასაც ვერ ახერხებს. კომპანია „ცენტრ პოინტის“ განცხადებით, მათთან ყოველთვიურად კლიენტებისგან მისაღები თანხის მხოლოდ 1% შედის. ამავეს აცხადებენ „მაგი სტილშიც“. და ეს – იმის მიუხედავად, რომ მშენებარე ფართებზე ფასები შემცირებულია.

და ეს არ არის მხოლოდ თბილისის პრობლემა. დაგეგმილი და ანონსირებული ბევრი პროექტი რეალურ ხორცშესხმას ვერ ჰპოვებს. მაგალითად, თელავის რეაბილიტაციის პროექტი, რომელიც 2008 წლის ბოლოს უნდა დაწყებულიყო, უკვე მესამედ გადაიდო და, როგორც ირკვევა, პროექტი წელსაც ვერ დაიწყება, რადგან არც ადგილობრივ და არც ცენტრალურ ბიუჯეტში რეაბილიტაციისთვის საჭირო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხები არ ზის. აღსანიშნავია, რომ თელავის რეაბილიტაცია ჯერ კიდევ 2007 წლიდან დაიგეგმა, თუმცა პროექტი დღემდე არ დაწყებულა. მსგავსი პრობლემები კი, პრაქტიკულად, საქართველოს ყველა თვითმმართველობაში უხვად მოიძებნება.

სტატია მომზადდა ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის მიერ განხორციელებული CSE-PFM პროექტის ფარგლებში. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია ჟურნალი „ლიბერალი“. სტატია არ წარმოადგენს ევროკავშირის ან ბრიტანულ-ქართული პროფესიული ქსელის პოზიციას.

თვალსაზრისი

ჰატომ უნდა ვიყოთ ჰომის ჰაჰზე მეტად ჰათოლიჰეები?

ორიოდ სიტყვით გამოხატვის თავისუფლებისა და რელიგიური გრძნობების დაცვას შორის ბალანსის ძიების თაობაზე.

დავით ზურაბიშვილი

პოსტსაბჭოთა ეპოქის პირველ ხანებში ძალიან პოპულარული იყო ერთი გამოთქმა: „დემოკრატია არ ნიშნავს იმას, რომ ვისაც რა უნდა, ის ილაპარაკოს!“ თითქმის ისეთივე პოპულარული, როგორც „მრავალპარტიულობა კარგია, მაგრამ რა ამბავია ამდენი პარტია?“. ძალიან ძნელი იყო, აგეხსნა ამის მთქმელისთვის (ასეთები კი ბევრნი იყვნენ, ყოფილი ფუნქციონერ-ნომენკლატურელებით დაწყებული და ხელოვან-ინტელიგენტებით დამთავრებული), რომ თვით სიტყვა მრავალპარტიულობა გულისხმობს უკვე პარტიათა სიმრავლეს და სამი პარტია იქნება, ხუთი და ორმოცდახუთი, ეს არავის სადარდებელი არ არის, ხოლო ლიბერალური დემოკრატიის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპი სწორედ ისაა, რომ ვისაც რა უნდა, იმას ლაპარაკობს.

გავიდა წლები. გავიზარდეთ. მრავალპარტიულობას მივეჩვიეთ. მაინცდამაინც აღარც ენაზე მომდგარ როყიო სიტყვის ამოთქმაზე გვეშლება ნერვები, მაგრამ ახალ დროებას ახალი პრობლემებიც მოაქვს.

ერთ-ერთი ასეთი პრობლემა, რომელმაც ამ ბოლო დროს იჩინა თავი, არის გამოხატვის თავისუფლების პრობლემა. უფრო ზუსტად, არა თავად გამოხატვის თავისუფლებაა პრობლემა, არამედ პრობლემადაა წარმოჩენილი, თუ სად გადის ის ზღვარი, სადაც გამოხატვის თავისუფლების რეალიზაცია უკვე სხვა ადამიანის უფლებების შელახვაში გადადის.

ამ თემის აქტუალიზება, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარი ფაქტით დაიწყო. წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“ მოეწყო ახალგაზრდა ავტორის, ერეკლე დეისაძის წიგნის, „საიდუმლო სირობის“ პრეზენტაცია. ეს პატარა წიგნი რომ ძირითადად ეპატაჟსა და სკანდალზე იყო გათვლილი, სათაურიდანვე ჩანდა და ამისთვის თავად ტექსტში გაბნეულ სექსო-რელიგიურ და სადო-მაზო-ინცესტურ პასაჟებში ჩაღრმავება სულაც არ იყო აუცილებელი. ასეთი ტიპის ტექსტები ქართულ ლიტერატურაში უკვე სიახლეც აღარ არის, მაგრამ რამდენადაც „ლიგამუსი“ ილიას უნივერსიტეტის შენობაშია,

ვილაც-ვილაცებს გაუჩნდათ ეჭვი, რომ ეს ყველაფერი გიგი თევზაძემ და თავისუფლების ინსტიტუტმა სპეციალურად მოაწყვეს გარყვნილების პროპაგანდის მიზნით. ამას მოჰყვა აქცია, მერე კონტრაქცია მომიტინგეების ცემა-ტყეპით და ბოლოს დაგვირგვინდა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირისა და სახალხო-მართლმადიდებლური მოძრაობის მიერ ტელეკომპანია „კავკასიის“ შტურმით.

სწორედ ამ ამბების მერე გაჟღერდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ინიციატივა: მიღებულ იქნას კანონი, რომელიც დაიცავს მოქალაქეთა რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფისგან.

პატრიარქის ეს ინიციატივა მომენტალურად აიტაცეს იმ პოლიტიკურმა ჯგუფებმა, რომელთაც მსგავსი ტიპის იდეები ადრეც არაერთხელ გამოუთქვამთ. პირადად ჩემთვის ცოტა უცნაური იყო ყოფილი ომბუდსმენის სოზარ სუბარის პოზიცია, რომელიც მან სტატიის სახით გამოაქვეყნა ჟურნალ „ლიბერალში“.

უცნაურობა იმაში გამოიხატება, რომ სტატიაში ძალიან ბევრი ლაპარაკია გამოხატვის თავისუფლებასა და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას შორის ბალანსზე, მოყვანილია მაგალითები ევროსასამართლოს პრაქტიკიდან, როდესაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა სასამართლომ გამართლებულად ცნო, რადგან ჩათვალა, რომ მორწმუნეთა რელიგიური გრძნობები უხეშად შეილახა და ა. შ. რაც მთავარია, ნათქვამია, რომ საქართველოში ბალანსი აშკარად გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდაა დარღვეული.

შეიძლება ვინმემ იკითხოს, – რა არის აქ უცნაურიო. მართლაცდა, მსოფლიო პრაქტიკაში (მათ შორის, დემოკრატიულ ქვეყნებშიც) არაა ასე ცალსახად გადაწყვეტილი, რომ გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდავია და რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა თავისუფლად შეიძლება. ირლანდიაში, მაგალითად, კანონიც კია მიღებული „ღვთის გმობის წინააღმდეგ“. სოზარი აბსოლუტურად მართალია, როცა ამბობს, რომ ევროსასამართლო ამ თემას ძალიან დივერსიფიცირებულად უდგება და თვლის: ეს საკითხი ყველა ქვეყანაში უნდა გადაიჭრას ისე, რომ გათვალისწინებული იყოს ამ ქვეყნის ტრადიციები და კულტურული თავისებურებები.

მეც სწორედ მანდა ვარ და სწორედ საქართველოს სპეციფიკიდან გამომდინარე ვფიქრობ, რომ აქ, ჩემი აზრით, საერთოდ არაფერი არაა საკამათო და გასარჩევი, ყოველ შემთხვევაში – მათთვის, ვისაც უფლებადაცვითი საქმიანობის ცოტაოდენი პრაქტიკა მაინც აქვს.

მე არ ვაპირებ თეორიულ დავას იმის შესახებ, თუ ზოგადად რა უფრო პრიორიტეტულია: გამოხატვის თავისუფლება თუ რელიგიური გრძნობების მოფრთხილება. მიმაჩნია, რომ გამოხატვის თავისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში პრიორიტეტული უნდა იყოს. ამა თუ იმ ქმედების შეფასება საზოგადოებრივი მორალის სფერო უფრო მგონია, რადგან სახელმწიფოს ჩარევა ყოველთვის შეიცავს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საფრთხეს. თუმცა, მეორე მხრივ, იმასაც ვაცნობიერებ, რომ ამ თვალსაზრისის ლეგიტიმური კონტრარგუმენტებიც არსებობს.

მაგრამ ამჯერად დროებით გვერდზე გადავდოთ საკითხის სქოლასტიკური მხარე და დავბრუნდეთ ქართულ რეალობაში. ჩვენ ვცხოვრობთ ჯერ კიდევ პოსტსაბჭოთა რეალობაში, როდესაც პლურალიზმი და განსხვავებულ შეხედულებათა თანაარსებობა ჯერ კიდევ არაა საზოგადოების მიერ ფუნდამენტურ ღირებულებად აღქმული, როდესაც ახალგაზრდა ავტორის არცთუ მაღალმხატვრული ტექსტი, აქაოდა შიგ დედის გინება წერიაო, აღიქმება ეროვნულ საფრთხედ და რაღაც დიდი შეთქმულების ნაწილად, როდესაც ეკლესიის ავტორიტეტი და პატრიარქის მიმართ ნდობა არის რეკორდულად მაღალი და კატასტროფულად დაბალია ნდობა პოლიტიკური პარტიების, სახელმწიფო ინსტიტუტებისა თუ მასმედიის მიმართ, როდესაც სახელმწიფო ცდილობს, საკუთარი კონტროლი ფაქტობრივად ცხოვრების ყველა სფეროზე განავრცოს ფორმალურად თუ არაფორმალურად... დიახ, ჩვენ ამ რეალობაში ვცხოვრობთ.

და ამ რეალობაში ყველასთვის, ვისაც საქართველოს მომავალი წარმოუდგენია, როგორც ევროპული ტიპის დემოკრატიული სახელმწიფო, პრიორიტეტული უნდა იყოს სწორედ პლურალიზმისა და ტოლერანტობის კულტურის დამკვიდრება, რაც პრინციპულად შეუძლებელია მოხდეს გამოხატვის თავისუფლებაზე კონტროლის მექანიზმების დაწესებით; უფრო – პირიქით.

ერთხელ, რუსეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, ვიქტორ ჩერნომირდინმა, რომელიც საერთოდ ცნობილია თავისი პარადოქსული ფრთიანი ფრაზებით, ასეთი რამ თქვა: რა საზოგადოებრივი ორგანიზაციაც უნდა შევქმნათ, მაინც სკკპ (საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია) გამოდისო. ჩვენც პოსტსაბჭოთა საზოგადოება გვაქვს და რა კანონიერი მექანიზმებიც უნდა შევქმნათ მოქალაქეთა რელიგიური გრძნობების დასაცავად, რა დასავლურ პრაქტიკასაც უნდა დავეყრდნოთ, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, საბოლოო ჯამში, მაინც ცენზურას მივიღებთ. საერო იქნება ეს ცენზურა თუ საეკლესიო, მნიშვნელობა არა აქვს, ცენზურა ცენზურაა.

მართლაცდა, როგორ გვინდა განვსაზღვროთ, რა არის რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა? ვინ უნდა გადაწყვიტოს ეს? სპეციალურმა კომისიამ, საპატრიარქომ, მთავრობამ თუ სასამართლომ? ყველგან ხომ ადამიანები სხედან, პოსტსაბჭოთა საზოგადოების მოქალაქეები, რომელთა უმრავლესობას გულწრფელად სჯერა, რომ წიგნში გინების და ღვთის გმობის დაწერა არ შეიძლება და ამგვარი მცდელობები შეძლებისდაგვარად უნდა აღიკვეთოს? შეიძლება კი რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისთვის გონივრული ბარიერი დაწესდეს ქვეყანაში, სადაც სერიოზულად ფიქრობენ, რომ „ჰარი პოტერი“, ეს სიკეთით გაჟღენთილი, საოცრად ნათელი და ღრმად ქრისტიანული სულის ნაწარმოები შავი მაგიის სახელმძღვანელოა?

ასეთი რამ უბრალოდ შეუძლებელია. ამგვარი მცდელობის შედეგი კი, იგივე ჩერნომირდინის არ იყოს, ის იქნება, რომ მოვინდომებთ, როგორც სჯობს და გამოვა, როგორც – ყოველთვის...

კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც საქართველოში მოქმედებს, ერთ-ერთი იმ იშვიათ კანონთაგანია, რომელიც კარგია და საჭირო. იგი პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის კანონიერ ცენზურას. შეიძლება აქ ბალანსი მართლაც დარღვეულია, მაგრამ ეს ცუდი არ არის, რადგან როცა არსებობს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების ძალიან მაღალი ალბათობა, ჩვენ ყველანი, სამოქალაქო უფლებების სფეროში, რომის პაპზე მეტად კათოლიკეები უნდა ვიყოთ.

სიმბოლური ბანაკი

პრეზიდენტის ვიზიტისთვის გახსნილი ანაკლიის პატრიოტთა ბანაკი დაგეგმილზე ოთხი დღით ადრე დასრულდება.

მაია წიკლაური

ანაკლიის პატრიოტთა ბანაკის ცენტრალური შესასვლელი, მაისი 2010

ფოტო: მაია წიკლაური

სოფელ ანაკლიასთან ზღვის სანაპიროზე წითელ, ლურჯ და ყვითელ ფერებში გაფორმებული შენობა დგას. ეზო იმავე ფერებში გაწყობილი კოშკებიანი კედლით და გისოსებითაა შემოღობილი, როგორც – ციხე-სიმაგრეები „მულტფილმებში“. ეს ბანაკ „პატრიოტის“ ახალი ბაზაა, სადაც, სხვა „პატრიოტული“ ბანაკებისგან განსხვავებით, ხის კოტეჯების ნაცვლად, ერთი დიდი, კომფორტული შენობა დგას.

„2008 წელს აგვისტოს ომის დროს განმუხურის ბანაკი გადაგვიწვეს. ეს შენობა უფრო მყარია და ბევრად თანამედროვეც“, – გვითხრა ბანაკის უფროსმა კახა ბენაშვილმა. ამ ბანაკის მშენებლობა კულტურის სამინისტროს 3,5 მილიონი ლარი დაუჯდა.

გისოსებს მიღმა, ეზოში დიდი ფუსფუსია. ბანაკის გასახსნელად საქართველოს პრეზიდენტს წუთი-წუთზე ელოდებიან.

ჰაერში მტვრის ბუღია. 200-მდე მუშა, ბანაკის ხელმძღვანელები და 300-მდე ბავშვი შენობაში და ეზოში საქმიანობს. მათ კულტურის მინისტრის მოადგილე ახალგაზრდულ საქმეთა საკითხებში – სულხან სიბაშვილი და შიდა ქართლის გუბერნატორი ლადო ვარძელაშვილი პირადად ხელმძღვანელობენ.

სატვირთო მანქანებს ეზოდან სამშენებლო ნაგავი გამოაქვთ და შენობის უკან ყრიან. ბავშვები ფანჯრებს წმენდენ და იმ ოთახებს ალაგებენ, რომელიც პრეზიდენტმა უნდა ნახოს.

ბანაკის მშენებლობა 3 თვის წინ დაიწყო. სოფელი ანაკლია „პატრიოტისთვის“ თავად პრეზიდენტმა შეარჩია. მიუხედავად იმისა, რომ სამშენებლო სამუშაოები არ დამთავრებულა, ბავშვები ბანაკში მაინც ჩამოიყვანეს. გახსნაც ადრევე დაიგეგმა.

„ეს სიმბოლური თარიღია. ყოველ წელს 27 მაისს ვხსნით ბანაკს და არ გვინდოდა, ეს ტრადიცია დაგვერღვია. შეიძლება, ყველაფერი მზად არ გვაქვს, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. თანდათან დავამთავრებთ“, – ამბობს სულხან სიბაშვილი.

ის ბანაკის მთავარ ღირსებად, ინფრასტრუქტურის გარდა, განახლებულ პროგრამას მიიჩნევს. სიბაშვილი ამბობს, რომ ბანაკების მიმართულება მნიშვნელოვნად შეიცვლება. ყურადღებას ბავშვების სამოქალაქო განვითარებაზე

გაამახვილებენ. შეასწავლიან ისტორიას, ხელოვნებათმცოდნეობას, ხალხურ რეწვას, ფოლკლორს, კულტუროლოგიას. კითხვაზე, თუ ვინ ჩაატარებს ამ სწავლებებს, სულხან სიბაშვილს იგივე პასუხი აქვს, რაც 2009 წლის დეკემბერში „ლიბერალთან“ საუბრისას ჰქონდა. მაშინ სიბაშვილი საბანაკო სტრუქტურის დახვეწაზე საუბრობდა:

„არის რამდენიმე სამიზნე ჯგუფი, ვინც ამ ტრენინგებსა და სემინარებზე მუშაობს. ჩვენ უნდა შევჯერდეთ, ვინ ჩაატარებს ამ ყველაფერს“, – ამბობს სიბაშვილი და მიუხედავად იმისა, რომ სემინარებზე ჯერაც მუშაობენ, მაინც დარწმუნებულია, რომ ტრენინგებს „უახლოეს დღეებში“ დაიწყებენ და „პატრიოტებს“ ე.წ. Summer Camp-ებს დაამსგავსებენ.

ცვლილებების შესახებ არც ბანაკის ლიდერებმა იციან რამე. მათ ბავშვებს პირველი შეხვედრისას „პატრიოტის“ ძველი პროგრამა გააცნეს და დაჰპირდნენ, რომ ყოველდღიურ ვარჯიშებთან და თამაშებთან ერთად პოდიუმს, საქართველოს დღეს, „კავეენს“, „ბრეინრინგს“, თეატრის საღამოს და ფეხბურთის ჩემპიონატს ისევე ჩაუტარებენ, როგორც გასულ წლებში სხვა ბანაკებში აკეთებდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ავტორები ცვლილებებს გეგმავენ, გართობასთან ერთად ბანაკების მთავარ კონცეფციად ისევ პატრიოტიზმი რჩება. ლიდერები ბავშვებთან ისევ საუბრობენ სამშობლოს სიყვარულზე და, როგორც თავად ამბობენ, ცდილობენ, მათ პატრიოტიზმი გაუღვივონ.

წიგნის დახმარებით რამდენიმე ოჯახიც შეიქმნა.

მისი აზრით, პატრიოტიზმის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ქვეყნის ჰიმნის არცოდნაა. სწორედ ამიტომ ჰიმნს ბავშვებს დღეში რამდენჯერმე მოასმენინებენ.

„აქ ვისვენებ, ბავშვებს ვუახლოვდები და სამშობლოს სიყვარულს ვსწავლობ. ადრე განმუხურში რომ ვიყავი, მაშინაც პატრიოტული გრძნობები გამიჩნდა. ეგეთი გრძნობები არ მქონია არასდროს. არ ვიცი, ეს როგორ ხდება, თუმცა აქაურობა ძალიან მომწონს“, – ამბობს ბანაკის მონაწილე მარიამ ზარხოზაშვილი, რომელიც პატრიოტთა ბანაკში მანამდეც ყოფილა.

დიმა ბაცაცაშვილი ჰყვება, რომ ხშირად ესაუბრება ბავშვებს საქართველოს

„პატრიოტიზმი ეს არის გრძნობა, რომელიც ჩემშიც მიძინებული იყო. თუმცა, ძალიან დიდი ხანია, ამ გრძნობამ პროგრამა „პატრიოტის“ დახმარებით გაიღვიძა“, – ამბობს ლიდერი დიმა ბაცაცაშვილი.

ერთ-ერთ ასეთ Summer Camp-ში, რომელიც უცხოელებმა ქართველი ბავშვებისთვის მოაწყვეს, ანაკლიის „პატრიოტთა“ ბანაკის წევრი 17 წლის გიორგიც მონაწილეობდა. „ძალიან მაგარი ბანაკი იყო. იქაც ჯგუფებად ვიყავით დაყოფილი და ყველას თავისი პრეფექტი ჰყავდა. ერთმანეთს სხვადასხვა საგანში ვეჯიბრებოდით, მაგალითად – გეოგრაფიაში. იყო საზროვნო ჩემპიონატები, თამაშები. ვიცი, რომ აქ ეგეთი რამე არ იქნება, მაგრამ მგონია, მაინც კარგად გავერთობი ზღვაზე, მეგობრებთან ერთად“, – ამბობს გიორგი.

ხელმძღვანელებმა „ლიბერალს“ ბანაკურ ცხოვრებაზე დაკვირვების საშუალება არ მისცეს. მხოლოდ რამდენიმე ბავშვისგან გავიგეთ, რომ ბანაკის ხელმძღვანელებს კონკრეტული პროგრამა არ აქვთ და ბავშვებს დღის განმავლობაში დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ წინასწარ არაფერს ეუბნებიან.

„გაღვიძების შემდეგ ვვარჯიშობთ, ვჭამთ, ვცეკვავთ და ზღვაზე დავდივართ. ალბათ თანდათან დახვეწავენ პროგრამას“, – ამბობს ერთ-ერთი „პატრიოტი“.

ხელმძღვანელების მიერ დაგეგმილი

„რამე ამაღელვებელი მოიფიქრეთ და პატრიოტული, სამშობლოსთან ახლოს, „ბზიკები“ რა სახელია?!“ – რაზმებისთვის სახელის შერჩევის დროსაც ლიდერების უმეტესობა ბავშვებს პატრიოტული სახელების მოფიქრებას სთხოვს. პატრიოტული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ორ რაზმს „ერთობა“ და „მებრძოლი“ დაარქვეს. შემდეგ კი დევიზის სწორად დაძახებაშიც ივარჯიშეს: „რაზმი: ერთობა! დევიზი: ვიყოთ ერთობით, სულ გავერთობით! – იმეორებდნენ „პატრიოტები“ ლიდერთან ერთად. მხოლოდ ერთმა ლიდერმა ურჩია ბავშვებს მეგობრულად, დევიზისთვის რაიმე მსუბუქი დაერქმიათ. სახელად ბოლოს „ცამეტი“ შეარჩიეს.

„პატრიოტიზმი ეს არის გრძნობა, რომელიც ჩემშიც მიძინებული იყო. თუმცა, ძალიან დიდი ხანია, ამ გრძნობამ პროგრამა „პატრიოტის“ დახმარებით გაიღვიძა“, – ამბობს ლიდერი დიმა ბაცაცაშვილი. ის 30 წლისაა და „პატრიოტის“ პროექტში 2005 წლიდან მონაწილეობს. პროფესიით მსახიობია და საბავშვო გასართობ ცენტრში მუშაობს. გამოცემული აქვს წიგნი „სასიყვარულო მესიჯების კრებული“ და ამაყობს, რომ ამ

სიყვარულზე, ტრადიციებზე, საქართველოსთვის თავდადებულ გმირებზე. „ხშირად ვეუბნებით ბავშვებს, რომ აქედან წასულებს სამშობლო იმაზე მეტად უნდა უყვარდეთ, ვიდრე აქ მოსვლამდე. ამას კარგი ურთიერთობისა და სწორად შერჩეული ადამიანების საშუალებით ვაღწევთ, რომელთაც უყვართ სამშობლო, პატივს სცემენ სხვა ერებს და გემრიელ გარემოს ქმნიან“, – ამბობს ბაცაცაშვილი.

ბანაკის ხელმძღვანელობა ძალიან ამაყობს ბაცაცაშვილით და ლიდერთა იმ გუნდით, რომელიც ანაკლიის პირველ ნაკადზე წაიყვანეს. „აქ ყველა დროის საუკეთესო ლიდერები არიან“, – ამბობს ბანაკის უფროსი კახა ბენაშვილი.

სპეციალურად ამ ბანაკისთვის ბავშვებიც განსაკუთრებულად შეირჩნენ. როგორც სულხან სიბაშვილმა გვითხრა, ბანაკში უმეტესობა წარჩინებული მოსწავლეა, დანარჩენები კი სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან არიან.

თითოეული რეგიონიდან წამომსვლელთა ჯგუფი ადგილობრივ ახალგაზრდულ დეპარტამენტში დაკომპლექტდა და მათზე დიდ იმედებს ამყარებენ. „აბა, თქვენ იცით, ოცი ხართ

ფოტო: გაგა წიკლაური

მიხეილ სააკაშვილი და „პატრიოტები“ ფრენბურთის თამაშის დროს, მაისი 2010

და 10 მედალი მაინც უნდა ჩამოიტანოთ სხვადასხვა შეჯიბრიდან, მაქსიმალურად გამოიჩინეთ თავი. უნდა გვასახელოთ! იცოდეთ, საყვედური არ უნდა მივიღოთ თქვენ გამო!“ – დააბარეს ბავშვებს ერთ-ერთი ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელებმა.

„მე აქ გასართობად მოვედი და ლაპარაკიც არ შეიძლება? ჯარი ხომ არაა?“ – ეკითხება ბანაკის ერთ-ერთი წალენჯიხელი მონაწილე ლიდერს, რომელმაც ლაპარაკის გამო შენიშვნა მისცა. „მე თქვენი გულისთვის ვჩერდები და რვაჯერ ვერ გავჩერდები!“ – მკაცრად უპასუხა ლიდერმა. შემდეგ კი ბავშვებს იმის ახსნა დაუწყო, რომ „ბანაკი ჯარი არ არის, თუმცა ჯარის ანალოგია“.

„ჯარში მთავარია დისციპლინა და თუ ეს არ არის, ომს ვერ მოიგებს დაქსაქსული ჯარი. ჩვენთანაც ესეა. ისეთივე წესრიგი უნდა გვქონდეს, როგორც ჯარში. ამიტომ ბევრჯერ ნუ მალაპარაკებთ და გაიგონეთ, რასაც გეტყვით“, – ასე ხსნის ბანაკში წესების აუცილებლობას ლიდერი.

პრეზიდენტის მოსვლამდე ბანაკის უფროსიც იგივეს იმეორებს: „ყველამ ჩაიცვით ფორმა და რასაც გეტყვით, გააკეთეთ, ბევრი არ მალაპარაკოთ!“

ბანაკი ფილმის გადასაღებ მოედანს ემსგავსება. ლიდერები პრეზიდენტის მოსვლამდე ბავშვებს როლებს უნაწილებენ. ფორმიანი ბავშვები სააკაშვილს დროშასთან ხვდებიან. რამდენიმე მათგანს ბანაკის ხელმძღვანელები ფეხბურთის და ფრენბურთის მოედანზე თამაშს ავალებენ. ფრენბურთის თამაშში პრეზიდენტიც ერთვება.

შემდეგ, სცენარის მიხედვით, ბავშვები სააკაშვილთან ერთად სადილობენ. ზოგი მათგანი შორიდან ხუმრობით გვანიშნებს, რომ ძალიან შიათ – პრეზიდენტის დასახვედრად ბანაკის მომზადებაში გართულმა ხელმძღვანელებმა მანამდე მათი საუზმისთვის ვერ მოიცალეს. სულხან სიბაშვილი ამ „მცირე ხარვეზს“ პრობლემად არ მიიჩნევს. ამბობს, რომ მათთვის მნიშვნელოვანი გახსნისთვის მომზადება იყო და საუზმეს ვერ ასწრებდნენ.

ანაკლიაში ნახევარსაათიანი ვიზიტისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა ტელეკამერების წინ გულმოდგინედ მოირგო „პატრიოტის“ ყველა როლი – ასწია დროშა, მოუსმინა ჰიმნს, ითამაშა ფრენბურთი, ისადილა და ბავშვებს დაემშვიდობა, გადასაღები მოედანი კი ამის შემდეგ ისევ ბანაკად გადაიქცა.

პრეზიდენტის წასვლის შემდეგ ბანაკის ხელმძღვანელებმა „პატრიოტებს“ გამოუცხადეს, რომ სახელდახელოდ „სიმბოლური დღისთვის“ გახსნილი ბანაკი დაგეგმილზე ოთხი დღით ადრე, 2 ივნისს დაიხურება. „პატრიოტები“ სახლებში, ათის ნაცვლად, ექვს დღეში დაბრუნდებიან.

P.S. ბანაკის წარმომადგენელი ესწრებოდა „ლიბერალის“ ყველა ოფიციალურ ინტერვიუს. ინტერვიუს განმავლობაში რესპონდენტ ლიდერს, ან ბანაკის მონაწილეს თვალებში უყურებდნენ. აკონტროლებდნენ, რომ ფოტოს გადაღებისას ვინმესთვის რამე არ მეკითხა. იმ შემთხვევაში, თუ ლიდერი დამელაპარაკებოდა, ხელმძღვანელისგან საყვედურს იღებდნენ. ასეთი ყურადღების მიზეზი გაუგებარია, მით უფრო, რომ ნაციონალური და ადგილობრივი ტელევიზიების ჟურნალისტები აბსოლუტურად თავისუფლად მუშაობდნენ, „ლიბერალს“ კი კატეგორიულად სთხოვდნენ, ბანაკის ტერიტორია დაეტოვებინა.

ფოტოები ლევან სარიბეგლიანი

თბილისის N35 ბიბლიოთეკა, მაისი 2010

N35 ბიბლიოთეკის შენობაში ამჟამად თბილისის მუნიციპალიტეტის ფილიალი და „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატის კახა გურულის საარჩევნო შტაბია განთავსებული, მაისი 2010

მუნიციპალური ბიბლიოთეკები

არჩევნები წიგნების ნაცვლად

თბილისის ბიბლიოთეკების ნაწილში საარჩევნო შტაბები და უბნებია განთავსებული, ნაწილში კი – ქალაქის მუნიციპალური სამსახურები.

რუსუდან ფანოზიშვილი

ილია ჭავჭავაძის გამზირზე, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში, ბოლო ორი თვეა, სტუდენტები წიგნებს ქსეროქსის აპარატთან, ფანჯრის რაფაზე, ან ბიბლიოთეკის გამგის მაგიდასთან ჩამომსხდარები კითხულობენ და ასე ემზადებიან მოახლოებული გამოცდებისთვის. სამკითხველო დარბაზში კი, სტუდენტების ნაცვლად, „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბის წევრები სხედან, კედლებზე პლაკატები და პარტიული რეკლამები გააკრეს და ასე ემზადებიან მოახლოებული არჩევნებისთვის.

„ხმა მიეცით ვახტანგ ნაცვლიშვილს“ – ბიბლიოთეკის ფანჯარაზე მიკრული პლაკატიდან გვიღიმის ვაკის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, „ლიბერალთან“ საუბარში კი ამბობს, – „ბავშვობიდან მახსოვს, რომ არჩევნებზე ყოველთვის შტაბი იყო ხოლმე; ჯუმბერ პატიაშვილს, ირინა სარიშვილსაც ჰქონიათ აქ შტაბები. რომ დავდექი კანდიდატად, გამახსენდა ეს ადგილი, მოვედით და შევთავაზეთ, კარგი ადგილია“.

„დასაჯდომს ახლა თითქმის ვეღარ იპოვი. რასაც აქვე ვკითხულობდით ხოლმე, ახლა ასლების გადაღება მჭირდება“, – ამბობს პირველკურსელი ნათია კენჭიაშვილი, რომელიც ქართული ფილოლოგიის გამოცდებისთვის ემზადება და ყოველდღე რამდენიმე საათს ბიბლიოთეკაში ატარებს.

„არც ერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლობა არ უნდა იყოს ბიბლიოთეკაში განთავსებული, ის მკითხველებისთვისაა“, – ამბობენ ბიბლიოთეკის მისაღებში, კატალოგის მაგიდასთან ჩამომსხდარი ლილე ტვილდიანი და მისი მეგობრები.

„ეს მკითხველებთან ხელშეკრულების დარღვევაა. გამოდის, რომ მათ უფლებებს ვარღვევ“, – ამბობს ელენე კასრაძე, რომელიც, მეოცე წელია, ბიბლიოთეკის გამგედ მუშაობს და აცხადებს, რომ მის ბიბლიოთეკაში ზოგ დღეებში 500-მდე მკითხველი შემოდის. მისივე თქმით, მართალია, შტაბის წევრები მხოლოდ დარბაზს იკავებენ და ცდილობენ, თანამშრომლებს ხელი არ შეუშალონ, მაგრამ მისი ნება რომ ყოფილიყო, არც ერთ პოლიტიკურ პარტიას ბიბლიოთეკაში შტაბის განთავსების საშუალებას არ მისცემდა.

არადა, ვახტანგ ნაცვლიშვილი დარწმუნებულია, რომ კეთილ საქმეს აკეთებს. „ეს ფართი იჯარის სახით ავიღეთ, ხელშეკრულება გავაფორმეთ და თანხას ვიხდით. შეიძლება ერთი-ორი დღით, თუნდაც ერთი თვით, ბიბლიოთეკისთვის ჩვენი აქ ყოფნა დისკომფორტი იყოს, მაგრამ მერე სარგებელი შემოვა და წაადგებათ მკითხველებსაც და ბიბლიოთეკასაც. შეიძლება ახალი წიგნებიც იყიდონ. გარდა ამისა, ჩვენ აქ დარბა-

ბიბლიოთეკებში რომელიმე ოპოზიციური პარტიის შტაბი განთავსდა. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ შემოდგომიდან მოყოლებული, თბილისის 48 ბიბლიოთეკიდან ათში მერიამ საკუთარი ფილიალები გახსნა. მაშინ, როცა თითოეულ რაიონში მოქმედებს ქალაქის მუნიციპალიტეტის გამგეობები, მერიაში დამატებითი ფილიალების გახსნას ადამიანების უფრო ეფექტურად მომსახურების სურვილით ხსნიან. „ზოგს განცხადება აქვს შესატანი, ზოგს კომპიუტერის და ინგლისურის კურსებზე ჩაწერა უნდა“, – ამბობს ვარკეთილში, კალოუბნის ქუჩაზე მუნიციპალიტეტის ფილიალის თანამშრომელი ლადო ჯანელიძე, რომელიც დასძენს, რომ ფილიალებსაც თითქმის იგივე ფუნქციები აქვთ, რაც გამგეობებს.

მერიის ფილიალი კალოუბნის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკის შენობაში 2009 წლის შემოდგომაზე განათავსეს. თვითონ ბიბლიოთეკა კი მეზობლად მდებარე ბიბლიოთეკაში შეასახლეს. მისი ყოფილი შენობა, სადაც, თანამშრომლების თქმით, მანამდე ხვლიკები და თაგვები დარბოდნენ, გაარემონტეს და დღეს იქაურობას მერიის ფილიალი და „ნაცმოძრაობის“ კანდიდატის, კახა გურულის საარჩევნო შტაბი იყოფს. ახლად გარემონტებული შენობის ფანჯარაზე აბრაა გამოკრული: „თბილისის მერი გიგი უგულავა“.

„მოვიდნენ, გვითხრეს, – უნდა გადავტიხროთ, სამკითხველოში დარბაზი უნდა გავაკეთოთო, – მეორე დღესვე დაიწყეს შენობის გადაკეთება“, – იხსენებს ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე მე-19 ბიბლიოთეკის გამგე, გულიკო კვიცარიძე მერიის სამსახურის გამოჩენას. დღეს ქალბატონი გულიკო და ბიბლიოთეკის მთელი პერსონალი ერთ პატარა ოთახში არიან შეყუჟულები – მკითხველებსაც იქვე იღებენ. ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილისგან კი მერიის სამსახურის მიერ ამოშენებული კედელი ჰყოფთ.

„ამ კედლის გამო, 2 თვით ბიბლიოთეკის დახურვაც მოგვიხდა – მკითხველებს საერთოდ ვეღარ ვიღებდით“, – აღნიშნავს გამგე. ახლა

■ დღეს ქალბატონი გულიკო და ბიბლიოთეკის მთელი პერსონალი ერთ პატარა ოთახში არიან შეყუჟულები – მკითხველებსაც იქვე იღებენ. ბიბლიოთეკის დანარჩენი ნაწილისგან კი მერიის სამსახურის მიერ ამოშენებული კედელი ჰყოფთ.

ზიც გავაუმჯობესეთ“.

თუმცა, იჯარაში გადახდილი თანხის შესახებ ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობამ არაფერი იცის, რადგან „ნაციონალურმა მოძრაობამ“ პირდაპირ მერიასთან გააფორმა ხელშეკრულება.

„ბიბლიოთეკაში საარჩევნო შტაბის გახსნა – ეს პრობლემაა და კანონდარღვევაც. „საბიბლიოთეკო საქმის წარმოების შესახებ“ კანონის მიხედვით, ბიბლიოთეკების საქმიანობა უნდა იყოს დამოუკიდებელი პოლიტიკისაგან. ეს არის ბიბლიოთეკების ერთ-ერთი მთავარი ამოსავალი პრინციპი“, – აცხადებს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი.

ვახტანგ ნაცვლიშვილის შტაბში აცხადებენ, რომ კანონს არ არღვევენ, – „ამ არჩევნებს ისე ვატარებთ, არანაირი დარღვევა არ ფიქსირდება“, – ამტკიცებს ნაცვლიშვილი. მას ზურგს უმაგრებს საარჩევნო კოდექსის ერთ-ერთი მუხლი, რომლის მიხედვითაც, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიას უფლება აქვს, საკუთარ შტაბად გამოიყენოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაციები. ქალაქის ბიბლიოთეკებს კი სწორედ მერია აფინანსებს.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის არც ერთი ფაქტი, რომ თბილისის კი გაუმართლათ – ერთი თანამშრომელი დეკრეტში გავიდა და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოსულ სტუდენტებს მის მაგიდასთან სვამენ ხოლმე.

მე-19 ბიბლიოთეკაში ცუდ მდგომარეობაშია წიგნებიც. იმის გამო, რომ სამკითხველოსთან ერთად, მერიის ფილიალს იქ წიგნების საცავიც „ათხოვეს“, ახლა წიგნების დიდი ნაწილი თაროებზე მჭიდროდ აწყვია, ნაწილი კი შეკრეს და ისე ინახავენ.

მერიაში არ მიაჩნიათ, რომ ბიბლიოთეკებში მუნიციპალური სამსახურების ფილიალების განთავსებით მკითხველებისა და იქ მომუშავე პერსონალის უფლებებს ზღუდავენ. „ბიბლიოთეკა მერიის საკუთრებაა და მას სრული უფლება ჰქონდა, თავისი შენობები ისე გამოეყენებინა, როგორც დასჭირდებოდა“, – აცხადებენ მერიის პრესსამსახურში. მათივე ინფორმაციით, სამკითხველო დარბაზები მუნიციპალურ სამსახურებს დროებით აქვთ დაკავებული, თუმცა – როდემდე, ზუსტად ვერ ამბობენ.

სამაგიეროდ, ამ კითხვაზე პასუხი ბიბლიოთეკების ქსელის დირექტორს, ციალა კალმახელიძეს აქვს: „არჩევნების შემდეგ ბიბლიოთეკები ძველ რეჟიმში დაბრუნდებიან. საარჩევნო შტაბებიცა და მერიის სამსახურებიც ბიბლიოთეკებიდან გავლენ“.

დღეს ჩვენ ყველანი დევნილები ვარ

მსოფლიო ვარსკვლავების ხმა აფხაზეთის საზღვარზე – დაანგრევს თუ არა მუსიკის უნივერსალური ენა ბარიერებს რეალურ ცხოვრებაში?

ნინო ჩიმაკაძე

„ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ გითხრათ, გვახსოვხართ და გვიყვარხართ, მოვედით, რომ გითხრათ, თქვენ გვერდით ვიდგებით! – მი-კვარ-ჰარ, მი-კვარ-ჰარ, მი-კვარ-ჰარ!“ – დამტვრეული ქართულით იმეორებდა ამ სიტყვას ჯეინ ბირკინი, ვიდრე სცენაზე ბოლო სიმღერას, გარდაცვლილი მეუღლის სერჟ გინსბურგის ცნობილ ჰიტს: La Javanaise-ს შეასრულებდა.

ბოსნია, პალესტინა, კოსოვო, რუანდა – მსოფლიოს სხვადასხვა კონფლიქტური რეგიონების შემდეგ ბირკინი და სხვა ცნობილი მუსიკოსები ზუგდიდს ეწვივნენ. აფხაზეთიდან 7-8 კილომეტრში მდებარე ქალაქი, რომელიც ერთი კვირით ადრე ბუბა კიკაბიძეს, თამუნა ამონაშვილს და „ჯეოსტარის“ მომღერლებს სტუმრობდა, 26 მაისს მსოფლიო ვარსკვლავების თავშეყრის ადგილად იქცა.

Music Breaks Walls (მუსიკა ანგრევს კედლებს) დიდი ოქროსფერი წარწერა სცენაზე შორიდანვე იქცევდა ყურადღებას. „დღეს მე დევნილი ვარ“, – ეს ღონისძიების მეორე სლოგანი იყო, რომელიც მონაწილეებისა და ორგანიზატორების უმეტესობას მაისურებზე ეწერათ.

მუსიკალური ფესტივალის „ალტერ ვიზიის“ ფარგლებში ჩატარებული კონცერტი სწორედ დევნილებს მიეძღვნათ და მისი კონცეპტუალური დატვირთვაც ადამიანებს შორის ბარიერებისა და კედლების რღვევა იყო.

„ჩვენ ნამდვილად ყველანი დევნილები ვართ, როდესაც საკუთარ ქვეყანაში ვერ შედიხარ, დევნილი ხარ, არ აქვს მნიშვნელობა, იქ სახლი გაქვს თუ არა“, – ამბობს ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, მუსიკოსი აჩიკო გულედანი.

კონცერტის დაწყებამდე საფრანგეთიდან ჩამოსულმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ჟურნალისტებმა მუსიკოსებთან ერთად დევნილებით დასახლებული ტერიტორია მოინახულეს და მათთან ერთად ენგურის ხიდზე სოლიდარობის მსვლელობა მოაწყვეს. შემდეგ კი ხიდიდან აფხაზეთის მიმართულებით ბუშტებზე ქაღალდით მიმაგრებული სურვილებიც გაუშვეს.

კონცერტზე სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსულმა ათასობით ადამიანმა უჩვეულოდ გამოაცოცხლა ქალაქი. როგორც ამბობენ, სცენასთან 70 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა. „ალტერ ვიზიის“ ჯგუფის მიერ ორგანიზებული უფასო ავტობუსების საშუალებით ზუგდიდში უამრავი ადამიანი ჩავიდა როგორც თბილისიდან, ისე აჭარის, იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებიდან.

„ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი დონის მუსიკოსების ჩამოსვლა საქართველოში, მე ყველაზე კარგად Youssou N′Dour-ის შემოქმედებას ვიცნობ. მუსიკა მართლაც უნივერსალური ენაა და ვფიქრობ, ჩვენ გავუგებთ ერთმანეთს საზღვარს აქეთაც და საზღვარს იქითაც“, – განაცხადა კონცერტის დაწყებამდე ქუთაისიდან ჩამოსულმა 27 წლის ანა ფახურიძემ.

კონცერტი 8 საათზე დაიწყო და ის ცნობილმა ფრანგმა მუსიკოსმა, წარმოშობით სენეგალელმა Youssou N′Dour-მა და მისმა ბენდმა გახსნეს. ჯერ კიდევ 2004 წელს მას ჟურნალმა Rolling Stones-მა „ყველაზე სახელგანთქმული ცოცხალი აფრიკელი მუსიკოსი“ უწოდა. აფრიკულ რიტმებზე აგებულმა რეგეი მუსიკამ მაშინვე აიყოლია პუბლიკა. მით უმეტეს, რომ საქართველოში ამ შემსრულებლის ერთ-ერთი სიმღერა: Seven seconds ერთ დროს ძალიან პოპულარული იყო.

პოზიტიური და ენერგიული მუხტი არც სხვა მუსიკოსების გამოსვლისას დაკარგულა. თუმცა ყველაზე საინტერესო მაინც ფრანგული კინოს და სცენის უკვე ლეგენდად ქცეული ვარსკვლავის, წარმოშობით ბრიტანელი ჯეინ ბირკინის გამოსვლა იყო. ბირკინი ორგანიზაცია Amnesty Intarnational-თან თანამშრომლობს და არაერთ ცხელ წერტილში ჩატარებულ ღონისძიებაში მიუღია მონაწილეობა.

„არაჩვეულებრივი მსმენელია, ძალიან პოზიტიური და გადამდები ემოციები აქვთ, მოხარული ვიქნები, თუკი ჩემი აქ ყოფნით შევძელი, მათ მიმართ თანადგომა გამომეხატა“, – გვითხრა მომღერალმა სცენიდან ჩამოსვლის შემდეგ.

თუმცა, მაყურებლების დიდმა ნაწილმა ჯეინ ბირკინის შესახებ მანამდე ბევრი არაფერი იცოდა. მისი მოყვარულები არც თბილისიდან ზუგდიდში მიმავალ ავტობუსში აღმოჩნდნენ. შედარებით მეტი ინფორმაცია აქ შეკრებილ ახალგაზრდებს MC Solaar-ზე და Yousou N′Dour-ზე ჰქონდათ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც უბრალოდ დროის ხალისიანად გასატარებლად და დევნილების მხარდასაჭერად მიდიოდნენ:

„მუსიკოსების შესახებ თითქმის არაფერი ვიცი, უბრალოდ მეგობრებთან

ერთად მივდივარ, რომ გავერთოთ“, – გვითხრა 22 წლის ირაკლიმ მგზავრობისას. თუმცა მისთვის ამ კონცერტს სხვა დატვირთვაც ჰქონდა: ირაკლი ოჩამჩირეში დაიბადა და 5 წლის ასაკში საკუთარი სახლის დატოვება მოუხდა: „მგონია, რომ ასეთი აქციების საშუალებით უფრო მეტი ადამიანი გაიგებს, თუ რა ხდება აქ“.

იგივე განწყობა ჰქონდათ კონცერტის მონაწილე მუსიკოსებსაც. პოპულარულმა ფრანგმა რეპერმა, ემსი სოლარმა სცენაზე გასვლამდე „ლიბერალთან“ საუბრისას განაცხადა:

„მე რეპ მუსიკას ვწერ, ეს მიმდინარეობა კი ყოველთვის ეხმიანება და აპროტესტებს უსამართლობასა და ადამიანების ჩაგვრას. ვფიქრობ, ჩვენი აქ ყოფნით მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გაიგებენ ქართველი დევნილების შესახებ“.

კონცერტში ყველა მუსიკოსმა ჰონორარის გარეშე მიიღო მონაწილეობა. მგზავრობის და სხვა ხარჯები კი ფრანგულმა და ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გაიღეს. UEJF, SOS Racism, Alter Vision Group, „კოალიცია სამართლიანობისთვის“ – ეს ის ორგანიზაციებია, რომელთა ხელშეწყობითაც ზუგდიდში უპრეცედენტო მასშტაბის ღონისძიება მოეწყო.

ფრანგი სტუმრების განცხადებით, ისინი საკმაოდ ხშირად ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებას როგორც საფრანგეთში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. „ჩვენ ყველამ ვიცით რუსეთის იმპერიალისტური ზრახვების შესახებ, თუმცა ჩვენი ორგანიზაცია სწორედ იმას ცდილობს, რომ პრობლემები არა პოლიტიკოსების, არამედ პირველ რიგში ადამიანების დონეზე მოგვარდეს. ვებრძვით ნებისმიერი სახის დისკრიმინაციას და ჩვენი მთავარი ამოცანა თანასწორობისა და მშვიდობის გავრცელებაა“, – განაცხადა ფრანგული არასამთავრობო ორგანიზაციის SOS Racism-ის წარმომადგენელმა ადრიენ ლენუარმა.

ფრანგი შემსრულებლების გამოსვლის შემდეგ სცენიდან არც ისე შორს გრანდიოზული ფეიერვერკი მოეწყო. შემდეგ კი კონცერტი ქართველმა მუსიკოსებმა განაგრძეს. „ეფემერა“, „მგზავრები“, „რემა“, „პორნოპოეზია“ და საღამოს კორკოტაშვილი დაახლოებით 2 საათის განმავლობაში არღვევდნენ ღამის ზუგდიდის სიმყუდროვეს. კონცერტი გვიან ღამით ჯგუფმა „სტრინგმა“ დახურა. „ალტერ ვიზია“ კი მსმენელს აგვისტომდე დაემშვიდობა.

„არაჩვეულებრივი მსმენელია, ძალიან პოზიტიური და გადამდები ემოციები აქვთ, მოხარული ვიქნები, თუკი ჩემი აქ ყოფნით შევძელი, მათ მიმართ თანადგომა გამომეხატა“, – გვითხრა მომღერალმა სცენიდან ჩამოსვლის შემდეგ.

ჯეინ ბირკინი ზუგდიდში, 26 მაისი 2010

ფოტო: ჩიკო პულუანი

ბინძური ბანკები და სუფთა მეტამოიფოზები

თეატრალური ფესტივალი Theatertreffen ბერლინში – გამოღვიძებული სოციალური იმპულსები და ნახევრად გახდილი პროლეტარიატი.

დავით ბუხრიკიძე, ბერლინი-თბილისი

ჯერაც ვერმონელებული საბანკო კრიზისი, აშკარად გამოხატული სოციალური პრობლემები, ფრუსტრირებული და გაკოტრებული ხალხი, 30-იანი წლების ეკონომიკური სასოწარკვეთა გერმანიაში, ცოტა ფული, მეტი სექსი და უბადრუკი დღევანდელი სანახაობანი – ბევრისთვის მოულოდნელად სწორედ ეს თემები მოექცა ბერლინის ცნობილი ფესტივალის, Theatertreffen-ის, ანუ „თეატრალური შეხვედრების“ ყურადღების ცენტრში, რომელიც ყოველი წლის მაისში იმართება. მაგრამ ეს ლოგიკურია. დრო, რომელშიც ვცხოვრობთ, ყოველთვის ყველაზე კარგი სუფლიორიცაა და რეჟისორიც.

ფესტივალის გახსნას საფრანგეთის ყოფილი კულტურის მინისტრი, ფრანსუა მიტერანის ხელისუფლების მთავარი მემარცხენე იდეოლოგი, ჟან ლანგი და ბერლინის მერი და კულტურული პროექტების აქტიური მხარდამჭერი, კლაუს ვოვერაიტიც ესწრებოდნენ. ჟაკ ლანგის ემოციურმა ტექსტმა, „კულტურულ და ეკონომიკურ კრიზისში მოქცეული ევროპის ახალი, არტისტული იდეების შესახებ“, პუბლიკას ბუნდოვანი იმედები ჩაუსახა, თუმცა პრესის გასაგები ირონია გამოიწვია. მოკლედ, მარტო საქართველოში არ მოთქვამენ კრიზისისა და უფულობის შესახებ. არადა, ბერლინის ფესტივალის მოწუწუნე დირექციას ცნობილი საავტომობილო „ხალხთმავალი“ – „ფოლკსვაგენი“ და „ბუნდესვერის“ კულტურის ფონდი, ორ-სამ მილიონ ევროს ალალად ჩუქნიან...

Theatertreffen, რომელიც 1963 წელს, უკვე ორად გაყოფილი ბერლინის დასავლეთ ნანილში დაარსდა და რომლის მთავარი მიზანი გერმანულენოვანი (შვეიცარია, ავსტრია და გერმანია) თეატრის აღორძინება და ევროპელი რეჟისორების წახალისება იყო, თანდათან ერთ-ერთ მნიშვნელოვან თეატრალურ პლატფორმად იქცა. მასში თავის დროზე ისეთი ცნობილი ევროპელი რეჟისორები იღებდნენ მონაწილეობას, როგორებიც არიან პეტერ შტაინი, ლუკ ბონდი, კრისტოფ მარტალერი, იურგენ გოში, ლუკ პერსევალი, მიხაილ ტალჰაიმერი...

თეატრის მუდმივი მთავარი „გმირები“ – შექსპირი, ბრეხტი და ჩეხოვი წელს საფუძვლიანად თუ საგანგებოდ დაივიწყეს. მაინცდამაინც არც დანარჩენ კლასიკოსებს სწყალობდნენ. საფესტივალო აფიშაზე რატომღაც შედარებით მივიწყებული თუ თანამედროვე ავსტრიელები დომინირებდნენ: ევროპაში ამჟამად ძალიან მოდური ოდონ ფონ ხორვატი (სწორედ მისი ცნობილი პიესით „კაზიმირი და კაროლინა“ გაიხსნა წლევანდელი ფესტივალი), მინიმალიზმით სახელგანთქმული პეტერ ჰანდკე (მისი მოთხრობის მიხედვით ქალაქ გრაცის თეატრმა სოციალური მიმოდრამა ვიდეოარტის თანხლებით წარმოადგინა) და სკანდალებით ყოველთვის „მდიდარი“ ელფრიდე იელინეკი (გასულ წელს დაწერილი პიესა „კომერსანტის კონტრაქტი“ ჰამბურგის „ტალიათეატრის“ ინტერპრეტაციით, მთავარი ანტიბურჟუაზიული „მანიფესტი“ გახდა ფესტივალზე).

ყველაზე უცნაური და ჩემთვის აუხსნელია ფენომენი, რომელსაც წლების განმავლობაში ამ ფესტივალზე ვაკვირდები: პუბლიკა, რომელიც ძირითადად ათასი ჯურის თეატრალებით, ცინიზმში გაწვრთნილი კრიტიკოსებითა და არცთუ უგემოვნო ბურჟუაზიითაა წარმოდგენილი, უცნაურ, მაზოხისტურ სურვილს განიცდის, უსმინოს და უყუროს, როგორ თათხავენ სცენიდან კეთილდღეობისა და სტაბილურობის მოსურნე საზოგადოებას. იქნებ ეს კომპენსაციის ერთგვარი ფორმაა? როცა მდიდრებსა და უზრუნველებს სურთ, სცენაზე სწორედ მწვავე შეგრძნებებითა თუ სოციალური ვნებებით მოგვრილი ადრენალინი იგრძნონ, მაშინ როცა თავად არასოდეს ეხებათ ეს პრობლემა.

ფაქტია, რომ „ფესტივალჰაუზის“ სცენაზე სწორედ თანამედროვე საზოგადოების დაუნდობელი სოციალური და პოლიტიკური კრიტიკა ისმოდა. მაგალითად, როგორ ანადგურებს გერმანიაში „პატარა ადამიანს“ 30-იანი წლების კრიზისის დროს კარს მომდგარი ნაციზმი. ჰანს ფალადას ცნობილი რომანი „აწ რაღასა იქ პატარა კაცო?!“ მიუნხენის „კამერშპილეს“ მსახიობებისა და რეჟისორ ლუკ პერსეველის ინტერპრეტაციით, დღევანდელ პრობლემებს ეხება. ოთხსაათიან, მინიმალისტური და მოხდენილი სცენოგრაფიით გადაწყვეტილ სპექტაკლში რეალისტური და ჰიპერ-რეალისტური სამყარო ერთმანეთს ერწყმის.

კიოლნის „შაუშპილჰაუზში“ დადგმულ სპექტაკლში „კაზიმირი და კაროლინა“, რეჟისორი იოჰან სიმონსი ადამიანთა იდეალების განადგურების ტემპს ბავარიის ლუდის ფესტივალის დროს ასახავს და ცდილობს, ქსენოფობიის მიზეზები დღესაც აგვიხსნას. სახელგანთქმული შვეიცარიელი რეჟისორი კრისტოფ მარტალერი კი ისე აკვირდება სასაცილო და სასოწარკვეთილ ადამიანებს, როგორც ძველმანების ბაზრობაზე გამოტანილ ავეჯს – როგორ გადასახლდებიან ისინი საბანკო კრიზისის ჟამს გაყიდული ბინებიდან პატარა საავტომობილო ფარეხებში.

და მაინც, „პროვოკატორი დეიდა“ – ელფრიდე იელინეკი ყველას აჭარბებს. პიესაში „კომერსანტის კონტრაქტი“, რომელიც ნიკოლას შტემანმა ჰამბურგის „ტალია თეატრში“ დადგა, იგი გვიყვება თანამედროვე იგავს ბინძურ ბანკებსა და „თეთრი ხელებით“ ნაკეთ მეტამორფოზაზე, რომელსაც ადამიანი ეკონომიკური კეთილდღეობიდან კრიზისამდე გადის... და კიდევ, თან დასცინის და თან თანაუგრძნობს ნახევრად შიშველ ექს-პროლეტარიატს, რომელსაც ქონება ბანკმა შეუჭამა, რელიგიური გრძნობები კი – სექსმა...

იქნებ დროა, სასტიკ დროს ჩვენც მეტი სიფხიზლე გამოვიჩინოთ და არაფრისმთქმელ კლასიკურ დადგმებს თანამედროვე პიესები, მეტი პროვოკაცია და არტოს „სისასტიკის თეატრით“ ნაკვები ხილვები ვამჯობინოთ.

ელფრიდე იელინეკი თან დასცინის და თან თანაუგრძნობს ნახევრად შიშველ ექს-პროლეტარიატს, რომელსაც ქონება ბანკმა შეუჭამა, რელიგიური გრძნობები კი – სექსმა...

„Riesenbutzbach“, რეჟ.: კრისტოფ მარტალერი

„კაზიმირი და კაროლინა“, რეჟ.: იოჰან სიმონსი

„ოქროს დრაკონი“, რეჟ.: როლანდ შიმელპფენიგი

"დიდების მონუმენტი" და მონუმენტური სნოხაზოვნება

მონუმენტები წმინდად პოლიტიკური შინაარსის სიმბოლოებია. მონუმენტებითა და მათი თაყვანისცემით ადამიანებში ისტორიული მეხსიერების ხელოვნური ჩანერგვა და „მოდელირება“ ხორციელდება.

გიორგი მაისურაძე

საეჭვო ესთეტიკური ღირებულების ძეგლები და მონუმენტები თბილისისთვის სიახლე არაა, განსაკუთრებით – „ვარდების რევოლუციად“ წოდებული მოვლენების შემდეგ, როდესაც პოლიტიკურმა კიჩმა საქართველოს კულტურულ ლანდშაფტზე წამყვანი ადგილი დაიკავა და თავისი სიმრავლით ლამის უკვე 70-წლიან საბჭოთა მონუმენტალიზმს გადაუსწრო.

სააკაშვილის ეპოქის ძირითადი ტენდენციაა საბჭოურის ნაციონალისტურით ჩანაცვლება, რის შედეგადაც საბჭოთა წარსულის გადაფასება ან დაძლევა კი არ მიიღწევა, არამედ ძეგლთაყვანისმცემლობის საბჭოთა ტრადიცია იდეოლოგიურ მოდუსს იცვლის. ეს კი, საბოლოო ჯამში, სნორედ საბჭოურობის კიდევ უფრო მეტად მონუმენტალიზაციას, მის უკვდავყოფას იწვევს. ამგვარი ძეგლები რელიგიურთან მიმსგავსებული საკულტო ობიექტებია და არა ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც თაყვანისცემისთვის იქმნება. თაყვანისცემა და საკრალიზაცია კი წარსულისა თუ აწმყოს კრიტიკულ გააზრებას მხოლოდ ეწინააღმდეგება.

საერთოდაც, ასეთი იდეოლოგიური წარმონაქმნების ესთეტურობაზე საუბარი გადაჭარბებულიც კია, რამდენადაც მონუმენტები არა ესთეტური ტკბობისა თუ ჭვრეტის ობიექტებია, არამედ – წმინდად პოლიტიკური შინაარსის სიმბოლოები. მათი ერთადერთი „მესიჯი“ არის იდეოლოგიური დირექტივა: ესა თუ ის ისტორიული მოვლენა ან ფაქტი არა მხოლოდ უნდა გვახსოვდეს, არამედ იმგვარად და ისეთი შინაარსით უნდა გვახსოვდეს, როგორითაც მონუმენტშია გამოსახული და როგორადაც მისი დამკვეთი იდეოლოგები გვკარნახობენ და

„დიდების მონუმენტი“ გმირთა მოედანზე, თბილისი, მაისი 2010

ფოტო: ეთერ ბარიანიშვილი

გვასწავლიან. მონუმენტებითა და მათი თაყვანისცემით ადამიანებში ისტორიული მეხსიერების ხელოვნური ჩანერგვა და „მოდელირება“ ხორციელდება. მონუმენტები კოლექტიური ინდოქტრინაციისა და პოლიტიკური პროპაგანდის საკმაოდ ნაცადი ინსტრუმენტებიცაა, რომლის ყველაზე ხანგრძლივი და ეფექტური გამოცდილება უახლეს ისტორიაში სწორედ საბჭოთა კავშირმა დაუტოვა კაცობრიობას.

პოსტსაბჭოთა ხანის ქართული პოლიტიკური კიჩისა და კოლექტიური ინ-

■ პოსტსაბჭოთა ხანის ქართული პოლიტიკური კიჩისა და კოლექტიური ინდოქტრინაციის ახალი ხორცშესხმაა თბილისში გმირთა მოედანზე აღმართული ახალი „დიდების მონუმენტი“.

დოქტრინაციის ახალი ხორცშესხმაა თბილისში გმირთა მოედანზე აღმართული ახალი „დიდების მონუმენტი“, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება. შინაარსი, რომელიც ამ მონუმენტშია ჩადებული, უკვე შეიცავს ინდოქტრინაციულ ფორმულას, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ან, ზოგადად, სამშობლოსათვის ბრძოლას კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან აიგივებს და ამით საქართველოს უახლესი ისტორიის სრულიად თვითნებურ წაკითხვას ცდილობს, საიდანაც, მაგალითად, 1941-1945 წლებში ნაცისტურ გერმანიასთან ომში დაღუპული ასეულობით ათასი ქართველი მეომარი ავტომატურად გამოირიცხება, რადგანაც ისინი საბჭოთა სამხედრო ფორმას ატარებდნენ და, რადგანაც საქართველო ოკუპირებული იყო, მაშასადამე მათ სამშობლოსათვის არ უბრძოლიათ. არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ სულ რამდენიმე თვის წინათ ქუთაისში ხელისუფლების სურვილით განადგურდა ამ ომში დაღუპულთა მემორიალი, რაც რუსეთთან დამატებითი კონფრონტაციის საბაბი გახდა.

„დიდების მონუმენტის“ ისტორიული მეხსიერება 1921-დან 2008 წლამდე პერიოდს მოიცავს, რომელშიც გაერთიანებულია 1921 წელს მე-11 არმიის მსხვერპლი იუნკერები, 1924 წლის ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილეები, 1992-1993 წლებში აფხაზეთში და 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი მეომრები, რომელთა სახელებიც ამ მონუმენტშია ჩაწერილი. ამით „დიდების მონუმენტის“ შინაარსი მთლიანად იმეორებს „ოკუპაციის მუზეუმის“ კონცეფციას – საქართველო, როგორც საბჭოთა და პოსტსაბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპირებული და მასთან მებრძოლი ქვეყანა. ფაქტობრივად კი, ესაა საქართველოს თითქმის ერთსაუკუნოვანი სამხედრო მარცხის ქრონიკა, საიდანაც ერთი ლოგიკური დასკვნა უნდა გამომდინარეობდეს: მილიტარიზმზე უარის თქმა და საკუთარი შეცდომების კრიტიკული თვალით დანახვა.

სააკაშვილის ხელისუფლების მთელი იდეოლოგიური დოქტრინა კი 26 მაისს „დიდების მონუმენტის“ გახსნაზე წარმოთქმულ პრეზიდენტის სიტყვაში გამოიხატა: „თავისუფლებისათვის ბრძოლა – ესაა ჩვენი გენეტიკური კოდი!“ მონუმენტზე, რომელშიც 4 ათასამდე დაღუპული მებრძოლის სახელია ჩაწერილი, პრეზიდენტის თქმით, ცარიელი ადგილებიცაა შემონახული, რომელიც, „ღმერთმა ნუ დაგვაჭირვოს“, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, მომავალი გმირების სახელებით შეივსება. პრეზიდენტის ამგვარი რიტორიკა კი, არამხოლოდ საკუთარი მმართველობის, არამედ მთელი საუკუნის მანძილზე ვერგამოტანილი დასკვნების კიდევ ერთი დადასტურებაა. „სამხედრო პატრიოტიზმი“ კვლავაც ხელისუფლების ძირითად იდეოლოგიურ პრინციპად რჩება. წლევანდელი 26 მაისის სამხედრო აღლუმის ყურებისას თვალშისაცემი იყო პრეზიდენტის უკან მდგომი, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ბავშვები, რაც სამხედრო პატრიოტიზმის იდეალებისადმი ერთგულების მორიგი და საკმაოდ მწვავე გამოვლინებაა. ამ პრინციპის ერთადერთი „პოზიტიური“ შედეგი კი, ბოლო ერთი საუკუნის გამოცდილებით, სხვა არაფერია, გარდა რუსეთთან ბრძოლაში გმირულად დაღუპვისა. ამ ჰეროიკული პათოსით კი არა მხოლოდ სამშობლოს ეწირებიან გმირები, არამედ თავად სამშობლოც ეწირება გმირული თავგანწირვის იდეოლოგებს.

„დიდების მონუმენტი“, რომელიც, ოფიციალური განმარტებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ ქართველ მეომრებს ეძღვნება, ყველაზე მეტად სწორედ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და „ოკუპირებულ ტერიტორიებზე“ მცხოვრებ ადამიანებთან მშვიდობიანი და თანასწორუფლებიანი თანაარსებობის იდეას ეწინააღმდეგება: რამდენად შეიძლება იყოს გამთლიანებულ საქართველოს დედაქალაქის ცენტრში აღმართული მონუმენტი მისი აფხაზი და ოსი მოქალაქეების სახელმწიფოებრივი ერთობის სიმბოლო? თუკი ამგვარი მონუმენტის არსებობას რაიმე აზრი შეიძლებოდა ჰქონოდა, ერთადერთი საღი აზრი აფხაზეთსა თუ სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტების დროს დაღუპული აფხაზი და ოსი მებრძოლების სახელების ქართველთა გვერდით დაყენება იქნებოდა. ასეთი პოლიტიკური ჟესტი შერიგებისა და ისტორიის გადაფასების, მათ შორის, საკუთარი შეცდომების აღიარებას და ყველაფრის თავიდან დაწყებისათვის მზადყოფნას გამოხატავდა. მით უმეტეს, რომ ქართულ მონუმენტთა ტრადიციაში ამგვარი ჟესტის მაგალითიც თბილისში დგას. ესაა „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“, რომლის ყველაზე ცნობილი სტრიქონი – „იქნება ვეფხის დედაი ჩემზე მწარედა სტირისა, წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა“... – საზეპიროდ ისწავლებოდა ქართულ სკოლებში. მოყმის დედის ამ სიტყვების შინაარსი სხვა არაფერია, გარდა ერთობლივი გლოვა ერთმანეთთან ბრძოლაში დაღუპული შვილების გამო, და ურთიერთთანაგრძნობის სურვილი. ჩემი აზრით, დღეს ყველაზე დიდი გმირობა საქართველოს მხრიდან საკუთარ ეთნოცენტრისტულ უახლეს წარსულთან გამიჯვნა, საკუთარი უმძიმესი შეცდომების აღიარება და მათი გამოსწორების მცდელობა იქნებოდა და არა – გმირული თავგანწირვის, დაღვრილი სისხლისა და გაღებული მსხვერპლის მორიგი იდეალიზაცია, რომელიც მხოლოდ ერთი პოლიტიკური იდეოლოგიის სააზროვნო სწორხაზოვნების, მისი უცდომელობისა და „დიდების“ სიმბოლოა.

აჰმეთს ინგლისის პი სჯეჰა

გიო ახვლედიანი, ლონდონი

უეინ რუნი

ეგებ ჯობია, რომ ინგლისის ნაკრებმა არ ითამაშოს ხოლმე საშინაო თამაშები, განსაკუთრებით – ამხანაგური და განსაკუთრებით – მსოფლიო ჩემპიონატის წინ.

თორემ ყოველთვის ასეა ხოლმე: გამოვა გუნდი უემბლიზე და ვერ თამაშობს, უფრო სწორად, ამხანაგურში რა უნდა ითამაშო: თამაშს ვერ აჩვენებს და არის ერთი სჯა-ბაასი, – შარშან რომ კარგად ვთამაშობდით, ახლა რა დაგვემართაო. ცალკე კიდევ ახალი უემბლის მინდორი, რომელსაც ყველა იწუნებს. საერთოდ, ინგლისელები ოღონდ ბალახის ხარისხზე ალაპარაკე და წაგების მიზეზებიც გამოჩნდება.

არა, ცუდი არც არაფერი მომხდარა: ინგლისმა მექსიკას 3-1 მოუგო

და გლენ ჯონსონმაც თავისი პირველი სანაკრებო გოლი ბრწყინვალედ გაიტანა, თუმცა, როგორც ერთმა კომენტატორმა აღნიშნა, – აქ ინგლისის სანახავად მოვედით, მექსიკას კი ვუყურებთო.

საერთოდ ინგლისის ცუდად თამაში ის არის ხოლმე, რომ ფეხბურთელები დაიზლაზნებიან. ინგლისელების ყურება ჩქარი თამაშის გარეშე საშინელებაა. სხვანაირი თამაში არც იციან და არც მიაჩნიათ სწორად.

მსოფლიოში ბევრ ნაკრებს არ ეყოლება ისეთი დიდებული ფეხბურთელები, როგორიც ინგლისს ჰყავს და

კაპელო მაგარია, რუნი მაგარია, ლამპარდი მაგარია, ტერი მაგარია, ჯერარდი მაგარია, ოღონდ ინგლისი ინგლისია, – ამბობს აჰმეთა, – კაპელო კი არა, გინდა ჯინი მოუყვანე მწვრთნელად, ვერაფერს იზამს.

მსოფლიოში ბევრ გუნდს არ ეყოლება ისეთი მწვრთნელი, როგორიც ინგლისს უშოვნია.

ფაბიო კაპელო. გაგრძელება კი საჭირო არ არის. კაპელო და მორჩა.

კაპელომ ბრწყინვალედ ათამაშა ინგლისი ორ წელიწადს და ახლა ყველა მოელის, რომ ეს კაცი უმიზნებს, გამართლდება. აბა, რა დასამალია, ინგლისს აფრიკაში მსოფლიო ჩემპიონობა უნდა. ოღონდაც, ჩვენი უბნის მაღაზიის პატრონს, თურქ აჰმეთს ამისა საერთოდ არ სჯერა.

კაპელო მაგარია, რუნი მაგარია, ლამპარდი მაგარია, ტერი მაგარია, ჯერარდი მაგარია, ოღონდ ინგლისი ინგლისია, – ამბობს აჰმეთა, – კაპელო კი არა, გინდა ჯინი მოუყვანე მწვრთნელად, ვერაფერს იზამს.

როგორც ყველა თურქი, ისიც ფეხბურთის ნამდვილი გიჟია და მგონი მთელ ამხელა ლონდონში ქორნერშოფის ერთადერთი პატრონია, მაღაზიაში უშველებელი ტელევიზორი რომ უდგას და გამუდმებით ფეხბურთს აჩვენებს. მაღაზია დამშვენებულია აჰმეთას ფოტოებით ბარსელონას, ჩელსის, ფენერბაჰჩეს და სანტოსის მაისურებში. მისი მაღაზია სწორედ რომ თბილისურად, შუაღამემდე მუშაობს, რაც, რასაკვირველია, დიდი შეღავათია და ღამით შეხეტიალებული კაცი აუცილებლად დაილაპარაკებს ფეხბურთზე.

მოკლედ, აჰმეთამ ფეხბურთი იცის, და მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტებად ესპანეთს და ბრაზილიას მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ასე დაახლოებით მთელი საფეხბურთო მსოფლიო მიიჩნევს, მათ შორის კი – კაპელოც; ოღონდაც კაპელო არაფერს ამბობს იმის თაობაზე, სჯერა თუ არა თავისი ინგლისის, აჰმეთას კი ნამდვილად არ სჯერა.

ჰოდა, ვნახოთ, რომელი გამართლდება.

ამასობაში კი კაპელომ ინგლისელ ფეხბურთელებს ჩემპიონატის დღეებში ტვიტერით, ფეისბუკით და ასეთი რამეებით სარგებლობა აუკრძალა. ფეხბურთელებს გაზეთებისთვის სვეტების წერაც არ გამოუვათ. თუ რამის თქმა უნდათ, მხოლოდ ფეხბურთის ასოციაციის ვებგვერდზე იტყვიან. ასევე უქნია ესპანეთის ნაკრების მწვრთნელს, ვისენტე დელ ბოსკესაც.

ნაკრების წევრები მობილურსაც შეზღუდულად მოიხმარენ და საერთოდ კაპელომ თქვა, – ოჯახობა, გელფრენდები და ასეთი რამეები აფრიკაში არ დავინახოო. თუმცა, როგორ დაუშლი, უეინ რუნიმ ღიად განაცხადა, – ჩემი ცოლი და შვილი აფრიკაში მოდიან, იმიტომ, რომ ისინი ფანები არიან, და თუ სხვა ფანები მოდიან, ჩემიანებს ვერაფერს ავუკრძალავო.

მოკლედ, ინგლისი ემზადება. კაპელოს ხელში, სადილზე სპორტულებით ვერ ჩახვალ, და საერთოდ, შორტებით ტანტალი და ინგლისელთათვის ტრადიციული ბანქოს თამაში თავისუფალ დროს დამთავრებულია.

სამაგიეროდ, მსოფლიო ჩემპიონატი იწყება.

ლიბერალი

www.liberali.ge

არჩევნები

ვებგვერდზე

www.liberali.ge

ვივა ნოსტალგია!

დღევანდელი თბილისის ეზოებს დაღლილი, მოუწესრიგებელი, იმედგაცრუებული, შეშინებული თბილისელების სახე აქვს. მომავალზე რომ არ ფიქრობენ, ისეთი თბილისელების.

კახა თოლორდავა

ეს ალბათ ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი ეზო იყო ბარნოვის ქუჩაზე. სესილია თაყაიშვილი ცხოვრობდა სახლში, ამ ეზოს რომ გადაჰყურებდა. ეროსი მანჯგალაძეც იქ ცხოვრობდა, მედეა ჯაფარიძე, ანდრია ბალანჩივაძე, რევაზ თაბუკაშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და ანზორ კავსაძეც; კიდევ ბევრი სხვა ღირსეული თბილისელი. ბარნოვის ქუჩის მითიც მხოლოდ ასეთი ადამიანების გამო არსებობს, მე რომ მკითხოს კაცმა. მეც იმ სახლში დავიბადე და გავიზარდე. ეს ტექსტი ერთი თბილისური ეზოსადმი ნოსტალგიით გაჟღენთილი ქება-დიდებაა. ამის უფლება მაქვს. მე ხომ უკვე ორმოცდაათის ვარ.

ვარდების სუნი დილაობით. ესაა პირველი, რაც მახსენდება ხოლმე, ბავშვობას რომ ვიხსენებ. ვარდები ეზოს კარგად მოვლილ ნაკვეთზე ხარობდა. ეს ნაკვეთი წითლად შეღებილი რკინის ჯაჭვებით იყო შემოღობილი. მოზარდებს ჯაჭვებზე ჩამოჯდომა და გაქანებ-გამოქანება შეგვეძლო. ზაფხულობით, დილით ადრე და დღის ბოლოს მეზობლები პირდაპირ ფანჯრიდან რწყავდნენ ვარდებს. ამ დროს მთელ ეზოში ცივი წყლით დანამული, გახურებული ასფალტის სუნში არეული ვარდების სურნელი დგებოდა ხოლმე. ეს სუნი ეზოში მოთამაშე ბავშვებს კანსა და თმებში გვიჯდებოდა.

ეზოს ცენტრალური ნაწილი მომცრო ზომის სკვერს ეკავა, რომლის ჯვარედინი ბილიკები დაფშვნილი წითელი აგურით იყო მოკირწყლული. სკვერის შუაგულში, ერთი ციცქნა მოედნის გარშემო წითლად შეღებილი ხის სკამები იდგა, გარშემო კი – ალვის ხეები. ეზოს გამწვანებულ ნაწილს ორი მხრიდან ლაზათიანად გაკრეჭილი მაღალი ბუჩქების მწკრივი ამშვენებდა. საღამოობით სამსახურებიდან დაბრუნებული მეზობლები სულის მოსათქმელად ეზოში რომ ჩამოდიოდნენ, ვარდების და ბალახის სუნს „კრასნაია მოსკვას“ და თამბაქოს არომატი ემატებოდა. არასდროს დამავიწყდება ის საღამოები, არც ის ადამიანები, არც ის ეზო, ასე ძალიან რომ მიყვარდა. იმდროინდელ თბილისში ბევრი იყო ასე ლამაზად მოვლილი ეზო. იმ ეზოებს თვითონ მაცხოვრებლები უვლიდნენ და ასუფთავებდნენ.

2010 წლის აპრილია. ჩემი ყოფილი ეზოს შუაგულში ვდგავარ იქ, სადაც ადრე პატარა მოედანი იყო, და გარშემო ვიყურები. ხელში ფოტოაპარატი მიჭირავს და ვცდილობ, ისეთი წერტილი მოვძებნო, საიდანაც კარგად გამოჩნდება მისი დღევანდელი სახე. არაფერი გამომდის. გარშემო მხოლოდ მანქანებია. უწესრიგოდ, სახელდახელოდ ჩაყენებული მანქანები, იქ, სადაც ადრე მოედანი იყო, იქ, სადაც ადრე ვარდები ხარობდა, იქაც, სადაც ლამაზად გაკრეჭილი ბუჩქების მწკრივი იყო. გარშემო ტალახი, მოუვლელობა და გულგრილობაა. ამ ეზოს მცხოვრებლებს დღესაც გამოჰყავთ ბავშვები ამ ეზოში სასეირნოდ. იმ ბავშვების თვალით ვცდილობ, შევხედო ჩემს ყოფილ ეზოს და აქ შემოსვლის შემდეგ ისედაც გაფუჭებული ხასიათი კიდევ უფრო მიფუჭდება. მაინც ჯიუტად ვბრუნდები ხოლმე აქ პერიოდულად, ალბათ იმის ფარული იმედით, რომ ერთ მშვენიერ

დღეს ისევ იმ ეზოში შევაბიჯებ, ასე ტკბილად რომ დამამახსოვრდა. მერე კი სახლში ვბრუნდები და გზაში აი, რაზე ვფიქრობ:

დღევანდელი თბილისის ეზოებს დაღლილი, მოუწესრიგებელი, იმედგაცრუებული, შეშინებული თბილისელების სახე აქვს; მომავალზე რომ არ ფიქრობენ, ისეთი თბილისელების; ან ისეთების, მარტო საკუთარ თავსა და ოჯახზე რომ ფიქრობენ; ან ისეთების, სხვების მოსვლას რომ ელოდებიან, ვინც მათ საქმეს გააკეთებს. დღევანდელი თბილისის ეზოები ცხოველების გარეშე დარჩენილი პატარა ზოოპარკებია, გალიებში გამომწყვდეული მანქანებით და „გარაჟ-მაღაზიებით“. დღევანდელი თბილისის ეზოებს თბილისელების უუნარობის და სიბრიყვის სახე აქვს – მანქანა დაბინავებული, საჭმელი მაგიდაზე, ტელევიზორი მოციმციმე, გულგრილობა – უსაზღვრო.

მერე კი მიქელანჯელო ანტონიონიზე ვფიქრობ და მისი ფილმის, „ზაბრისქი ფოინთ“, ფინალურ ეპიზოდზე, როდესაც საყვარელი ადამიანის დაღუპვის ტკივილით გულნატკენი ახალგაზრდა ქალი წარმოსახვაში აფეთქებს თავისი მდიდარი საყვარლის, მდიდრულად მოწყობილ ვილას. აფეთქების ტალღა ჰაერში აისვრის მთელ შენობას და ყველაფერს, რაც იმ შენობაშია – სკამებს, მაგიდებს, ტელევიზორებს, მაცივრებს, გაზქურებს, მდიდრულ სამოსს, სახურავს, ყველაფერს. მერე კი მეც, იმ ახალგაზრდა ქალის მსგავსად, ასაფეთქებელი ნივთიერების ყველაზე დიდ „ზარიადს“ ვიჯენ წარმოსახვაში და ჰაერში ავისვრი თბილისური ეზოების მახინჯ, გისოსიან „გარაჟებს“, შიგ გაყურსულ მანქანებს, ნაცრისფერი შიფერის ნაჭრებს, მანქანის მოპარვის შიშს, ყველაფერს, რაც თბილისელებმა იმ გალიებში გამოამწყვდიეს.

თბილისური ეზოების მოწყობა თავიდან უნდა დაიწყოს, სულ თავიდან და ამის სურვილი, უპირველეს ყოვლისა, ჩვენვე, თბილისელებს უნდა გაგვიჩნდეს.

რადიო „ნასნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნასნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3

მოთხრობა ყოველდღე

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობისგან

მიშელ უელბეკი
პლატფორმა



მიშელ უელბეკი დაიბადა საფრანგეთში 1958 წელს. ის ყველაზე სკანდალური თანამედროვე მწერალია. ამბობენ, რომ მან თანამედროვე ფრანგულ ლიტერატურას ახალი ხმა, ახალი ტონალობა შესძინა. რამდენიმე ერთმანეთზე სკანდალური რომანის ავტორი 2002 წელს პარიზის მეჩეთის წინამ-ძღოლმა და ისლამურმა საზოგადოებებმა ისლამოფობიასა და რასიზმში დაადანაშაულეს. მართალია, ბრალდებები არ დაუმტკიცდა, მაგრამ მიშელ უელბეკი მას შემდეგ ესპანეთში ცხოვრობს.

ფასი 16.90

„პლატფორმა“ მიშელ უელბეკის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანია. თანამედროვე ევროპა — ადამიანის მარტოობა, ცხოვრების აბსურდულობა, კულტურის კომერციალიზაცია, სექსი და ტერორიზმი, რომელიც ყველაფერს ანადგურებს, დღესდღეობით ყველაზე მტკივნეული ამ თემების გამოა „პლატფორმა“ უდავოდ საინტერესო, ღრმა და ამავე დროს სკანდალურიც.

ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

მის: აღმაშენებლის 150
ტელ: 910 954, 911 165

www.sulakauri.ge